



**გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო**

**საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი  
გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა  
შავლელს მასივის სადრენაჟე სისტემისთვის**

**YOSHIN DASAN CONSULTANTS** 

ნომბერი

2025

# შინაარსი

1. შესავალი.....	2
2. სამართლებრივი ჩარჩო.....	3
2.1 პროექტისთვის შესაბამისი მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები .....	3
2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (H&S) კანონმდებლობა და პროექტისთვის შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებები .....	8
3. საბაზისო ინფორმაცია .....	21
3.1 ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები .....	21
3.2 არსებული სადრენაჟე არხები და ნაგებობები .....	23
3.3 სადრენაჟე სისტემის არსებული კომპონენტები .....	24
4. პროექტის აღწერა.....	26
4.1 სადრენაჟე არხის პროექტი .....	26
4.2 სატუმბი სადგურის პროექტი.....	26
4.3 ლიცენზირებული მასალების უახლოესი წყაროები .....	28
5. საჯარო კონსულტაციები.....	29
6. საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) .....	29
7. მიწის შესყიდვისა და განსახლების საკითხები .....	29
8. გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა .....	29
9. გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმა.....	29
დანართები.....	29
დანართი A: ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის კითხვარი ...	29
დანართი B: დაგეგმილი სადრენაჟე სისტემის რუკა .....	29
დანართი C: შავლელეს სადრენაჟე სისტემის არსებული მდგომარეობა .....	29
დანართი D: ბიომრავალფეროვნების შეფასების ანგარიში.....	29
დანართი E: კითხვარი საირიგაციო და სადრენაჟე სისტემებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების შესახებ.....	29
დანართი F: საჯარო კონსულტაციების ჩანაწერები.....	29
დანართი G: პროექტის დაგეგმვისა და მონიტორინგის განყოფილების საჩივრების განხილვის მექანიზმი.....	29

## 1. შესავალი

სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს და გააჩნია მაღალი პოტენციალი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენს, ის უზრუნველყოფს ქვეყნის სამუშაო ძალის დაახლოებით 50 პროცენტის დასაქმებასა და შემოსავალს. ამასთან, სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში, სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულ სფეროდ არის განსაზღვრული. სასოფლო-სამეურნეო მიწების დაჭაობება და დატბორვა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში. შესაბამისად, სადრენაჟე სისტემების გამართული და უწყვეტი ფუნქციონირება აუცილებელი წინაპირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდისა და სტაბილური მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (MEPA) შავდელეს მასივის სადრენაჟე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია შეიტანა „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტში“ (GRAIL), რომელიც თანადაფინანსებულია მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ.

GRAIL პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმართულია სარწყავი და სადრენაჟე სისტემების განახლება-მოდერნიზაციისკენ მაგისტრალური, მეორე და მესამე რიგის კოლექტორებისა და სადრენაჟე არხების დონეზე, მოძველებული და არაეფექტიანი ინფრასტრუქტურის ჩანაცვლების გზით. შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემა (SMDS), რომელიც მდებარეობს სამეგრელოს რეგიონში, წარმოადგენს GRAIL პროექტის ერთადერთ ქვეპროექტს, რომელიც სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციას ითვალისწინებს, ხოლო დანარჩენი ქვეპროექტები საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს სატუმბი სადგურის, მაგისტრალური სადრენაჟე არხების, კოლექტორებისა და შიდასამეურნეო ქსელის პროფილის ჩამოყალიბებასა და აღდგენას, აგრეთვე საჭირო დამხმარე ნაგებობების, მათ შორის წყალგამტარი მილების/მილხიდების და სატუმბი სადგურების - რეაბილიტაციას ან ახალ მშენებლობას.

ვინაიდან ყველა სარეაბილიტაციო და სამშენებლო საქმიანობა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის საზღვრებში, ქვეპროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედებების წარმოშობა მოსალოდნელი არ არის.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS1 - „გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა“ - შესაბამისად, ქვეპროექტი კლასიფიცირებულია, როგორც საშუალო რისკის აქტივობა, მისი ტიპის, ადგილმდებარეობის, მგრძობელობისა და მასშტაბის გათვალისწინებით. ამასთან, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს და ქვეპროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება მოხდეს რისკის კატეგორიის გადახედვა.

GRAIL პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს (ESMF) საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ადგილ-სპეციფიური გარემოსდაცვითი და სოციალური მიზანშეწონილობის კვლევის (due diligence) პროცედურებს, ქვეპროექტის მომზადება მოითხოვს გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის კითხვარის შევსებასა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) მომზადებას.

წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP), რომელიც შემუშავებულია შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემისთვის, აღწერს არსებული სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის შედეგად შესაძლო გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებებს, განსაზღვრავს მათ შემარბილებელ ღონისძიებებს და მოიცავს მონიტორინგის ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს ქვეპროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებების მინიმიზაციას.

ESMP-ის შემუშავებას წინ უძღოდა ქვეპროექტის დიზაინის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი, რომელიც განხორციელდა GRAIL პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს (ESMF) დანართი 1 - ის — ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის კითხვარის — და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS1-ის მოთხოვნების შესაბამისად. სკრინინგის კითხვარი წარმოდგენილია დანართი A-ში.

## 2. სამართლებრივი ჩარჩო

### 2.1 პროექტისთვის შესაბამისი მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები

ვინაიდან GRAIL პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური საკანონმდებლო მოთხოვნების პარალელურად ის უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოს (Environmental and Social Framework – ESF). ESF მოიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ 10 სტანდარტს (Environmental and Social Standards – ESS). GRAIL პროექტის შეესაბამება შემდეგი სტანდარტები:

ESS1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების იდენტიფიცირება, კონტროლი და მონიტორინგი, მათ შორის შესაბამისი მოთხოვნების განსაზღვრა და მონიტორინგის შედეგების შეფასება.

ESS2 – შრომითი და სამუშაო პირობები:

შრომითი ურთიერთობები და დასაქმების პირობები, შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა, მუშახელის დაცვა, დასაქმებულთა საჩივრების განხილვის მექანიზმი, აგრეთვე სპეციალური მოთხოვნები კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების დასაქმებულებისთვის.

ESS3 – რესურსების ეფექტური გამოყენება და დაბინძურების პრევენცია და მართვა:

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და კონსერვაცია, ნარჩენებისა და დაბინძურების წარმოქმნის პრევენცია და კონტროლი.

ESS4 – საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:

პროექტის საქმიანობის და მუშახელის მიზეზით წარმოქმნილი რისკებისა და საზოგადოებაზე შესაძლო ზემოქმედებების თავიდან აცილება და მართვა, მათ შორის საგანგებო სიტუაციები, უსაფრთხოების საკითხები და სხვა ფაქტორები.

ESS5 – მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არა ნებაყოფლობითი განსახლება: პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული ფიზიკური და/ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობის საჭიროების იდენტიფიცირება, დაგეგმვა და თავიდან აცილება ან

შესაბამისი რეაგირება, მათ შორის ინფორმაციის გასაჯაროება და კონსულტაციები.

ESS6 – ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა: ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების დაცვა და კონსერვაცია, აგრეთვე ადგილობრივი თემების საარსებო წყაროების მხარდაჭერა.

ESS8 – კულტურული მემკვიდრეობა: მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ESS10 – დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროება: ადგილობრივი და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მათი ჩართულობა პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, პროექტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება და საჩივრების განხილვის მექანიზმის უზრუნველყოფა გარე დაინტერესებული მხარეებისთვის.

ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESS) გარდა, მისი განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში პროექტი ასევე დაიცავს მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს (Environmental, Health, and Safety – EHS General Guidelines).

### **ESS1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა**

შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის (SMDS) ქვეპროექტი ითვალისწინებს არსებული სადრენაჟე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას. სადრენაჟე მომსახურების განხორციელება ახალ სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე დაგეგმილი არ არის.

სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები შემოიფარგლება ქვეპროექტის არეალით და ძირითადად გამოვლინდება სამშენებლო ეტაპზე. სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში გამოყენებული იქნება შესაბამისი ტექნიკა, მათ შორის სატუმბი მოწყობილობები, ექსკავატორები, თვითმცლელი სატვირთო ავტომობილები, სატუმბი ექსკავატორი და ბეტონის შემრეველები. დაგეგმილი სამუშაოები ძირითადად მოიცავს არსებული სადრენაჟე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და დამხმარე ნაგებობების მშენებლობას.

### **ESS2 – შრომითი და სამუშაო პირობები**

ESS2 მოიცავს შრომით ურთიერთობებსა და სამუშაო პირობებს როგორც უშუალოდ დასაქმებული, ისე კონტრაქტით დასაქმებული მუშაკებისთვის. შესაბამისად, შრომასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნებისა და შესაძლო რისკების იდენტიფიცირების მიზნით, პროექტის ფარგლებში შემუშავებულია შრომის მართვის პროცედურა (Labor Management Procedure – LMP). LMP განსაზღვრავს პროექტის მიდგომას ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და ამავე დროს თანხვედრაშია მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს (ESF) მიზნებთან. კერძოდ, იგი შეესაბამება ESS2 – შრომითი ურთიერთობები და სამუშაო პირობები და ESS4 – საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სტანდარტებს.

ESS2-ის მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხო, ჯანსაღი და კეთილდღეობაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო, დაიცვას მუშაკთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და პატივი სცეს მათ უფლებებს პროექტთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელებისას. ESS2-ის ძირითადი მიზნებია:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა;
- ხელი შეუწყოს პროექტში დასაქმებული მუშაკების სამართლიან მოპყრობას,

დისკრიმინაციის თავიდან აცილებას და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას;

- დაიცვას პროექტში დასაქმებულთა შორის მოწყვლადი ჯგუფები, მათ შორის ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ბავშვები (შრომისუნარიან ასაკში, ამ სტანდარტის შესაბამისად), მიგრანტი მუშაკები, კონტრაქტით დასაქმებული პირები, თემის მუშაკები და ძირითადი მომწოდებლების მუშაკები;
- გამორიცხოს იძულებითი შრომისა და ბავშვთა შრომის ყველა ფორმა;
- უზრუნველყოს პროექტში დასაქმებული მუშაკებისთვის გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების პრინციპების დაცვა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;
- უზრუნველყოს ხელმისაწვდომი და ეფექტიანი არხები მუშაკებისთვის სამუშაო პირობებთან დაკავშირებული საკითხებისა და საჩივრების განსახილველად.

### **ESS3 – რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების პრევენცია**

ESS3 მიზნად ისახავს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მათ კონსერვაციას და დაბინძურების კონტროლს. ESS3 - ის მოთხოვნების შესაბამისად, სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია ორგანიზებული იქნება ისე, რომ მინიმუმამდე შემცირდეს წყლის მოხმარება, ენერჯის გამოყენება და ნარჩენების წარმოქმნა, ხოლო თავიდან იქნეს აცილებული დაბინძურება და გარემოს დეგრადაცია.

ESS3 - ის პრინციპების ინტეგრირების გზით, SMDS ქვეპროექტი გააუმჯობესებს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, შეამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და ხელს შეუწყობს მდგრადობას სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის პროცესში. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს გრძელვადიან სარგებელს წყლის დაზოგვის, ენერჯის ეკონომიისა და დაბინძურების პრევენციის მიმართულებით, ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით.

პროექტის ბენეფიციარი ფერმერები გადამზადდებიან პესტიციდების ინტეგრირებული მართვის (Integrated Pest Management – IPM) პრაქტიკის გამოყენებაში, რაც უზრუნველყოფს პესტიციდების ოპტიმიზებულ გამოყენებას და იძლევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებების კონტროლის საშუალებას და მინიმუმამდე ამცირებს აგრობიომრავალფეროვნებაზე, ნიადაგზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფით ზემოქმედებას.

### **ESS4 – საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**

ESS4 მიზნად ისახავს პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრები ადგილობრივი თემების კეთილდღეობის უზრუნველყოფას. ამ სტანდარტის ძირითადი მიზანია პროექტის საქმიანობებიდან გამომდინარე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებების მინიმუმაცია და დადებითი შედეგების მაქსიმუმაცია. შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციისთვის შესაბამისი ESS4-ის ძირითადი ელემენტებია:

#### **ჯანმრთელობის დაცვა:**

ადგილობრივი თემებისთვის გარემოსდაცვითი ზემოქმედებებიდან (მაგ. ჰაერისა და წყლის დაბალი ხარისხი, სახიფათო მასალები, დაავადებების გავრცელება) და სოციალური ფაქტორებიდან (მაგ. ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა, საარსებო წყაროების დაკარგვა, სამუშაო ძალის შემოდინება და კონცენტრაცია, გენდერული ნიშნით ძალადობა) გამომდინარე ჯანმრთელობის რისკების იდენტიფიცირება და მართვა.

### **საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა:**

ბუნებრივი კატასტროფების, უბედური შემთხვევებისა და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში რეაგირების ეფექტიანი გეგმების შემუშავება და წარმოება, სადაც პრიორიტეტი ენიჭება ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის როგორც გადაუდებელ, ასევე გრძელვადიან დაცვას.

### **მდგრადი ინფრასტრუქტურა და ხელმისაწვდომობა:**

პროექტის ინფრასტრუქტურის შესაბამისობა უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებთან და მისი ადაპტირება კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი საფრთხეების მიმართ. ინფრასტრუქტურაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

### **სატრანსპორტო მოძრაობის მართვა:**

პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესაძლო დისკომფორტის, ჯანმრთელობისა და ქონებრივი ზიანის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორის სიჩქარის შეზღუდვა, მოძრაობის გრაფიკების დადგენა, შესაბამისი საგზაო ნიშნების განთავსება, შემოვლითი გზებისა და სამშენებლო მოედნებზე მისასვლელი გზების მოწყობა საცობების თავიდან ასაცილებლად, ასევე საჭიროების შემთხვევაში საგზაო რეგულირების პერსონალის ჩართვა.

### **უსაფრთხოება და კონფლიქტების მართვა:**

გარე სამუშაო ძალასა და ადგილობრივ თემებს შორის შესაძლო კონფლიქტების რისკების გააზრება და შემცირება, მუშაკებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინტერაქციის შედეგად გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენცია; კონტრაქტორების მიერ კერძო უსაფრთხოების პერსონალის გამოყენების შემთხვევაში, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების შემცირება.

### **ESS5 – მიწის შეძენა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არა ნებაყოფლობითი განსახლება**

იმ შემთხვევაში, თუ შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის (SMDS) რეაბილიტაციისთვის საჭირო გახდება მიწის შეძენა, მოსახლეობის ფიზიკური ადგილმონაცვლეობა ან არა ნებაყოფლობითი განსახლების სხვა ფორმები, აღნიშნული პროცესები განხორციელდება ESS5-ის მოთხოვნების შესაბამისად. განსახლების სამოქმედო გეგმები (Resettlement Action Plans – RAP) მომზადდება GRAIL პროექტის განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს (Resettlement Policy Framework – RPF) საფუძველზე.

განსახლების სამოქმედო გეგმები შემუშავდება მონაწილეობის მონაწილეობის პრინციპზე დაყრდნობით გასაჯაროვდება და განხილული იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან (Project Affected People – პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები – PAP). გეგმები შეთანხმდება მსოფლიო ბანკთან და განხორციელდება კონტრაქტორების მობილიზაციამდე შესაბამის სამუშაო უბნებზე. განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ მომზადდება ანგარიში, რომელიც ასევე შეთანხმდება მსოფლიო ბანკთან, რის შემდეგაც გაიცემა სამუშაოების დაწყების ნებართვა. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ქონება არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) უზრუნველყოფს ქონების ლეგალიზაციის პროცესის მხარდაჭერას, ვინაიდან აღნიშნული გარემოება აფერხებს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კომპენსაციის გაცემას. ფიზიკური ადგილმონაცვლეობის და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობის შემთხვევებში, შემუშავდება საარსებო წყაროების აღდგენის შესაბამისი ღონისძიებები,

რომლებიც შეთანხმდება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან და განხორციელდება ისე, რომ GRAIL პროექტის შედეგად მათი მდგომარეობა არ გაუარესდეს.

იმ შემთხვევაში, თუ დასახლებებთან ახლოს სამუშაოების შესრულებისას მოხდება კერძო საკუთრების შემთხვევითი დაზიანება (მაგალითად, ღობეები, ჭიშკრები, ხეები ან სხვა მსგავსი ობიექტები), დაზიანებული ქონება ან აღდგება, ან გაიცემა შესაბამისი კომპენსაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც დროებით ზღუდავს შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის ფუნქციონირებას, დაიგეგმება იმ სეზონზე, როდესაც სადრენაჟე მომსახურებაზე მოთხოვნა დაბალია ან არ არსებობს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ნეგატიური ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე.

### **ESS6 – ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნების რესურსების მდგრადი მართვა**

ESS6-ის მიზანია ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაცია, ცოცხალი ბუნების რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა და ეკოსისტემური სერვისების გაძლიერება. GRAIL პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოში (ESMF) გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის კითხვარი გამოიყენება ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედებების იდენტიფიცირებისთვის, მათ შორის კრიტიკულ და ბუნებრივ ჰაბიტატებზე, დაცულ ტერიტორიებსა და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებზე შესაძლო ზემოქმედებების შესაფასებლად. იდენტიფიცირებული რისკები დეტალურად აისახება ადგილ-სპეციფიურ გარემოსდაცვით და სოციალურ მართვის გეგმაში (ESMP), სადაც განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის ზომები. ESS6-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა მოითხოვს შემდეგს:

კრიტიკული ჰაბიტატების ან მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტერიტორიების გვერდის ავლა;

ველურ ბუნებაზე ზემოქმედებს მინიმუმაცდას და ეკოსისტემური სერვისების უზრუნველყოფის შენარჩუნებას;

ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ადგილობრივი თემების ჩართულობას;

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებების მონიტორინგს მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

### **ESS8 – კულტურული მემკვიდრეობა**

შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის არეალში ამჟამად არ არის ცნობილი მოძრავი ან უძრავი კულტურული, ისტორიული ან არქეოლოგიური ობიექტების არსებობა. თუმცა, სამუშაოების განხორციელების პროცესში მოულოდნელი არქეოლოგიური აღმოჩენის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება „შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურა“ (Chance Find Procedure) ESS8-ის მოთხოვნების შესაბამისად.

### **ESS10 - დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება**

ESS10 მოითხოვს პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის არსებით და ეფექტიან ჩართულობას. ადგილობრივი თემების, მიკრო, მცირე და საშუალო აგრობიზნესებისა და მეურნეობების, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა გადამწყვეტია პროექტის სამიზნე ბენეფიციარებზე დადებითი ზემოქმედების სამართლიანად და თანაბრად მაქსიმუმაციისთვის; მოწყვლადი, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი და მარგინალიზებული მოსახლეობის ჯგუფებზე არაპროპორციული უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად; და ადაპტური პროექტის მართვისთვის

აუცილებელი უკუკავშირის მისაღებად.

შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის პროცესში დაცული იქნება GRAIL პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა (Stakeholder Engagement Plan – SEP). დაინტერესებული მხარეების ეფექტიანი ჩართულობა მოიცავს საჩივრების განხილვის მექანიზმს (Grievance Redress Mechanism – GRM) — პროცედურას და უზრუნველყოფს საჩივრებისა და პრეტენზიების დროულ, ეფექტიან და შედეგიან გადაწყვეტას ყველა მხარისთვის მისაღები გზით. საჩივრების განხილვის მექანიზმი უზრუნველყოფს გამჭვირვალე და სანდო პროცესს სამართლიანი, ეფექტიანი და მდგრადი შედეგების მისაღწევად, აგრეთვე აძლიერებს ნდობასა და თანამშრომლობას, როგორც თემებთან კონსულტაციების უფრო ფართო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რაც ხელს უწყობს საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას.

შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციისთვის დასაქმებული კონტრაქტორები ვალდებული იქნებიან შექმნან და შეინარჩუნონ მოქმედი და ეფექტიანი საჩივრების განხილვის მექანიზმი თავისი თანამშრომლებისთვის.

## **2.2. საქართველოს გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (H&S) კანონმდებლობა და პროექტისთვის შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებები**

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს ის კანონები და საერთაშორისო კონვენციები, რომელთა მონაწილე ქვეყანაც საქართველოა და რომლებიც შესაბამისია შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისთვის.

### **2.2.1. ეროვნული კანონმდებლობა**

#### **ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონი (სარეგისტრაციო №300.310.000.05.001.001.914; 24.06.2005, ბოლო ცვლილება – 12.2024)**

კანონი განსაზღვრავს იმ საქმიანობებს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოსთვის ან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინტერესებზე, ან მოიცავდეს სახელმწიფო რესურსების გამოყენებას.

კანონი ადგენს ასეთი საქმიანობების სრულ ჩამონათვალს და მათ ლიცენზირებასა და ნებართვების გაცემას, აგრეთვე განსაზღვრავს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, შეცვლისა და გაუქმების წესებს.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია ან დემონტაჟი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას არ მოითხოვს. ვინაიდან შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემაზე დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს არსებული სადრენაჟე არხების რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციას, დამატებითი ნებართვის მიღება საჭირო არ არის.

შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემაზე დაგეგმილი სამუშაოები, დიდი ალბათობით, არ მოითხოვს ცემენტის ან და ქვების სამსხრევი დანადგარების მონტაჟს, ვინაიდან პროექტის საქმიანობა ძირითადად მოიცავს სადრენაჟე არხების გაწმენდას მცენარეულობისა და ზედმეტი ნალექისგან. ბეტონი და/ან სხვა სამშენებლო მასალები მოწოდებული იქნება ადგილობრივი ქარხნებიდან ან საწარმოებიდან. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში ცალკე ლიცენზიის მიღება საჭირო არ იქნება. აღნიშნული ობიექტების ოპერატორებს მოეთხოვებათ მოქმედი ლიცენზიების ქონა, ხოლო კონტრაქტორები ვალდებული არიან უზრუნველყონ

მასალების შეძენა მხოლოდ სათანადოდ ლიცენზირებული მომწოდებლებისგან. თუ კონტრაქტორს დასჭირდება მუნიციპალური წყლის ქსელის გამოყენება, შესაბამისი თანხმობა და შეთანხმება უნდა მიიღოს შპს „საქართველოს მელიორაციის“ ადგილობრივი ქვედანაყოფისგან ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან. წყლის მიწოდების წყაროს შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება კონტრაქტორმა უნდა მიიღოს სამუშაო ბანაკის ადგილმდებარეობის განსაზღვრამდე (საჭიროების შემთხვევაში). თუ ახალი ჭაბურღილის ბურღვა იქნება საჭირო, კონტრაქტორი მიიღებს შესაბამის ნებართვას/ლიცენზიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსგან.

### **საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ**

(სარეგისტრაციო №360.000.000.05.001.000.184; 10.12.1996, ბოლო ცვლილება – 06.2023)

კანონი ადგენს გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებს და მიზნად ისახავს ბუნებრივი გარემოს ისეთი მდგომარეობის უზრუნველყოფას, რომელიც უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის; გარემოს დაცვას მავნე ზემოქმედებებისგან; გარემოს ხარისხობრივი პარამეტრების შენარჩუნებას; საზოგადოებრივი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ჰარმონიზაციას; ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას; აგრეთვე გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების რეგულირების ინტეგრირებული სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს არსებული სადრენაჟე არხების რეაბილიტაციას, მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი რისკები ან ზემოქმედებები არ არის მოსალოდნელი. სადრენაჟე არხების გაწმენდასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკები, მცენარეულობისა და ნალექის მოცილების გათვალისწინებით, პროექტის ტიპისა და მასშტაბის მიხედვით შეფასებულია როგორც საშუალო კატეგორიის. ტერიტორიის მდებარეობისა და მგრძობელობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მისი სიახლოვის გამო კოლხეთის ეროვნული პარკთან, მომზადებულია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, რომელიც აღწერს პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელ დადებით და უარყოფით ზემოქმედებებს, აგრეთვე განსაზღვრავს შემარბილებელ ღონისძიებებს უარყოფითი ზემოქმედებების მინიმიზაციის მიზნით. ამასთან, შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდება მდგრადობის, რისკების შემცირების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ზოგადი პრინციპების დაცვით.

### **საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი**

(სარეგისტრაციო №360160000.05.001.018492; 01.06.2017, ბოლო ცვლილება – 08.2025)

კოდექსი წარმოადგენს ძირითად გარემოსდაცვით საკანონმდებლო აქტს, რომელიც არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ჩატარებისა და ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობებისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების (ნებართვების) გაცემის პროცედურებს. კოდექსი განსაზღვრავს გარემოსდაცვითი სკრინინგის, სკოპინგის, ზემოქმედების შეფასების, დაინტერესებული მხარეების კონსულტაციისა და ნებართვების გაცემის წესებს; ასევე იდენტიფიცირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურაში ჩართულ მხარეებს და განსაზღვრავს მათ როლებს. კოდექსს თან ერთვის ორი დანართი, რომლებშიც ჩამოთვლილია კონკრეტული საქმიანობები. I დანართში შეტანილი საქმიანობები უპირობოდ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებას. II დანართში ჩამოთვლილი საქმიანობები გადის სკრინინგს გარემოზე

ზემოქმედების შეფასების საჭიროების დადგენის მიზნით. საქმიანობები, რომლებიც არც ერთ დანართში არ არის შეტანილი, წინასწარი გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარებას არ საჭიროებს. II დანართით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის პროექტის განმახორციელებელი ამზადებს სკრინინგის ანგარიშს, ხოლო იმ საქმიანობებისთვის, რომლებიც საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას — სკოპინგის ანგარიშსა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. განსაზღვრული უფლებამოსილი ეროვნული ორგანო უზრუნველყოფს აღნიშნული ანგარიშების გასაჯაროებას, დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებას და ანგარიშების დამტკიცებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებას. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამტკიცება ითვლება დადებით გადაწყვეტილებად, რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვით ნებართვას შესაბამისი პროექტის განხორციელებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცავს პირობებს, რომელთა შესრულება ეკისრება პროექტის განმახორციელებელს და რომელთა შესრულებას უზრუნველყოფს უფლებამოსილი ეროვნული ორგანო. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ასევე მოიცავს გარემოსდაცვით ინსტრუმენტებს, რომლებიც არ შემოიფარგლება მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასებით, მათ შორის გარემოსდაცვით აუდიტს, ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვით შეფასებასა და სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. ამასთან, კოდექსი არ ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტების, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვების ან დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების შემუშავებასა და გამოყენებას.

შაველეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის საქმიანობები არ ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს. თუმცა, სამშენებლო მასალების მომწოდებელი კონტრაქტორების მიმართ აუცილებელია შემოწმება, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი კოდექსის მოთხოვნებს. ასევე შესაძლებელია, რომ ზოგიერთი დამხმარე საქმიანობა, მაგალითად, სამუშაო ბანაკის მოწყობა, მოხვდეს კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებში. ასეთ შემთხვევაში, საჭირო იქნება სკრინინგის პროცედურის ჩატარება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება.

**ნარჩენების მართვის კოდექსი (სარეგისტრაციო №360160000.05.001.017608; 26.12.2014, ბოლო ცვლილება – 12.2024)**

კოდექსი ადგენს სხვადასხვა ტიპის ნარჩენების მართვის სამართლებრივ ჩარჩოს. ის განსაზღვრავს ნარჩენების მართვის იერარქიას, რომელიც იწყება ნარჩენების წარმოქმნის პრევენციით და მთავრდება მათი საბოლოო განთავსებით. კოდექსი ასევე ამკვიდრებს წრიული ეკონომიკის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს ნარჩენების ხელახალ გამოყენებასა და გადამუშავებას.

სამუშაო ბანაკებში წარმოქმნილი ქაღალდისა და პლასტმასის ნარჩენები შეგროვდება ცალ-ცალკე და გაიტანება კონტრაქტორის მიერ შერჩეული და ზედამხედველის მიერ დამტკიცებული ქვეკონტრაქტორის მეშვეობით. სამუშაო ბანაკებში (არსებობის შემთხვევაში) წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილ სპეციალურ კონტეინერებში და გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის შესაბამისი მომსახურების მიერ. სადრენაჟე არხებიდან ამოღებული მიწისა და ნალექის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება სატუმბო სადგურისა და სქემის სხვა ნაგებობების რეკონსტრუქციისას შევსებითი სამუშაოებისთვის, აგრეთვე არხების გასწვრივ არსებული ბერძების ამაღლების მიზნით. ჭარბი სამშენებლო ნარჩენები (არსებობის შემთხვევაში) განთავსდება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის და/ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ობიექტებზე და განხორციელდება საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. ვინაიდან საქართველოში

სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ნაგავსაყრელები არ არსებობს, ასეთი ნარჩენები გადაეცემა სპეციალიზებულ კომპანიებს მათი ნეიტრალიზაციის, აღდგენის და/ან გრძელვადიანი შენახვის მიზნით.

**წყლის შესახებ საქართველოს კანონი (სარეგისტრაციო №400.000.000.05.001.000.253; 26.10.1997, ბოლო ცვლილება – 07.2023)**

კანონი არეგულირებს საქართველოს წყლის რესურსებს, მათ შორის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გამოყენებასა და დაცვას. მისი მიზანია წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა; წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება არსებული და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; ქვეყნის მოსახლეობის სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა; წყლის ბიორესურსების დაცვა და მდგრადი გამოყენება; წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ეროვნული ინტერესების დაცვა, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობებში; წყლის პროდუქტების სამრეწველო წარმოების რეგულირება; აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა წყლის დაცვისა და გამოყენების პროცესში.

შავლელს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წყლის რესურსების დაცვასა და მათ მდგრად მართვას. სადრენაჟე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შედეგად პროექტი ხელს უშლის მიწის წყლით გადატენიანებას, ზრდის წყლის გამოყენების ეფექტიანობას მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე და ამცირებს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკს. აღნიშნული შედეგები უზრუნველყოფს წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას არსებული და მომავალი თაობებისთვის და შეესაბამება ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტებს გარემოს მდგრადობისა და წყლის ხარისხის დაცვის მიმართულებით.

**საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ (სარეგისტრაციო №400000000.05.001.021003; მიღებულია 30.06.2023)**

კანონის მიზანია საქართველოში წყლის რესურსების მართვის თანამედროვე და ინტეგრირებული სამართლებრივი საფუძვლის ჩამოყალიბება და წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა. კანონი ხელს უწყობს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მდგრად გამოყენებას, წყლის ხარისხის შემდგომი გაუარესების შეჩერებას, წყლის ეკოსისტემების (მათ შორის წყალდამოკიდებული სახმელეთო და ჭარბტენიანი ეკოსისტემების) აღდგენასა და გაუმჯობესებას, წყლის რესურსების სამართლიან გამოყენებას არსებული და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, ეკონომიკური ინსტრუმენტების (როგორცაა წყლის აღებისა და ჩაშვების საფასური) დანერგვას, მდინარის აუზის მართვის მიდგომის დამკვიდრებას და ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესების დაცვას წყლის გამოყენებისა და დაცვის სფეროში.

საქართველო გადადის საქართველოს „წყლის შესახებ“ (1997) კანონის რეგულირების სისტემიდან საქართველოს „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ (2023) კანონის სისტემაზე. 1997 წლის კანონი ძალაში რჩება 2026 წლის 1 სექტემბრამდე, რა დროისთვისაც ამოქმედდება 2023 წლის კანონის ძირითადი დებულებები. შესაბამისად, შავლელს მასივის სადრენაჟე სისტემის სამუშაოები, რომლებიც განხორციელდება 2026 წლის 1 სექტემბრამდე, რეგულირებული იქნება 1997 წლის კანონით და მის საფუძველზე მიღებული მოქმედი ქვემდებარე ნორმატიული აქტებით. თუ შავლელს მასივის სადრენაჟე სისტემასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა გაგრძელდება 2026 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, ის

განხორციელდება 2023 წლის კანონისა და მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის მდინარის აუზის მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებების, წყლის აღებისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნებართვების, აგრეთვე გამლიერებული მონიტორინგისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვით

### **ნიადაგის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი**

(სარეგისტრაციო №370.010.000.05.001.000.080; 12.05.1994, ბოლო ცვლილება – 11.2021)

კანონის მიზანია ნიადაგის მთლიანობის დაცვა და მისი ნაყოფიერების გაუმჯობესება; მიწის მესაკუთრეთა, მიწის მომხმარებელთა და სახელმწიფოს უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა ნიადაგის დაცვის სფეროში; ეკოლოგიურად უსაფრთხო მიწათმოქმედებისთვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფა; სასუქების გამოყენების შედეგად არასასურველი უარყოფითი ზემოქმედებების პრევენცია; საქართველოს მთიან რეგიონებში, განსაკუთრებით სუბალპურ და ალპურ ზონებში, ნაყოფიერი ნიადაგის ფენის შენარჩუნება; აგრეთვე მელიორაციის საქმიანობების კოორდინაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტაბილური და მაღალი მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად.

შაველეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნიადაგის დეგრადაციის პრევენციასა და მიწის პროდუქტიულობის შენარჩუნებაში. გაუმჯობესებული სადრენაჟე პირობები ამცირებს ნიადაგის ჭარბ ტენიანობას, რაც ხშირად იწვევს მიწის გადატენიანებასა და ეროზიას. წყლის დონის სტაბილიზაციისა და ჩამონადენის ეფექტიანი მართვის გზით, პროექტი ხელს უწყობს მიწის მდგრად გამოყენებას, ნიადაგის სტრუქტურისა და ნაყოფიერების შენარჩუნებას და უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას, რაც სრულ შესაბამისობაშია გარემოს დაცვის მიზნებთან და რესურსების მდგრადი მართვის პრინციპებთან.

GRAIL პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მიწის სამუშაოების განხორციელებისას, ზედა ნაყოფიერი ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და ცალკე იქნეს დროებით დასაწყობებული, ხოლო შევსებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოყენებულ იქნეს ტერიტორიის პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად. იგივე მოთხოვნა ვრცელდება ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვების პროცესში შესრულებულ მიწის სამუშაოებზეც. ამასთან, კანონი ავალდებულებს პროექტს მართოს ნიადაგის დაბინძურების რისკები საწვავის, საპოხი მასალებისა და სხვა სახიფათო ნივთიერებების გამოყენებიდან გამომდინარე.

### **ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კანონი (№2260; 08.05.2003, ბოლო ცვლილება – 10.2014)**

კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონებს „წყლის შესახებ“, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და სხვა შესაბამის ნორმატიულ აქტებს, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონი არეგულირებს ნიადაგში მავნე ნივთიერებების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დასაშვები მაქსიმალური კონცენტრაციების დადგენასა და მათ დაცვას. ასევე, იგი განსაზღვრავს ნიადაგის კონსერვაციის, ნაყოფიერების აღდგენისა და გაუმჯობესების ღონისძიებებსა და მექანიზმებს.

### **ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი**

(სარეგისტრაციო №420.000.000.05.001.000.595; 22.06.1999, ბოლო ცვლილება – 06.2023)

კანონის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საჭირო ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაცვა, შენარჩუნება და გაუმჯობესება; ჰაერის

დაბინძურების წყაროებიდან ემისიების რეგულირება; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; აგრეთვე საქართველოში ჰაერის ხარისხის ევროკავშირის სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოების ხელშეწყობა.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელება გამოიწვევს ხმაურისა და ემისიების წარმოქმნას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზემოქმედება დროითა და მასშტაბით შეზღუდული იქნება, ხმაურისა და ემისიების დონე უნდა შემცირდეს მინიმუმამდე შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით.

### **საქართველოს ტყის კოდექსი**

(სარეგისტრაციო №390000000.05.001.019838; 22.05.2020, ბოლო ცვლილება – 11.2023)

კოდექსი არეგულირებს ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მისი მიზანია საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვა და, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, ტყის ხარისხობრივი მახასიათებლების, აგრეთვე ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შენარჩუნება და გაუმჯობესება; ტყის ბუნებრივი და კულტურული გარემოს პირვანდელი მდგომარეობის დაცვა, მათ შორის მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების, იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი მცენარეთა სახეობებისა და სხვა ფასეულობების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის და მათი ურთიერთკავშირის ჰარმონიზებული რეგულირების უზრუნველყოფა; ტყის რესურსებისა და ტყის სხვა ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა; ტყის მდგრადი მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება ითვალისწინებს გარკვეული რაოდენობის ხეების მოცილებას, პროექტი ხელს უწყობს გარემოსდაცვით მდგრადობას უფრო ფართო კონტექსტში და შეესაბამება საქართველოს ტყის კოდექსის მიზნებს. პროექტი დაგეგმილია რეგიონში მიწისა და წყლის მართვის გაუმჯობესების მიზნით, რაც ამცირებს ნიადაგის ეროზიას და წყალდიდობის რისკებს — ეს უკანასკნელი წარმოადგენს მიმდებარე ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნებისთვის ერთ-ერთ ძირითად საფრთხეს. სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის შედეგად იზრდება მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგრადობა და ნაყოფიერება, რაც ხელს უწყობს უფრო სტაბილურ და მდგრად სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებს. შედეგად, მიწის რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება ამცირებს ზეწოლას ტყის რესურსებზე. ხეების მოცილება განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით, გარემოსდაცვითად პასუხისმგებელი მიდგომით და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან კოორდინაციით.

### **დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონი**

(სარეგისტრაციო №360.050.000.05.001.000.127; 07.03.1996, ბოლო ცვლილება – 04.2022)

კანონი ემსახურება საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მის მდგრად გამოყენებას. იგი ადგენს დაცული ტერიტორიების კატეგორიებს და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ფარგლებში დასაშვებ საქმიანობებს.

შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის პროექტის არეალი მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრებს გარეთ, თუმცა იგი უშუალოდ ესაზღვრება პარკის ტერიტორიას. შესაბამისად, პროექტის განხორციელების პროცესში მკაცრად იქნება დაცული ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი მოთხოვნა.

პროექტი ხელს შეუწყობს მიმდებარე ეკოსისტემების გრძელვადიან მდგრადობასა და გამძლეობას წყალდიდობის რისკების შემცირების და პარკის საზღვრებთან ახლოს ჰაბიტატების დეგრადაციის პრევენციის გზით. სადრენაჟე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ჭარბი ზედაპირული წყლების დაცულ ეკოსისტემებში გავრცელების თავიდან აცილებას, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ეროვნული პარკის ფარგლებში ბუნებრივი ბალანსის შენარჩუნებას.

ამასთან, აღინიშნება, რომ კოლხეთის ეროვნული პარკი ფუნქციონირებს ოფიციალურად დამტკიცებული მართვის გეგმის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, პროექტის საქმიანობები კოორდინირებული და შესაბამისობაში მოყვანილი იქნება აღნიშნული მართვის გეგმით განსაზღვრულ დებულებებსა და პრიორიტეტებთან, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის განხორციელების სრული თავსებადობა პარკის გრძელვადიან კონსერვაციულ მიზნებთან.

### **საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ კანონი**

(სარეგისტრაციო №360.060.000.05.001.001.297; 06.06.2003, ბოლო ცვლილება – 11.2023)

კანონი ადგენს საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შედგენისა და წარმოების წესებს, რომელთა საშუალებით იდენტიფიცირებულია საქართველოში გავრცელებული გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ველური ცხოველებისა და მცენარეების სახეობები. კანონი კრძალავს აღნიშნულ ნუსხაში შეტანილ სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენას და აწესებს შეზღუდვებს დაცული სახეობების ინდივიდების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე.

კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროექტის განხორციელების პროცესში ჩატარდება დეტალური ეკოლოგიური კვლევები პროექტის არეალში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების (არსებობის შემთხვევაში) იდენტიფიცირების მიზნით. გამოვლენილი სახეობების მიმართ განხორციელდება მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები მათი დაცვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს სახეობების გადატანას (ტრანსლოკაციას), ბუფერული ზონების დადგენას და სამუშაოების დაგეგმვას ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული დაცული სახეობებისთვის სენსიტიური პერიოდები.

პროექტი განახორციელებს უწყვეტ მონიტორინგის პროგრამას წითელი ნუსხის სახეობების მდგომარეობის შესაფასებლად პროექტის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და მისი განხორციელების პროცესში. გარემოსდაცვით უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობით, ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება დროულად იქნება გამოვლენილი და გატარებული იქნება ადაპტირებადი მართვის ღონისძიებები, რომ პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნეს დაცული სახეობების კონსერვაცია.

### **საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ საქართველოს კანონი**

(№2350; 23.07.1999, ბოლო ცვლილება – 06.2023; გადაერქვა სახელწოდება და ამჟამად მოქმედებს როგორც საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ)

კანონის მიზანია ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, გარემოზე, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტებზე, ქონებრივ და ეკონომიკურ ინტერესებზე საშიში ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. კანონი ასევე განსაზღვრავს გარემოს გამოყენებისა და/ან მასზე მავნე ზემოქმედების საფასურის გაანგარიშებისა და დაკისრების წესებს, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი

ორგანო დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროექტის განხორციელების პროცესში შესაძლებელია საშიში ნივთიერებების (მაგალითად, ნავთობპროდუქტების, დიზელის საწვავის და სხვა მსგავსი მასალების) გამოყენება ან მიწოდება. გაუთვალისწინებელი შემთხვევების ან ავარიული სიტუაციების დროს, პროექტის ფარგლებში სრულად იქნება დაცული აღნიშნული კანონის მოთხოვნები და გატარდება შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის თავიდან აცილებისა და/ან მისი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.

### **მიწის შექენასა და განსახლების საკითხებთან დაკავშირებული კანონები და რეგულაციები**

საქართველოში მოქმედებს არაერთი კანონი, რომლებიც არეგულირებს მიწის საკუთრების უფლებებსა და ექსპროპრიაციის (იძულებითი ჩამორთმევის) პროცესებს. ამ სფეროში ძირითადი პრინციპია, რომ ფიზიკური აქტივების კომპენსაცია გაიცემა მათი სრული ჩანაცვლებითი ღირებულების საფუძველზე, რაც განისაზღვრება მსოფლიო ბანკის სტანდარტების შესაბამისად. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს შემოსავლების დაკარგვისთვის კომპენსაციის გაცემას (მაგალითად, მოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას).

კანონები ავალდებულებს პროექტის განმახორციელებელს უზრუნველყოს დაზარალებულ პირთა კონსულტაცია და წინასწარი ინფორმირება, რათა ისინი სრულად იყვნენ ინფორმირებულნი და მონაწილეობდნენ მიწის შექენისა და ექსპროპრიაციის პროცესში.

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს ის კანონები, რომლებიც ეხება მიწათსარგებლობას, მიწის შექენასა და ექსპროპრიაციას, აგრეთვე აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებულ შესაბამის პროცედურებს.

საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ (სარეგისტრაციო №020.060.040.05.001.000.670; 23.07.1999, ბოლო ცვლილება – 06.2023)

კანონი სახელმწიფოს ანიჭებს უფლებამოსილებას, საჯარო აუცილებლობის გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, ექსპროპრიაციის გზით ჩამოართვას საკუთრება რეგისტრირებულ მესაკუთრეებს. ექსპროპრიაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ რეგიონული სასამართლოს მიერ და მას წინ უნდა უძღოდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განკარგულება, რომელიც ასაბუთებს საჯარო აუცილებლობას. ექსპროპრიაციის განმახორციელებელი ვალდებულია, ექსპროპრიაციის დაწყებამდე, ყველა გონივრული ძალისხმევა მიმართოს ქონების ნებაყოფლობითი შექენისკენ მოლაპარაკებების გზით. ამასთან, იგი ვალდებულია საკუთარი ხარჯით განსაზღვროს ქონების სამართლიანი საბაზრო ღირებულება მოლაპარაკებების დაწყებამდე.

შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის ქვეპროექტის ფარგლებში საკუთრების ექსპროპრიაცია არ არის გათვალისწინებული.

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების შედეგად ახალი მიწის ათვისების ღირებულებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონი** (სარეგისტრაციო №370.020.000.05.001.000.244; 02.10.1997, ბოლო ცვლილება – 06.2019)

კანონი ადგენს მოთხოვნებს დაზარალებული კერძო მიწის მესაკუთრეებისა და მიწის მომხმარებლებისთვის ქონებრივი ზიანისა და მომავალი შემოსავლების დაკარგვის ანაზღაურების შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გამოიყენება არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის. თუ სასოფლო-სამეურნეო მიწა გამოდის

სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან, კანონი ითვალისწინებს მიწის ჩანაცვლების საფასურის გადახდას, რომელიც ფარავს ეკვივალენტური ზომისა და ხარისხის სასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულებას, აგრეთვე უზრუნველყოფს მიწის მესაკუთრისა და/ან მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანის სრულ ანაზღაურებას.

კანონის ძირითადი მიზანია არასასოფლო-სამეურნეო მიწებისთვის გამოსაყენებელი სასოფლო-სამეურნეო მიწებისთვის კომპენსაციის ღონისძიებების განსაზღვრა. კომპენსაციის ზომები დადგინდება საქართველოს რეგიონების მიხედვით. კანონი ასევე განსაზღვრავს კომპენსაციის მოცულობასა და მათი განაწილების წესს. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს მიწის მესაკუთრეებისა და მომხმარებლების კომპენსაციას იმ შემთხვევებში, როდესაც მიწათსარგებლობა დროებით შეჩერებულია და/ან მიწის ხარისხი გაუარესებულია, ან დაწესებულია მიწათსარგებლობის შეზღუდვები.

### **სხვა შესაბამისი კანონმდებლობა**

**საქართველოს შრომის კოდექსი (სარეგისტრაციო №270000000.04.001.016012; 17.12.2010, ბოლო ცვლილება – 04.2025)**

კოდექსი არეგულირებს საქართველოში შრომით ურთიერთობებსა და ადამიანური რესურსების მართვას. იგი განსაზღვრავს შრომით ურთიერთობებს საქართველოში მოქმედ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკებსა და დამსაქმებლებს შორის, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. კოდექსი ხელს უწყობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველყოფისა და უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნის გზით. შრომის კოდექსი ადგენს დასაქმების გარანტიებს, სამუშაო დროს, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებს და სხვა შესაბამის საკითხებს. კოდექსის თანახმად, დასაქმების მინიმალური ასაკი განისაზღვრება 14 წლით. 18 წლამდე ასაკის პირებს ეკრძალებათ გარკვეული სამუშაოების შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია კოდექსით, აგრეთვე დაწესებულია სამუშაო დროის შეზღუდვები 14-დან 18 წლამდე ასაკის მუშაკებისთვის.

### **შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი**

(სარეგისტრაციო №270000000.04.001.017910; 19.02.2019, ბოლო ცვლილება – 06.2025)

კანონი განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებსა და ზოგად პრინციპებს იმ სამუშაოებისთვის, რომლებიც არის საშიში, მძიმე, მავნე და/ან სახიფათო. კანონი აკისრებს დამსაქმებელს ზოგად ვალდებულებას, უზრუნველყოს დასაქმებულთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო და სრულყოფილად მიაწოდოს ინფორმაცია იმ პოტენციური რისკების შესახებ, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს მათი სამუშაოს შესრულებას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით. კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და საინფორმაციო კამპანიების განხორციელებას, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დანერგვას, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ორგანიზებასა და მართვას, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას, უბედურ შემთხვევებზე რეაგირებას, სახიფათო სამუშაო ზონებზე წვდომის კონტროლს, დასაქმებულებისთვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უფასოდ უზრუნველყოფას და სავალდებულო სამედიცინო შემოწმებების ჩატარებას.

შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდება აღნიშნული კანონის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი პროცედურისა და პრინციპის სრული დაცვით. სამშენებლო მოედნებზე უზრუნველყოფილი იქნება

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები ამ კანონის საფუძველზე. პროექტის საქმიანობების ფარგლებში, სავარაუდოდ, დასაქმებული იქნება ჯამში დაახლოებით 148 თანამშრომელი. შესაბამისად, სამშენებლო კომპანიები ვალდებული არიან სრულად გაითვალისწინონ მოქმედი შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნები.

აღნიშნული კანონის მოთხოვნები გავრცელდება როგორც რეაბილიტაციის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე.

### **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონი**

(№1139; 10.12.1997, ბოლო ცვლილება – 06.2007)

კანონის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. კანონი განსაზღვრავს მოსახლეობისა და იურიდიული პირების უფლებებსა და ვალდებულებებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. საქართველოს კანონის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ შესაბამისად, დამტკიცებულია გარემოს ხარისხობრივი ნორმები, რომელთა დაცვა სავალდებულოა პროექტის განხორციელების პროცესში.

აღნიშნული კანონის მოთხოვნები გავრცელდება როგორც რეაბილიტაციის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე. კონტრაქტორ კომპანიებს ექნებათ ვალდებულება სამუშაო მოედნებზე უზრუნველყონ პირველადი დახმარების საშუალებების (უსაფრთხოების ნაკრებების) ხელმისაწვდომობა და გადამზადებული პერსონალის ყოფნა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის. საგანგებო შემთხვევის დადგომისას კონტრაქტორი ვალდებულია დაუკავშირდეს საგანგებო სიტუაციების ერთიან ნომერს **112**, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის კოორდინაციას ადგილობრივ რეგიონულ საგანგებო მომსახურების პროვაიდერთან (აჭარის რეგიონული სამსახური).

### **კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონი**

(სარეგისტრაციო №450.030.000.05.001.002.815; 08.05.2007, ბოლო ცვლილება – 12.2024)

კანონი უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ არსებული ეროვნული კულტურული ფასეულობების დაცვას. ის არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების სამართლებრივ ასპექტებს; ადგენს კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაციისა და აღრიცხვის (რეესტრის) პრინციპებს; განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესებს; და აყალიბებს კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვის ჩარჩოს. კანონი ასევე მოიცავს შემთხვევითი აღმოჩენების მართვას და არეგულირებს ფართომასშტაბიანი მიწის სამუშაოების ნებართვის გაცემის პროცედურებს საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი კვლევის საფუძველზე დადგინდება გამოყოფილ ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენების შესაძლებლობა.

შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის არეალში ამჟამად არ არის იდენტიფიცირებული თვალსაჩინო ისტორიული ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები. თუმცა, სამშენებლო სამუშაოების პროცესში არქეოლოგიური ნაშთების შემთხვევითი აღმოჩენის შესაძლებლობა არ გამოირიცხება. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთი აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს და ინფორმირებული იქნეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები.

### **ტექნიკური რეგლამენტები**

ტექნიკური რეგლამენტი №414 — ჩამდინარე წყლებით ზედაპირულ წყლის ობიექტებში ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები ჩაშვების (MPD) ნორმების გაანგარიშების შესახებ.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №440 — წყლის დაცვის ზონების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

ტექნიკური რეგლამენტი — ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების დასაშვები მაქსიმალური ზღვრული მნიშვნელობების (MPV) გაანგარიშების შესახებ.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №\_\_\_ — ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 — საცხოვრებელ შენობებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში შენობებისა/სათავსოების აკუსტიკური ხმაურის ზღვრული დონეების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №424 (2013) — ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის წესების შესახებ.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 — სამშენებლო უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტი. ეს დადგენილება განსაზღვრავს სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას უსაფრთხოების ნორმებსა და პროცედურებს და ადგენს სამშენებლო მოედნებზე უსაფრთხო სამუშაო პირობების მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 — სიმაღლეზე მუშაობის ტექნიკური რეგლამენტი. დადგენილება განსაზღვრავს სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებისას უსაფრთხოების სპეციფიკურ მოთხოვნებს, მათ შორის დაცემისგან დაცვის ღონისძიებებს. დამსაქმებლები ვალდებული არიან განახორციელონ რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებები დასაქმებულთა დაცემის რისკების თავიდან ასაცილებლად.

**2.2.2. საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები**

*ცხრილი 1. საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები*

თარიღი	სათაური	სტატუსი საქართველოში	თარიღი
<b>ბუნებრივი გარემო</b>			
1971	რამსარის კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ, განსაკუთრებით წყალმცურავი ფრინველების ჰაბიტატების დაცვის მიზნით	ძალაშია	1997
1973	ველური ფლორისა და ფაუნის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენცია (CITES)	ძალაშია	1996
1983	ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენცია (ბონის კონვენცია) (CMS)	ძალაშია	2000
1992	ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია (რიოს კონვენცია)	ძალაშია	1994
2000	ბიოსაფრთხოების კარტახენის პროტოკოლი ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში	ძალაშია	2009

2010	ევროპული ლანდშაფტის კონვენცია	ძალაშია	2011
<b>გარემოს დაბინძურება, ნარჩენები</b>			
1997	ამოწურული ბირთვული საწვავის მართვის უსაფრთხოების და რადიოაქტიური ნარჩენების მართვის უსაფრთხოების შესახებ ერთობლივი კონვენცია	ძალაშია	2009
1998	როტერდამის კონვენცია საერთაშორისო ვაჭრობაში გარკვეული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების წინასწარი ინფორმირებული თანხმობის (PIC) პროცედურის შესახებ	ძალაშია	2007
1989	ბაზელის კონვენცია საშიში ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლისა და მათი განთავსების შესახებ	ძალაშია	1995
2001	სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ	ძალაშია	2007
<b>კლიმატი</b>			
1994	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC)	ძალაშია	1994
1997	კიოტოს პროტოკოლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში	ძალაშია	2005
<b>კულტურული მემკვიდრეობა</b>			
1954	ევროპული კულტურული კონვენცია	ძალაშია	1997
1982	ევროპული კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ	ძალაშია	2000
1985	ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია	ძალაშია	2000
2005	ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოებრივი ღირებულების შესახებ (ფაროს კონვენცია)	ძალაშია	2011

<b>საჯარო მონაწილეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა</b>			
1998	აარჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ	რატიფიცირებულია	2004
<b>შრომითი საკითხები</b>			
1930	იძულებითი შრომის კონვენცია	ძალაშია	1993
1948	ორგანიზების უფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების კონვენცია	ძალაშია	1993
1950	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის	ძალაშია	1999

	ევროპული კონვენცია		
1958	დისკრიმინაციის (დასაქმებისა და საქმიანობის სფეროში) კონვენცია	ძალაშია	1993
1962	შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სოციალური პოლიტიკის (ძირითადი მიზნები და სტანდარტები) კონვენცია	ძალაშია	1997
1964	დასაქმების პოლიტიკის კონვენცია (ჟენევა)	ძალაშია	1993
1973	დასაქმებაზე დაშვების მინიმალური ასაკის შესახებ ჟენევის კონვენცია	ძალაშია	1996

### 3. საბაზისო ინფორმაცია

#### 3.1 ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

შაველეს მასივის სადრენაჟე სისტემა (SMDS) მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ფოთის პორტის სიახლოვეს, საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან დაახლოებით 312 კმ დასავლეთით. სისტემა განლაგებულია ხობის მუნიციპალიტეტში, რიონის მდინარის ქვედა დინების მარცხენა ნაპირზე, შავი ზღვის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან დაახლოებით 21 კმ-ის დაშორებით. ტერიტორია წარმოადგენს რიონის მდინარის შესართავთან ფორმირებულ ჭარბტენიან დელტას, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდინარის, რიონის, შავ ზღვაში ჩადინების შედეგად არის ჩამოყალიბებული.

სადრენაჟე სისტემა მდებარეობს ზღვის დონიდან საშუალოდ 0.8–2.0 მ სიმაღლეზე და მისი დანიშნულებაა შაველეს ტერიტორიაზე წყლით დატბორვისა და ჭარბტენიანობის პრობლემების მართვა და შემცირება. აღნიშნული ტერიტორია ხასიათდება მაღალი ნალექიანობითა და მჭიდრო მდინარეთა ქსელით, რაც ზრდის ჭარბი ტენის დაგროვების რისკს. შაველეს მასივის სადრენაჟე სისტემის ძირითადი მიზანია სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან ჭარბი წყლის მოცილება დატბორვის თავიდან ასაცილებლად, ნიადაგის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის.



სურათი 1: შაველეს მასივის სადრენაჟე სისტემის მდებარეობა

ლენინური კომკავშირის სახელობის სახელმწიფო სუბტროპიკული მეურნეობის მიწების საერთო ფართობი შეადგენს 850 ჰექტარს, მათ შორის 30 ჰა გამოუყენებელ მიწას, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის.

ტერიტორიის დაჭაობების ძირითადი გამომწვევი მიზეზებია: ნალექების გართულებული დრენაჟი მიწის ზედაპირის მცირე დახრილობის გამო; მიწისქვეშა წყლების მაღალი დონე; ტბის წყლებით ტერიტორიის დატბორვა წყლის მაღალი დონის პერიოდში. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის მდ. რიონის მიერ დატბორვას, აღმოფხვრილია მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის შედეგად.

პროექტის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში მიწისქვეშა წყლები ზედაპირიდან 0–0.5 მ სიღრმეზე მდებარეობს. დახურული კოლექტორების წყალმიმღებები წარმოადგენს ღია სადრენაჟე არხებს, ხოლო მათი შეერთება დაპროექტებულია ბეტონის წყალგამტარი მილებით (კალვერტებით), არხების ეროზიისგან დაცვის მიზნით. ღია სადრენაჟე არხების საშუალო სიღრმე შეადგენს 2.0 მ-ს, ფსკერის სიგანე — 1.0 მ-ს, ხოლო ფერდობების დახრილობა — 2.0. სადრენაჟე არხებს შორის დაშორება შეადგენს 10 მ-ს, რაც განსაზღვრულია ავერიანოვის ფორმულის საფუძველზე. დახურული სადრენაჟე მილების საერთო სიგრძე შეადგენს 99.8 კმ-ს, ხოლო დახურული კოლექტორების სიგრძე — 5 კმ-ს.

მთავარი არხი წარმოადგენს მდინარე შავლელეს გაგრძელებას და ჩაედინება პალიასტომის ტბაში, სადაც უზრუნველყოფს 10-წლიან განმეორებადობის ხარჯის გატარებას ( $Q = 39.0 \text{ მ}^3/\text{წმ}$ ). მდ. შავლელეს კალაპოტი პროექტის ფარგლებში ჩალრმავებულია, გაფართოებულია და ნაწილობრივ გასწორებულია. მთავარი არხის განივი კვეთი გაანგარიშებულია 10-წლიან განმეორებადობის ხარჯებზე, რომლებიც არხის სათავეში შეადგენს  $3.8 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -ს, ხოლო არხის ბოლოს —  $39.0 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -ს.

პალიასტომის ტბაში წყლის ნიშნულის +0.3 მ-ზე შენარჩუნების პირობებში უზრუნველყოფილია ტერიტორიის ნორმალური დრენირება. თუმცა, წყლის ნიშნულის +0.6 მ-მდე აწევის შემთხვევაში, მდ. შავლელეში წყლის დონე იმატებს და იწვევს სახელმწიფო მეურნეობის ტერიტორიის დატბორვას, ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე კვირის განმავლობაშიც. ტერიტორიის დატბორვისგან დაცვის მიზნით, დაგეგმილია მარეგულირებელი შლუზი, სადრენაჟე სატუმბი სადგური და მდინარის ნაპირსამაგრი დამბა.

პალიასტომის ტბაში წყლის მაღალი ნიშნულების (+0.6 მ) პირობებში მდინარე შავლელეში და მთავარ სადრენაჟე არხში წარმოიქმნება უკუდინება, რის შედეგადაც სადრენაჟე სისტემა და ღია სადრენაჟე ქსელი ფუნქციონირებას წყვეტს, ხოლო მცენარეთა ფესვები რჩება წყალში და ვერ იღებს ჟანგბადს, რაც უარყოფითად აისახება მცენარეთა ზრდასა და მოსავლიანობაზე. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად მდინარეზე დაპროექტებულია მარეგულირებელი შლუზი და სადრენაჟე სატუმბი სადგური. წყლის მაღალი ნიშნულების დროს შლუზ-მარეგულირებელი ჩამოწეულია, რის შედეგადაც შეწყდება მდინარიდან წყლის შემოდინება სადრენაჟე არხებში, ხოლო დაშრობილი ტერიტორიიდან წყალი სატუმბი სადგურის მეშვეობით გადაიტუმბება მდინარე შავლელეში. წყლის დაბალი დონის პირობებში მთავარ სადრენაჟე არხში მარეგულირებელი აწეულია, რის შედეგადაც წყლის გატარება ხორციელდება თვითდინებით, სატუმბი სადგურის ჩართვის გარეშე.

საპროექტო მაჩვენებლები შემდეგია:

- 10-წლიან განმეორებადობაზე საერთო ჩამონადენი:  $W = 262\ 103 \text{ მ}^3$
- მაქსიმალური წყლის შემოდინება:  $Q = 39.0 \text{ მ}^3/\text{წმ}$
- დატბორვის დასაშვები ხანგრძლივობა:  $t = 0.5 \text{ დღე}$
- სატუმბი დანადგარების წარმადობა:  $q = 2\ 880 \text{ მ}^3/\text{სთ}$  ( $0.8 \text{ მ}^3/\text{წმ}$ ) თითოეული ტუმბო;
- საერთო რაოდენობა — 5 ტუმბო ( $14\ 400 \text{ მ}^3/\text{სთ}$ ); აწევის სიმაღლე — 4.2 მ; ელექტრული სიმძლავრე — 45 კვტ
- დაწნევითი მილსადენები: დიამეტრი —  $D = 630 \text{ მმ}$ ; სიგრძე —  $L = 72\text{--}114 \text{ მ}$



სურათი 3: შავლეღეს მასივის სადრენაჟე სისტემაში არსებული ნაგებობები

### 3.3 სადრენაჟე სისტემის არსებული კომპონენტები

შავლეღეს მასივის სადრენაჟე სისტემის (SMDS) პროექტის საერთო (მთლიანი) ფართობი შეადგენს 920 ჰექტარს და მოიცავს გზებს, სადრენაჟე არხებს, ტყის ფართობებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ფართობების განაწილება წარმოდგენილია ცხრილი 2-ში.

ცხრილი 2. პროექტის საერთო ფართობები

მიწა	გზები	სადრენაჟე არხები	ტყე	დასახლება	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	საერთო ფართობი
ფართობი (ჰა)	13	46	41	64	756	920

არსებული სადრენაჟე სისტემა აშენდა 1982 წელს, დამშრალი მიწების სასოფლო-სამეურნეო განვითარების დაჩქარების მიზნით. თუმცა, ამჟამად სადრენაჟე არხების უმეტესობა ამოვსებულია გრუნტითა და ლამით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად არის შემცირებული მათი გამტარობა და გაუარესებულია დრენირების ეფექტი. შესაბამისად, აუცილებელია სადრენაჟე არხების რეაბილიტაცია, 1981–2023 წლების (43 წელი) ნალექების რეჟიმის გათვალისწინებით. მიწის სამუშაოების საერთო მოცულობა წარმოდგენილია ცხრილში 3.

სადრენაჟე არხები დაპროექტებულია გაანგარიშებული ხარჯისა და დაქანების საფუძველზე. ხშირ შემთხვევაში არსებული არხები ზედმეტად დიდია, რაც ნიშნავს, რომ საპროექტო განივი კვეთა მცირეა არსებულთან შედარებით. ასეთ შემთხვევებში არხები არ შეივსება საპროექტო კვეთის მისაღწევად; ნაცვლად ამისა, ამოღება განხორციელდება მხოლოდ საჭირო სიღრმემდე. სრულად განსაზღვრული საპროექტო კვეთა საჭიროა მხოლოდ SK-2 მაგისტრალური სადრენაჟე არხისთვის. მთავარი სადრენაჟე არხების K-1 და K-2 შემთხვევაში ამოღებული მასალა განთავსდება სამხრეთ ნაპირზე, რათა თავიდან იქნას აცილებული პალიასტომის ტბიდან უკუდინების გავლენა. შედეგად შეიქმნება ჰიდრაულიკური ბარიერი ტბასა და სადრენაჟე სქემას შორის, რომელიც გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემაში წყლის დონე ქვედა ბიეფის დონეს გადააჭარბებს.

ცხრილი 3. მიწის სამუშაოების მოცულობა სადრენაჟე არხებზე

სადრენაჟე არხი	სიგრძე (მ)	გრუნტის ამოღება (მ <sup>3</sup> )	შევსება (მ <sup>3</sup> )	ერთეულის მოცულობა გრუნტის ამოღებისთვის (მ <sup>3</sup> /მ)	ერთეულის მოცულობა შევსებისთვის (მ <sup>3</sup> /მ)
მაგისტრალური	7,078	51,776	31,551	7.32	4.46
მეორე რიგის	24,263	21,114	1,788	0.87	0.07
მესამე რიგის	36,490	58,928	-	1.61	-
სულ	67,831	131,817	33,339	1.94	0.49

არსებული სადრენაჟე სისტემის ნაგებობები საჭიროებს რეაბილიტაცია/მოდერნიზაციას. რეაბილიტაციას დაქვემდებარებული ნაგებობების რაოდენობა შემდეგია:

**ცხრილი 4: ნაგებობების სამუშაოების მოცულობები**

S. No.	ნაგებობები	ერთეული	მონაცემები
1	სადრენაჟე წყლის გამშვები ნაგებობა		
2	ლილვიანი ვერტიკალური ტურბინული სატუმბი დანადგარები (წარმადობა — 1.4 მ <sup>3</sup> /წმ)	რაოდენობა	5
3	სატუმბი სადგურის შენობა	რაოდენობა	1
4	ზედა დინების (U/S) წყალმიმღები და ქვედა დინების (D/S) წყალგამშვები აუზი	რაოდენობა	1
5	სადრენაჟე არხის კალაპოტის მოწყობა/რეაბილიტაცია ზედა და ქვედა ბიეფში	მ	150
6	ელექტრომოწყობილობების მონტაჟი	სამუშაო	1
7	ხარჯის მარეგულირებელი ნაგებობა (გამშვები ფარები— 3 ცალი, ზომები 2.0 × 2.6 მ)	რაოდენობა	1
8	მიწაყრილი დამბა	მ	1,090
9	ზედაპირული წყალსაგდები	მ	95
10	არსებული სადრენაჟე არხის უკუჩაყრა (SK-2-1-1)	მ	270
11	არსებული ჭის/ავანკამერის უკუჩაყრა (დიამეტრი 20, სიღრმე 5)	რაოდენობა	1
12	ხიდი 6-მეტრიანი მალით	რაოდენობა	1
13	სამთვლიანი მართკუთხა მილხიდი (3.5*2.5) მ	რაოდენობა	1
14	ერთთვლიანი მართკუთხა მილხიდი (3.5*2.5) მ	რაოდენობა	1
15	ორთვლიანი მართკუთხა მილხიდი (1.5*1.5) მ	რაოდენობა	1
16	ერთთვლიანი მართკუთხა მილხიდი (1.5*1.5) მ	რაოდენობა	21
17	მილხიდები	რაოდენობა	
18	0.6 მ დიამეტრის რკინაბეტონის მილხიდები	რაოდენობა	45
19	0.8 მ დიამეტრის რკინაბეტონის მილხიდები	რაოდენობა	33
20	1.0 მ დიამეტრის რკინაბეტონის მილხიდები	რაოდენობა	18

21	სატუმბ სადგურთან მისასვლელი გზა	მ	300
22	მაგისტრალური და მეორე რიგის სადრენაჟე არხების გზების შეკეთება	მ	13,000

#### 4. პროექტის აღწერა

##### 4.1 სადრენაჟე არხის პროექტი

მაგისტრალური სადრენაჟე არხის განივი კვეთის პროექტი განისაზღვრება ჰიდრავლიკური ეფექტურობის, ტოპოგრაფიული პირობების, სამშენებლო მასალებისა და გრუნტის წყლების დონეების გათვალისწინებით. არხები ძირითადად მოეწყობა მიწის კალაპოტით, რათა თავიდან იქნას აცილებული ლერწმისა და წყალმცენარეების ჭარბი ზრდა და, ამავდროულად, ხელი შეეწყოს გრუნტის წყლების დრენაჟს. მაგისტრალური სადრენაჟე არხები გაფართოვდება ორსაფეხურიანი კვეთის სტრუქტურით; ქვედა (დამგროვებელი) ნაწილი დაიგეგმება ბეტონის მოპირკეთებით, ხოლო ზედა (წყალდიდობის) სექციისთვის გამოყენებული იქნება მიწის ან ქვყარილის კონსტრუქციები.

არხის ფსკერის ნიშნული დაახლოებით 10-20 სმ-ით დაბალი იქნება სავლე სადრენაჟე არხის ბოლო წერტილის ნიშნულზე, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ნატანის დაღეჟვა და წყალმცენარეების ზრდა. განივი კვეთის ფართობი ( $A=B \times H$ ) განისაზღვრება წყალშემკვრები აუზის კონცენტრაციის დროისა ( $T_c$ ) და ჰიდროლოგიური მრუდის ნომრის ( $CN$ ) საფუძველზე, საპროექტო წყალდიდობის ხარჯის გამოსათვლელად. გვერდითი ფერდობები დაიგეგმება როგორც მიწის კონსტრუქციები, 1:2.0 ქანობის გრადიენტით, რაც შესაბამისობაში იქნება სავლე სადრენაჟე არხებთან, რაც ხელი შეუწყობს ფილტრაციული (ჩაჟონილი) წყლების დრენაჟს და უზრუნველყოფს ფერდობის მდგრადობას.


##### 4.2 სატუმბი სადგურის პროექტი

არსებული სატუმბი სადგური მდებარეობს შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის (SMDS) გამოსასვლელის მონაკვეთში, ორი მაგისტრალური სადრენაჟე არხის — S-K-1-ისა და S-K-2-ის — შეერთების წერტილში. სისტემიდან შეგროვილი წყალი პალიასტომის ტბაში ბუნებრივი გზით (თვითდინებით) გაედინება, ვინაიდან არსებული სატუმბი სადგური გაუმართავია — მასში არ არის სატუმბი აგრეგატები და კარიბჭეების ფრთები. შესაბამისად, ნორმალურ პირობებში, მაგისტრალურ არხებში წყლის დინება იბლოკება ტბის წყლის ნორმალური მაღალი დონის გამო, რაც იწვევს წყლის სტაგნაციას (დაგუბებას).



სურათი 4: სატუმბი სადგურის განთავსების ალტერნატიული ადგილი

ტბის წყლის დონე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაღალია, რის გამოც მაგისტრალურ სადრენაჟე არხებში წყლის დონე ტბის დონის ტოლია, ან ზოგჯერ შეინიშნება მცირე უკუდინება, რაც ხელს უშლის სისტემაში გრუნტის წყლების დონის კლებას. აღნიშნული გარემოება იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანებას ჭარბტენიანობის გამო. გარდა ამისა, სისტემის ტოპოგრაფიული პირობები ხასიათდება მცირე დახრილობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გრუნტის წყლების დონე მაღალია, რაც მაგისტრალურ არხში წყლის ხანგრძლივი სტაგნაციის გამო ხელს უშლის სათანადო დრენაჟს. აქედან გამომდინარე, პროექტი ითვალისწინებს მოძველებული სადრენაჟე ფარების კონსტრუქციებისა და წყალმიმღები კამერების დემონტაჟს და ორი მაგისტრალური არხის შეერთების ადგილზე ფორსირებული დრენაჟისთვის ახალი ტუმბოს დამონტაჟებას, რომ განხორციელდეს კულტურათა წარმოების უნივერსალიზაცია და გაიზარდოს ფერმერთა შემოსავალი.



სურათი 5: მე-2 ალტერნატივა: სატუმბი სადგურისა და გამშვები ფარის განლაგება

### 4.3 ლიცენზირებული მასალების უახლოესი წყაროები

ლიცენზირებული სამშენებლო მასალების — ხრეშის, ქვიშისა და წყლის — უახლოესი წყაროები განლაგებულია ხობისწყლის მდინარის კალაპოტში. აღნიშნული წყაროების მდებარეობისა და მანძილების გათვალისწინებით, შორ მანძილზე ტრანსპორტირება საჭირო არ იქნება, რაც შეამცირებს როგორც ლოგისტიკურ ხარჯებს, ისე გარემოზე ზემოქმედებას (იხ. მე-5 ცხრილი).

ცხრილი 5: ინფორმაცია ბუნებრივი სამშენებლო მასალების ლიცენზირებული კარიერების შესახებ

No.	ლიცენზია #	სახელი	მესაკუთრე	ვადა	ფართობი (მ²)
1	10001277	ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე ხობისწყლიდან, სოფელი სააიჯაოსთან	შპს „შარა-გზამშენი პირველი“	24.01.20-დან 25.01.27-მდე	30,020
2	10001648	ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე ხობისწყლიდან, სოფელ ზუბთან	შპს „ვესტ ჯორჯია“	03.09.20-დან 05.09.26-მდე	20,360
3	10001656	ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე ხობისწყლიდან, სოფელ ბიას მიმდებარედ	შპს „პრაიმ ბეტონი“	07.09.20-დან 08.09.26-მდე	52,400
4	10002245	ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე ხობისწყლიდან, სოფელი სააიჯაოსთან	შპს „ჯი-არ-ჯი“	28.07.21-დან 29.07.26-მდე	62,660

ბეტონის ნარევის მოწოდება შესაძლებელია ხობისა და ფოთის ტერიტორიაზე არსებული ბეტონის ქარხნიდან (შპს „პრაიმ ბეტონი“). აღნიშნულ კომპანიას ასევე გააჩნია ხრეშის მოპოვების კარიერი ახლომდებარე ტერიტორიაზე. კონტრაქტორს მშენებლობის პროცესში შეუძლია გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე ბეტონის ქარხანა.

სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო წყლის მიწოდება მოხდება მდინარე შავდელედან და/ან ჭაბურღილებიდან. რაც შეეხება სასმელ და სამეურნეო წყალს, მათი მიწოდება სამშენებლო ბანაკებში შესაძლებელია ცისტერნების (ავზების) მეშვეობით შემდეგი ჭაბურღილებიდან ან მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელიდან (ცხრილი 6).

**ცხრილი 6: ინფორმაცია ლიცენზირებული მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის შესახებ**

No.	ლიცენზია #	სახელი	მესაკუთრე	ვადა	ფართობი( მ²)
1	1000113	მიწისქვეშა/მტკნარი წყლის მოპოვება (სამეწარმეო მიზნით), სოფელ პატარა ფოთთან	შპს „პრაიმ ბეტონი“	11.08.2011-დან 02.06.2026-მდე	0.07
2	1000847	მიწისქვეშა/მტკნარი წყლის მოპოვება (სამეწარმეო მიზნით), სოფელ პირველი მაისთან	შპს „სანპეტროლიუმ ჯორჯია“	19.09.2012-დან 20.09.2037-მდე	0.07

**5. საჯარო კონსულტაციები**

პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს შესაბამისად, ქვეკონტრაქტორებსა და კონტრაქტორის სამუშაო გუნდებს ეკისრებათ ვალდებულება, პროექტის დიზაინის ეტაპზე განსახორციელებელი საქმიანობებისა და სამუშაოების ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით, დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარულად ჩაატარონ საკონსულტაციო შეხვედრები.

საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სამინისტროს და/ან კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდ(ებ)ზე, გამოქვეყნდება ადგილობრივ პრესაში და განთავსდება საჯარო სივრცეებში შავდელეს სადრენაჟე სისტემის გასწვრივ მდებარე დასახლებებში, მათ შორის შესაბამისი მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციებში. საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდება იმ ლოკაციებზე, რომლებიც მოსახერხებელია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დასახლებების უმრავლესობის წარმომადგენელთა დასწრებისთვის. საკონსულტაციო შეხვედრებს უმასპინძლებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) და შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლები, ხოლო შეხვედრების მოდერაციას უზრუნველყოფენ სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) წარმომადგენლები. საკონსულტაციო შეხვედრების ფარგლებში ადგილობრივ თემებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების მოცულობისა და ხასიათის შესახებ, ასევე სამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების, აგრეთვე მშენებლობის პერიოდში ხელმისაწვდომი საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) შესახებ. საკონსულტაციო შეხვედრების მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა დასვან შეკითხვები და გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და კომენტარები.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების საფუძველზე, პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე, საპროექტო კომპანიამ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე შესაძლო ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და მიწის შექმნასთან დაკავშირებული ზემოქმედებების შეფასებისა და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ჩაატარა რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ შპს „საქართველოს მელიორაციის“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი თემების/ფერმერების წარმომადგენლები.

პირველი საველე ვიზიტი გაიმართა 2024 წლის 26–27 აგვისტოს და განხორციელდა შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნულ პერიოდში არსებული სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე მისასვლელი გზა ჩახერგილი იყო ხეებით, რის გამოც შესაძლებელი გახდა მხოლოდ არსებული სადრენაჟე არხებისა და ნაგებობების დათვალიერება. ამასთან, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ დაადასტურა, რომ პიკური სეზონის პერიოდში მდინარე რიონიდან კალაპოტის გადავსების ან ფილტრაციის შედეგად დატბორვა არ დაფიქსირებულა. სუფთა სასოფლო-სამეურნეო ფართობი შეადგენს 628 ჰა-ს, ხოლო მთლიანი ფართობი — 920 ჰა-ს.

მეორე საველე ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12–13 დეკემბერს. ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებულ იქნა მდინარის გასწვრივ არსებული ელექტროგადამცემი ხაზის ანძა, სატუმბი სადგური, სადრენაჟე არხები და მდინარე რიონის დამცავი ნაპირსამაგრი ნაგებობა. ადგილობრივი ფერმერების ინფორმაციით, ძირითადი სადრენაჟე არხიდან წყლის გაშვება ვერ ხერხდება ტბიდან გადმოდინებული წყლის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით, მათ გამოთქვეს მოთხოვნა ახალი სატუმბი სადგურის მოწყობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სადრენაჟე არხებში წყლის დონის შემცირებას და შესაძლებელს გახდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას. სადრენაჟე სისტემის არსებული ტექნიკური მახასიათებლებისა და ფუნქციონირების, აგრეთვე ფერმერების მიერ დასმული სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ ინფორმაცია შეგროვდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით (დანართი C).

მესამე საველე ვიზიტი გაიმართა 2025 წლის 22 იანვარს და მისი მიზანი იყო არსებული სატუმბი სადგურისა და სადრენაჟე არხების მდგომარეობის შეფასება. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სატუმბი სადგური და წყალსაშვი ფარი არ ფუნქციონირებდა და აკლდა აუცილებელი ნაგებობები. ასევე გაირკვა, რომ სადრენაჟე არხი S-K-3 აგრძელებდა ფუნქციონირებას მაშინაც კი, როდესაც მაგისტრალურ სადრენაჟე არხში S-K-2 წყლის დონე მაქსიმალურ ნიშნულს აღწევდა. შესაბამისად, S-K-3-ის აუზი გათვალისწინებული უნდა იყოს წყალდიდობის ანალიზში, სატუმბი სადგურის პიკური ხარჯის განსასაზღვრად.

მეოთხე საველე ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13 მარტს და მოიცავდა მოკლე შეხვედრებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლებთან და ადგილობრივ ფერმერებთან. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სადრენაჟე არხებისა და ნაგებობების, მათ შორის სატუმბი სადგურის, ადგილზე არსებული მდგომარეობა. ადგილობრივი ფერმერების ინფორმაციით, ტერიტორიაზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია სიმინდი, კარტოფილი, ციტრუსები, ბოსტნეული და მაცვალი. ფერმერებმა ასევე გამოთქვეს მზადყოფნა, ახალი სატუმბი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო ელექტროენერჯის საფასურის გადახდისა და სადრენაჟე არხების გაწმენდის შესახებ, თუ სისტემა რეაბილიტირებული იქნება.

მეხუთე საველე ვიზიტი ჩატარდა 2025 წლის 6 ივნისს კომპანია Geo-Consulting-ის ტექნიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ექსპერტების მიერ. ვიზიტის მიზანი იყო დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შესაძლო

ზემოქმედებების შეფასება. გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და თემის წარმომადგენლებთან. თემის ლიდერსა და ადგილობრივ ფერმერებს მიეწოდათ ინფორმაცია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე შესაძლო ზემოქმედებების შესახებ.

მექვესე ვიზიტი ჩატარდა 2026 წლის 30 იანვარს, რომლის დროსაც განხორციელდა საჯარო კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. კონსულტაციის მიზანი იყო ადგილობრივი ბენეფიციარების ინფორმირება შავლელეს სარწყავი არხის რეაბილიტაციის დაგეგმილი სამუშაოების შესახებ, პროექტის ტექნიკური შინაარსის გაცნობა და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვა, კერძოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის მნიშვნელობის, მისი განხორციელებისა და საჭიროების შესახებ ინფორმაციის გაზიარება

ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრების დოკუმენტური მასალები წარმოდგენილია F დანართში

**6. საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM)**

საჩივრების მართვასთან დაკავშირებული საკონტაქტო პირი და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ღონისძიებების კოორდინატორი წარმოდგენილია პროექტის განხორციელების ყველა დონეზე და დანიშნულია, საჩივრების მართვის პასუხისმგებელ პირად (GM Focal Point).

**პროექტის კონსულტანტი — სოციალური ექსპერტი: ნინო პაატაშვილი (მთავარი ექსპერტი)**

აღწერა	შავლელეს სადრენაჟე არხის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია
დამკვეთი:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ვის:	ნინო პაატაშვილი
მისამართი:	ბელიაშვილის ქუჩა 145
ელ. ფოსტა:	<a href="mailto:ninopaataashvili@yahoo.com">ninopaataashvili@yahoo.com</a>
ვებგვერდი:	
ტელეფონი:	+995 577 74 24 31

**პროექტის კონსულტანტი — ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტი: ეკატერინა ბუბაშვილი**

აღწერა	შავლელეს სადრენაჟე არხის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია
დამკვეთი:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ვის:	ეკატერინა ბუბაშვილი
მისამართი:	ბელიაშვილის ქუჩა 145
ელ. ფოსტა:	
ვებგვერდი:	

ტელეფონი:	+995 598 18 44 78
-----------	-------------------

**პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) სოციალური სპეციალისტი — კომუნიკაციების ოფიცერი: სოფი ბერიშვილი**

აღწერა	შავლელეს სადრენაჟე არხის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია
PIU	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ვის	სოფი ბერიშვილი
მისამართი:	მრშალ გელოვანის გამზირი #6
ელ. ფოსტა:	<a href="mailto:Sophiko1@hotmail.com">Sophiko1@hotmail.com</a>
ვებგვერდი:	<a href="http://www.mepa.gov.ge">www.mepa.gov.ge</a>
ტელეფონი:	+995599270049

საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) უზრუნველყოფს შავლელეს სადრენაჟე სისტემაზე როგორც პროექტის განმახორციელებლის, ასევე მის მიერ დაქირავებული სამშენებლო კონტრაქტორის მიერ სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოშობილი საჩივრების ეფექტურ, დროულ და ხარჯთეფექტიან განხილვასა და გადაწყვეტას, GRM განკუთვნილია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისა და გარე დაინტერესებული მხარეთათვის. საჩივრების განხილვის მექანიზმი დეტალურად არის განხილული წინამდებარე გარემოსა და სოციალური მართვის გეგმის C დანართში.

წინამდებარე გეგმის სამუშაო ვერსია გასაჯაროვდება ქართულ და ინგლისურ ენებზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და/ან შპს „საქართველოს მელიორაციის“ ოფიციალურ ვებგვერდ(ებ)ზე, აგრეთვე სხვა ისეთი საინფორმაციო საშუალებებით, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომი და მოსახერხებელია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადგილობრივი თემებისთვის, დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვამდე. საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სამინისტროს და/ან კომპანიის ვებგვერდ(ებ)ზე, გამოქვეყნდება ადგილობრივ პრესაში და განთავსდება საჯარო სივრცეებში შავლელეს სადრენაჟე სისტემის გასწვრივ მდებარე დასახლებებში, მათ შორის შესაბამისი მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციებში. საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდება იმ ლოკაციებზე, რომლებიც მოსახერხებელია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დასახლებების უმრავლესობის წარმომადგენელთა დასწრებისთვის. საკონსულტაციო შეხვედრებს უმასპინძლებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლები, ხოლო შეხვედრების მოდერაციას უზრუნველყოფენ სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) წარმომადგენლები. შეხვედრების ფარგლებში ადგილობრივ თემებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბისა და ხასიათის შესახებ, ასევე სამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების, აგრეთვე მშენებლობის პერიოდში ხელმისაწვდომი საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) შესახებ. საკონსულტაციო

შეხვედრების მონაწილეებს მიეცემა შესაძლებლობა დასვან შეკითხვები და გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და კომენტარები.

საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები მომზადდება და მოიცავს წარმოდგენილი პრეზენტაციების ჩანაწერებს, მონაწილეთა კომენტარებს, შეკითხვებსა და გაცემულ პასუხებს, ფოტოდოკუმენტაციას, აგრეთვე შეხვედრების მონაწილეთა დასწრების სიების სკანირებულ ასლებს. ESMP საბოლოო ვერსია მომზადდება საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, ხოლო საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები დაერთდება ESMP-ის საბოლოო ვერსიას.

## **7. მიწის შესყიდვისა და განსახლების საკითხები**

მიწის შესყიდვისა და შესაძლო განსახლების საკითხების წინასწარი შეფასების მიზნით, საპროექტო კომპანიამ, კომპანია Geo-Consulting-ის ტექნიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ექსპერტებთან ერთად, სავლელ ვიზიტები განახორციელა 2025 წლის 13 მარტსა და 6 ივნისს. აღნიშნული ვიზიტების მიზანი იყო დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება. გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და თემის წარმომადგენლებთან. თემის ლიდერსა და ადგილობრივ ფერმერებს მიეწოდათ ინფორმაცია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე შესაძლო ზემოქმედებების შესახებ.

სავლელ ვიზიტების ფარგლებში დადასტურდა, რომ შავლელს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისთვის მიწის შესყიდვა ან ფიზიკური განსახლება საჭირო არ არის. იდენტიფიცირებული ერთადერთი შესაძლო ზემოქმედება უკავშირდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე დროებით შეზღუდვებს, რომლებიც შესაძლოა გამოწვეული იყოს სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებით. ფერმერებმა, თემის ლიდერმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა ერთხმად დაადასტურეს, რომ არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ დროებით შეზღუდვებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდება დამატებითი სავლელ ვიზიტები. ჩატარდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე უფრო დეტალური შეფასება, აგრეთვე გაიმართება დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები ადგილობრივ თემთან. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ქონების რაიმე გაუთვალისწინებელი დაზიანება, ის შესაბამისი წესით დოკუმენტირებული იქნება და აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაჭრა მოხდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS1 — „გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა“ და ESS5 — „მიწის შექმნა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არა ნებაყოფლობითი განსახლება“ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით.

**8. გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა**

საქმიანობა	რისკი/მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი ორგანიზაცია
<b>მშენებლობის წინა ეტაპი</b>			
მონაწილე მხარეთა ინფორმირება	ადგილობრივი თემების საჩივრები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ადგილობრივი მოსახლეობის (მუნიციპალიტეტების) ინფორმირება დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ნაბეჭდი მასალებისა და ელექტრონული მედიის გამოყენებით, აგრეთვე შესაბამისი შეტყობინებების განთავსება პროექტის არეალში მდებარე სოფლების საჯარო სივრცეებში.</li> <li>● ფიზიკური სამუშაოების დაგეგმვა ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდისა და მოსავლის აღების პროცესის შეზღუდვა სეზონის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული შეფერხებები გარდაუვალია, ფერმერები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი აღნიშნული შეფერხებების დროისა და ხანგრძლივობის შესახებ.</li> <li>● დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრების რეგულარულად ჩატარება, რომ ადგილობრივი თემის მხრიდან წამოჭრილ შესაძლო საჩივრებსა და შეკითხვებზე დროულად და ზუსტად მოხდეს რეაგირება.</li> <li>● საჩივრების ყუთების დამონტაჟება თემისთვის ადვილად ხელმისაწვდომ ლოკაციებზე.</li> </ul>	კონტრაქტორი / სამშენებლო ზედამხედველობის კომპანია / პროექტის განმახორციელებელი ერთეული

<p>სამუშაო ძალის დაქირავება და გადამზადება</p>	<p>კონტრაქტორსა და მუშაკებს შორის შრომითი ურთიერთობებისა და სამუშაო პირობების შესახებ დავები</p> <p>მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაზიანება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაძლებლობის ფარგლებში, არაკვალიფიციური ან ნახევრადკვალიფიციური მუშაკების დასაქმება ადგილობრივი თემებიდან და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით.</li> <li>• ყველა დასაქმებულთან და პერსონალთან წერილობითი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება საქართველოს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის დაცვით. პროექტის განხორციელებისას უზრუნველყოფილი იქნება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს (ESF), ESS2 – შრომითი ურთიერთობები და სამუშაო პირობები და ESS4 – ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მოთხოვნებთან შესაბამისობა, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული შრომის მართვის პროცედურის (LMP) შესაბამისად.</li> <li>• ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის შემუშავება საქართველოს ორგანული კანონის (13.06.2023), საქართველოს კანონის „დაზღვევის შესახებ“ №690 (02.05.1997, ცვლილება 15.12.2023), საქართველოს კანონის „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესახებ“, აგრეთვე IFC/მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (EHS) სახელმძღვანელო მითითებების პრინციპების საფუძველზე და მისი დამტკიცება პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ. უზრუნველყოფილი იქნება ESS2/ESS4-ის შესაბამისად პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირება და კონტროლის ღონისძიებების გატარება.</li> <li>• მუშაკების ტრენინგის ჩატარება, ინციდენტების დოკუმენტირება და ანგარიშგება, საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მიღებული გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელება.</li> <li>• ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის განმარტება მუშაკებისთვის სამუშაო ადგილზე დასაცავი უსაფრთხოების წესების შესახებ ტრენინგების მეშვეობით.</li> <li>• ყველა მუშაკისთვის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა, მათი სავალდებულო გამოყენების განმარტება და სამუშაო ადგილზე მათი გამოყენების მკაცრი კონტროლი.</li> <li>• პროექტის ფარგლებში დაუშვებელია იძულებითი შრომისა და ბავშვთა შრომის ნებისმიერი ფორმის გამოყენება.</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>
--	---	--	--------------------

საკმიანობა	რისკი/მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი
განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელება	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების კერძო საკუთრებისა და მიწათსარგებლობის უფლებების დარღვევა	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსახლების ჩარჩოს (RAF) შესაბამისად, კერძო მიწებზე, შენობებზე ან სხვა აქტივებზე ნებისმიერი მუდმივი ან დროებითი ზემოქმედების შემთხვევაში, მომზადდეს და მსოფლიო ბანკს დასამტკიცებლად წარედგინოს განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელების დასრულების ანგარიშები.</li> <li>• მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელება კონტრაქტორის სამშენებლო მოედანზე მობილიზაციამდე.</li> <li>• კონტრაქტორისთვის სამუშაო უბნის გადაცემის შესახებ ოფიციალური შეტყობინების გაცემა განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელების დასრულების ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.</li> </ul>	კონტრაქტორი, პროექტის განმახორციელებელი ერთეული
სამუშაო ბანაკების მოწყობა	გარემოსდაცვისა და სოციალური თვალსაზრისით მგრძობიარე რეკვიპტორების დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> <li>• საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან კოორდინაციით, მუშაკთა ბანაკების განთავსების ადგილების შერჩევა იმ არეალებში, სადაც გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება მინიმალურია (მაგალითად, წყლის წყაროებიდან, ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან და დასახლებებიდან მოშორებით).</li> </ul>	კონტრაქტორი
<b>მშენებლობის ეტაპი</b>			
გრუნტის ამოღება	<ul style="list-style-type: none"> <li>- ნაყოფიერი ზედა ფენის ხარისხის გაუარესება ან დაკარგვა</li> <li>- საფრთხეები არასწორად დასაწყობებული გრუნტის გამო</li> <li>- ჭარბი გრუნტის არასწორი განთავსებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნიადაგის ნაყოფიერი ზედა ფენის და ქვედა ფენის ერთმანეთში არევა დაუშვებელია.</li> <li>• სამუშაო მოედანზე განისაზღვროს ნიადაგის ნაყოფიერი ზედა ფენის და ქვედა ფენის დროებითი დასაწყობების კონკრეტული ადგილები, ისე, რომ გრუნტის ყრილმა არ შეზღუდოს მისასვლელელები, იყოს სტაბილური და ეროზიის შედეგად არ გამოიწვიოს ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურება</li> <li>• გრუნტის ქვედა ფენის ყრილის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 6 მეტრს.</li> <li>• ნაყოფიერი ზედა ფენის ყრილის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2 მეტრს; ყრილი უნდა იყოს გამაგრებული ეროზიისა და ნაყოფიერი ფენის ჩამორეცხვის</li> </ul>	კონტრაქტორი, მუნიციპალიტეტი

	<p>გამოწვეული გარემოსდაცვითი ზიანი</p> <p>- ადამიანებისა და ცხოველების ჩავარდნის რისკი გათხრილ ტრანშეებში</p> <p>- ლანდშაფტის ესთეტიკური იერსახის დაზიანება</p>	<p>თავიდან ასაცილებლად.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ღია ტრანშეები უნდა დაიფაროს, ადამიანებისა და ცხოველების ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად. გათხრილი ტრანშეები უნდა ამოივსოს რაც შეიძლება მოკლე ვადაში.</li> <li>• მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდეს ტერიტორიის რეკულტივაცია და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ნაყოფიერი ნიადაგის ალტერნატიული გამოყენება დაუშვებელია.</li> </ul>	
სადრენაჟე არხების გაწმენდა	<p>- წყლის სიმღვრივის ზრდა და დანალექების დაგროვება, რაც უარყოფითად აისახება წყლის ბინადარ სახეობებზე</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოები დაიგეგმოს წყლის ბინადარი სახეობების გამრავლებისა და ქვირითობის სენსიტიური პერიოდების ფარგლებს გარეთ.</li> </ul>	კონტრაქტორი

	<p>- წყლის ეკოსისტემებსა და ფსკერზე მცხოვრებ ორგანიზმებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება</p> <p>- ტექნიკის მიერ გამოყენებული ზეთის, საწვავის ან საპოხი მასალებისგან დაბინძურების რისკი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნალექის ბარიერების, ნატანდამჭერების ან სხვა შესაბამისი ღონისძიებების გამოყენება, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ნალექის ჩარეცხვა ქვედა ბიეფში მდებარე წყლის ობიექტებში;</li> <li>• წყლის ეკოსისტემებსა და ფსკერზე მცხოვრებ ორგანიზმებზე ზემოქმედების თავიდან აცილება ან მინიმინზაცია;</li> <li>• სახიფათო ნივთიერებების დაღვრის პრევენციის მიზნით მკაცრი ღონისძიებების გატარება</li> <li>• ამოღებული მასალის სათანადო შეგროვება, ტრანსპორტირება და დროებითი განთავსება გასხვისების ზოლის ფარგლებში, შემდგომი გამოყენების მიზნით (მაგალითად, ტრანშეების ამოვსება, არხის გასწვრივ არსებული ბერძების</li> </ul>	
--	---	--	--

	<p>- მახლობელ მოსახლეობასა და ველურ ბუნებაზე დროებითი ზმაურისა და ვიზრაციის ზემოქმედება</p>	<p>ამაღლება და სხვ.);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივ თემებთან უწყვეტი კომუნიკაციის უზრუნველყოფა სამუშაოების გრაფიკისა და შესაძლო დროებითი შეფერხებების შესახებ.</li> </ul>	
<p>შემთხვევითი აღმოჩენების მართვა</p>	<p>ისტორიული არტეფაქტების დაკარგვა ან დაზიანება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შემთხვევითი აღმოჩენის გამოვლენის შემთხვევაში კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეაჩეროს ყველა ფიზიკური სამუშაო და ამის შესახებ მყისიერად აცნობოს მშენებლობის ზედამხედველ კომპანიასა და პროექტის განმახორციელებელ ერთეულს.</li> <li>• კონტრაქტორმა და/ან პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა ოფიციალურად უნდა აცნობოს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს (NACHP) შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ და წერილობით მოითხოვოს შემდგომი ნაბიჯებისა და ქმედებების შესახებ მითითებები.</li> <li>• სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის (clearance report) ან მითითებების მიწოდება კონტრაქტორისთვის/PIU-სთვის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დროულად განახორციელოს საჭირო ღონისძიებები.</li> <li>• სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ (NACHP) უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის (clearance report) ან მითითებების მიწოდება კონტრაქტორისთვის/PIU-სთვის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დროულად განახორციელოს საჭირო ღონისძიებები.</li> <li>• სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უნდა გასცეს წერილობითი შეტყობინება კონტრაქტორისთვის/PIU-სთვის სამუშაოების</li> </ul>	<p>პროექტის განმახორციელებელ ი ერთეული, კონტრაქტორი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (NACHP)</p>

		<p>ადგილზე განხორციელებული საქმიანობების დასრულების შესახებ და უზრუნველყოს სამუშაოების განახლების ნებართვა.</p>	
<p>არხების გასწვრივ ტერიტორიის მცენარეულობისგან გაწმენდა</p>	<p>მცენარეულობაზე გადაჭარბებული ზემოქმედება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს შესაბამისი ნებართვა იმ უფლებამოსილი ორგანოსგან, რომლის იურისდიქციაშიც მდებარეობს შესაბამისი ტერიტორია.</li> <li>● არხებსა და სადრენაჟე არხებში ძირითადად გავრცელებულია მურყანი (Alnus – bearded alder). ყველა ასეთი ხე უნდა მოიჭრას/ამოღებული იქნას სადრენაჟე არხებიდან. მოჭრის/ამოღების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიმდებარე კერძო მიწებზე ზემოქმედების თავიდან აცილებას, რათა დაცული იყოს კერძო მესაკუთრეთა ნათესები და სასოფლო-სამეურნეო მიწები.</li> <li>● სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა ჩაატაროს ხეების სრული ინვენტარიზაცია პროექტის მთელ არეალში, ხოლო მოსაჭრელი ხეები მკაფიოდ და სათანადო წესით უნდა იყოს მონიშნული.</li> <li>● ხეების არასაჭირო ჭრა უნდა იქნეს თავიდან აცილებული.</li> <li>● მცენარეულობის მოცილება და დასაწყობება უნდა განხორციელდეს კონტრაქტორის გარემოსდაცვითი სპეციალისტის ზედამხედველობით.</li> <li>● ხეების ჭრის სამუშაოები უნდა შემოიფარგლოს წინასწარ განსაზღვრული საზღვრებით.</li> <li>● პერსონალის გადამზადება ხეების ჭრის, მართვისა და განსაზღვრულ ტერიტორიაზე დასაწყობების წესების შესახებ.</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>

--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> <li>● სამუშაო ადგილზე ხის დაწვა დაუშვებელია.</li> <li>● სამუშაო ძალამ არ უნდა დააზიანოს კერძო მესაკუთრეთა ხეხილი.</li> <li>● ყველა ხის ნარჩენი მოცილებული უნდა იქნეს სადრენაჟე არხებიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ღვინო და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედებები.</li> <li>● ხეების ჭრის შემდეგ უნდა განხორციელდეს გრუნტის შენარჩუნება/დატკეპნა გრუნტის ეროზიის თავიდან ასაცილებლად.</li> <li>● ყველა მოჭრილი ხე -მცენარეულობა უნდა განთავსდეს მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრულ ტერიტორიებზე, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მითითებების შესაბამისად.</li> <li>● მერქნული რესურსი უნდა გადაეცეს ეროვნულ სატყეო სააგენტოს (NFA) და/ან მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს.</li> <li>● მიწის გაწმენდის სამუშაოებში ჩართულ მუშაკებს უნდა ჩაუტარდეთ შესავალი ინსტრუქტაჟი და ადგილზე ტრენინგები.</li> </ul>	
--	--	--	--

<p>ფაუნის სახეობების დაცვა</p>	<p>ცხოველებისა და ფრინველების დაზიანება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა სარეაბილიტაციო სამუშაო უნდა განხორციელდეს მხოლოდ დამტკიცებულ საზღვრებსა და სადრენაჟე არხების განსაზღვრული გასხვისების ზოლის (RoW) ფარგლებში.</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ტყის ტერიტორიებთან სიახლოვეს გადაადგილებისას დაცულ უნდა იქნას მაქსიმალური სიჩქარე — 10 კმ/სთ.</li> <li>• სიგნალის (კლაქსონის) გამოყენება დაუშვებელია.</li> <li>• თხრილების გარშემო უნდა დამონტაჟდეს დამცავი შემოღობვა, შინაური და ველური ცხოველების ჩავარდნისა და დაზიანების თავიდან ასაცილებლად.</li> <li>• ბრაკონიერობა მკაცრად აკრძალულია.</li> <li>• უნდა დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები და საინფორმაციო დაფები ადგილობრივი ფაუნის შესახებ, სადაც ხაზგასმით აღინიშნება ბრაკონიერობის აკრძალვა.</li> <li>• სამშენებლო სამუშაოები არ უნდა განხორციელდეს გამრავლების სეზონზე. თუ გამოვლინდება ბუდეები, ისინი გადატანილ უნდა იქნას უახლოეს უსაფრთხო ადგილზე.</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>
--------------------------------	---	--	--------------------

<p>წყლის გარემოს დაცვა</p>	<p>წყლის ბინადარი სახეობების დაზიანება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაუშვებელია სამშენებლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნატანით სავსე წყლების ჩაშვება სადრენაჟე არხებში ან ტბაში.</li> <li>• გახსნილი ჟანგბადის (DO) დონის ყოველთვიური მონიტორინგი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.</li> <li>• ნავთობის დაღვრის კონტროლის ღონისძიებების გატარება და საგანგებო რეაგირების სისტემის ჩამოყალიბება დაღვრილი მასის სწრაფი ლოკალიზებისა და მართვისთვის.</li> <li>• სადაც ეს შესაძლებელია სამუშაოები არ უნდა დაიგეგმოს წყლის სენსიტიური</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>
----------------------------	--	--	--------------------

		<p>ჰაბიტატების გამრავლებისა და მიგრაციის პერიოდებში.</p>	
<p>წყლის ობიექტების დაცვა</p>	<p>წყლის დაბინძურების რისკი, ნიადაგის ეროზიით გამოწვეული სედიმენტაციის რისკები.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს იკრძალება გაუწმენდავი საკანალიზაციო წყლების ჩაშვება სანიაღვრე არხებსა თუ წყლის ობიექტებში; პერსონალის სანიტარიული პირობების უზრუნველსაყოფათ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბიოტუალეტები.</li> <li>● დაუშვებელია მყარი ნარჩენების მოხვედრა სანიაღვრე არხებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე; უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო მოედნის რეგულარული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა.</li> <li>● რეგულარულად უნდა წარმოებდეს ჩაშვებული წყლის ხარისხის მონიტორინგი დამაბინძურებელ ნივთიერებათა დასაშვებ ზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად</li> <li>● სადრენაჟე არხებში ან მიმდებარე ტერიტორიებზე მყარი ნარჩენების განთავსება დაუშვებელია; აუცილებელია სამუშაო მოედნის რეგულარული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა</li> <li>● ჩაშვებული წყლის ხარისხის რეგულარული მონიტორინგი დამაბინძურებელ ნივთიერებათა დასაშვებ ზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.</li> <li>● იკრძალება ავტომანქანებისა და ტექნიკის რეცხვა სამუშაო მოედანზე.</li> <li>● ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება და საწვავით გამართვა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ან სახელოსნოებში; დაღვრის თავიდან ასაცილებლად გენერატორები განთავსდება სადრენაჟე ქვესადგამებზე (drip trays).</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• საწვავისა და სახიფათო მასალების შენახვა წყლის ობიექტებისგან მოშორებით, მეორადი შეკავების სისტემებში (მაგ. სადრენაჟე ქვესადგამები, შემოზღუდული/ბორდიურიანი ზონები), რომელთა ტევადობა რეზერვუარის მოცულობის სულ მცირე 110%-ს შეადგენს.</li> <li>• დაღვრაზე რეაგირების ჯგუფის შექმნა და მომზადება; სამუშაო მოედანზე დაღვრაზე რეაგირების კომპლექტების (აბსორბენტები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPE), ნარჩენების პარკები, ნიჩბები, ცოცხები, გამაფრთხილებელი ლენტები, აქანდაზები, ნეიტრალიზატორები) უზრუნველყოფა.</li> </ul>	
<p>სამშენებლო ტექნიკისა და ავტომანქანების ექსპლუატაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ემისიები (გამონაბოლქვი ატმოსფეროში)</li> <li>- მტვრის წარმოქმნა</li> <li>- ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნა</li> <li>- გარემოს დაბინძურება ექსპლუატაციის პროცესში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მტვრის წარმოქმნის კონტროლი ტექნიკის გადაადგილებისას, გზების საჭიროებისამებრ მორწყვის (დატენიანების) გზით.</li> <li>• ყველა სამშენებლო ტექნიკისა და მანქანა-დანადგარის შენარჩუნება გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში, ზედმეტი ხმაურისა და ემისიების (გამონაბოლქვის) თავიდან ასაცილებლად.</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>

	<p>ნავთობისა და საპოხი მასალების შემთხვევითი (ავარიული) დაღვრა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძრავებისა და მანქანა-დანადგარების უნდა იყოს გამორთული (ჩამქრალი) ან მუშაობდეს მინიმალური დატვირთვით, როდესაც ისინი არ გამოიყენება; ასევე, ემისიების შესამცირებლად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნიკის დაბალი სიჩქარით გადაადგილება.</li> <li>• დასახლებულ პუნქტებში სიჩქარის 30-40 კმ/სთ ლიმიტის დაწესება. ნარჩენებისა და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისას სატვირთო ავტომანქანების გადახურვა (ტენტის გამოყენება).</li> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება უნდა განხორციელდეს სერვის-ცენტრებში ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, ზედაპირული წყლის ობიექტებისგან მოშორებით. ავტომანქანების საწვავით გამართვა წარმოებდეს სერვის-ცენტრებში. თუ ეს შეუძლებელია, ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყალგაუმტარი ზედაპირითა და დაღვრის შემკავებელი ზონებით.</li> <li>• სამუშაო მოედანზე უნდა მოეწყოს სახიფათო მასალების საცავი და უზრუნველყოფილი იყოს დაღვრაზე რეაგირების კომპლექტების (spill kits) არსებობა; პერსონალის ტრეინინგები დაღვრილი მასის შეგროვების წესების შესახებ.</li> <li>• მისასვლელი გზების რეგულარული მორწყვა (დატენიანება).</li> </ul>	
<p>არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა</p>	<p>- ტერიტორიის დანაგვიანება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით</p> <p>- ზედაპირული/მიწი სქვეშა წყლის ობიექტების დაბინძურება თხევადი ჩამონადენით</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაო მოედნის რეგულარული დასუფთავება და მოწესრიგება; საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოთავსება სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, რომელთა დაცლასაც რეგულარულად განახორციელებს მუნიციპალური დასუფთავების სამსახური.</li> <li>• ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს მუნიციპალიტეტთან ნარჩენების მართვისა და მუნიციპალური ნარჩენების კონტეინერების გამოყოფის თაობაზე.</li> <li>• პერსონალისთვის ბიოტუალეტების განთავსება და მათი რეგულარული მომსახურება ლიცენზირებული ნარჩენების მართვის კონტრაქტორების მიერ; იმ შემთხვევაში, თუ ბიოტუალეტების გამოყენება შეუძლებელია, მოეწყოს საკანალიზაციო ორმოები (სეპტიკები), რომელთა დაცლაც მოხდება ასენიზაციის მანქანების მეშვეობით, ხოლო ნარჩენების გატანა განხორციელდება უახლოეს</li> </ul>	<p>კონტრაქტორი ადგილობრივი მუნიციპალიტეტი</p>

		<p>ნებადართულ საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაში.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელშეკრულების გაფორმება ლიცენზირებულ კონტრაქტორთან საკანალიზაციო წყლების ტრანსპორტირებაზე. აღნიშნული ხელშეკრულება და გატანილი ნარჩენების მიღება-ჩაბარების აქტები წარდგენილი უნდაიყოს ზედამხედველ ინჟინერს</li> </ul>	
<p>არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა</p>	<p>– გარემოს დაბინძურება სამშენებლო ნარჩენებით – ლანდშაფტისა და ზედაპირული წყლის ობიექტების დაზიანება ზედმეტი მასალების არასათანადო განთავსების შედეგად</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის მინიმიზაცია.</li> <li>• ნარჩენების სეპარირება შემდეგნაირად: <ul style="list-style-type: none"> <li>– ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავებისთვის ვარგისი ნარჩენების გამოყოფა. ნარჩენების ხელახალი გამოყენება შეძლებისდაგვარად, აზბესტის შემცველი ფრაქციის გარდა. გადამუშავებადი ნარჩენების (მაგ., ქაღალდი, პლასტმასი, ლითონები) გადაცემა შესაბამის შემგროვებელ/გადამამუშავებელ კომპანიებზე;</li> <li>– საყოფაცხოვრებო ნარჩენების ცალკე შეგროვება მუნიციპალური სამსახურების მიერ გატანისთვის;</li> <li>– სამშენებლო ნარჩენების ცალკე შეგროვება, მათი დროებითი განთავსება წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში და საბოლოო განთავსება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან წინასწარ შეთანხმებულ ობიექტებზე ან ოფიციალურ სანიტარულ ნაგავსაყრელებზე, ნარჩენების შემადგენლობისა და მოცულობის მიხედვით.</li> </ul> </li> <li>• სამშენებლო მოედანზე ნარჩენების ჭარბი მოცულობის დაგროვების თავიდან აცილება.</li> <li>• მუშაკებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის</li> </ul>	

		დადგენილი წესების შესახებ; ნარჩენების სწორად მართვის პრაქტიკის მკაცრი დაცვა და აღსრულება ყველა თანამშრომლის მიერ.	
სახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>– ნარჩენების დამუშავებაში ჩართული მუშაკების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაზიანება</p> <p>– ზემოქმედების ზონაში მცხოვრები თემების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაზიანება</p> <p>– გარემოს დაბინძურება სახიფათო ნარჩენებით</p> <p>- ლანდშაფტისა და ზედაპირული წყლის ობიექტების დაზიანება ზედმეტი მასალების არასათანადო</p>	<p>აზბესტთან შემთხვევითი კონტაქტის/ზემოქმედების შემთხვევაში გატარდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აზბესტის შემცველ მასალებთან მომუშავე ყველა თანამშრომლისთვის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (PPE) უზრუნველყოფა და მათი სათანადო გამოყენების მკაცრი კონტროლი;</li> <li>• აზბესტის შემცველ მასალებთან მომუშავე მუშაკების რაოდენობის აუცილებელ მინიმუმამდე შემცირება; მათი გადამზადება და მუდმივი ინფორმირება აზბესტის დამუშავების წესების შესახებ;</li> <li>• ძლიერი წვიმების სეზონზე დაბინძურების ან დატბორვის შემთხვევაში, რაც შეიძლება ზრდიდეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის დაავადებების გავრცელების რისკებს (მაგალითად, კოლოების მეშვეობით), სამშენებლო კონტრაქტორი განსაზღვრავს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS4 — საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მოთხოვნების შესაბამისად;</li> <li>• აზბესტის შემცველი მასალების დამუშავებისას მათი დანამვა; მასალის არასაჭირო ფრაგმენტაციის თავიდან აცილება, მტვრის წარმოქმნის მინიმუმის მიზნით;</li> <li>• აზბესტის შემცველი ნარჩენების შეფუთვა და ჰერმეტიკულად დალუქვა არანაკლებ 200 მიკრონის სისქის პოლიეთილენის პაკეტებში; შეფუთვაზე გამაფრთხილებელი ნიშნების დატანა; პაკეტების დროებითი განთავსება სამუშაო მოედანზე წინასწარ განსაზღვრულ და დაცულ ადგილზე;</li> <li>• აზბესტის შემცველი ნარჩენების პაკეტების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველყოფა მათი შეფუთვის მთლიანობის სრული დაცვით; აზბესტშემცველი</li> </ul>	კონტრაქტორი

	<p>განთავსების შედეგად</p>	<p>ნარჩენების საბოლოო განთავსება ოფიციალურ სანიტარულ ნაგავსაყრელებზე, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში ყველა სახის საწვავის, ზეთის, აკუმულატორების, საბურავების, ქიმიური ნივთიერებებისა და სხვა სახიფათო მასალების უსაფრთხო შენახვა და მათი ლიცენზირებულ კომპანიებზე გადაცემა ნეიტრალიზაციისა და გადამუშავების მიზნით.</li> <li>● წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის მინიმიზაცია. ნარჩენების სეპარირება შემდეგნაირად: <ul style="list-style-type: none"> <li>– ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავებისთვის ვარგისი ნარჩენების გამოყოფა. ნარჩენების ხელახალი გამოყენება შეძლებისდაგვარად, აზბესტშემცველი ფრაქციის გარდა. გადამუშავებადი ნარჩენების (მაგ., ქალაქი, პლასტმასი, ლითონები) გადაცემა შესაბამის შემგროვებელ/გადამამუშავებელ კომპანიებზე;</li> <li>– საყოფაცხოვრებო ნარჩენების ცალკე შეგროვება მუნიციპალური მომსახურების მიერ გატანისთვის;</li> <li>– სამშენებლო ნარჩენების ცალკე შეგროვება, მათი დროებითი განთავსება წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში და საბოლოო განთავსება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან წინასწარ შეთანხმებულ ობიექტებზე ან ფორმალურ სანიტარულ ნაგავსაყრელებზე, ნარჩენების შემადგენლობისა და მოცულობის მიხედვით</li> </ul> </li> <li>● მუშაკებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის დადგენილი წესების შესახებ და ნარჩენების სწორად მართვის პრაქტიკის მკაცრი აღსრულება ყველა თანამშრომლის მიერ.</li> </ul>	
--	----------------------------	---	--

<p>ხმაურის წარმოქმნა</p>	<p>– მუშაკთა სამოქალაქო უფლებების დარღვევა – სამუშაო მოედანზე ტრავმატიზმის, ავადობისა და ლეტალობის რისკი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში შენარჩუნება, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასაჭირო ხმაურის წარმოქმნა;</li> <li>• ღამის საათებში ხმაურის გამომწვევი სამუშაოების ჩატარების აკრძალვა;</li> <li>• სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის გადაჭარბების აკრძალვა და დასახლებულ პუნქტებში და მათ მიმდებარედ გადაადგილებისთვის შესაბამისი სიჩქარის ლიმიტების დაწესება.</li> <li>• იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის პროცესში წარმოიქმნება ზედმეტი ხმაური, დაბინძურება ან სატრანსპორტო მოძრაობა, რომელიც აღემატება მოქმედი რეგულაციებით დადგენილ ნორმებს, უნდა გატარდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ხოლო ადგილობრივი საზოგადოება სათანადო წესით უნდა იქნეს ინფორმირებული.</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>
<p>მუშახელის მართვა</p>	<p>– მუშაკთა სამოქალაქო უფლებების დარღვევა – სამუშაო მოედანზე ტრავმატიზმის, ავადობისა და ლეტალობის რისკი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუშაკთა უფლებების დარღვევის პრევენციის, დავების გადაწყვეტისა და ადგილობრივი არაკვალიფიციური/ნახევრად კვალიფიციური მუშაკების დასაქმების პრიორიტეტიზაციის მიზნით გამჭვირვალე პროცედურების შენარჩუნება;</li> <li>• ყველა თანამშრომელთან წერილობითი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება ეროვნული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის სტანდარტების შესაბამისად;</li> <li>• ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს (WB ESSs); ობიექტზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირის დანიშვნა;</li> <li>• ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (PPE) უზრუნველყოფა და მათი გამოყენების მკაცრი აღსრულება, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების კომუნიკაცია და მუშაკთა რეგულარული გადამზადება უსაფრთხოებისა და საგანგებო პროცედურების შესახებ;</li> <li>• ინციდენტების დოკუმენტირება და ანგარიშგება, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის სისტემების შენარჩუნება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი</li> </ul>	<p>კონტრაქტორი / მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია</p>

		<p>ღონისძიებების გატარება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადეკვატური სოციალური-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, მათ შორის ტუალეტები, სარეცხი ზონები, სასმელი წყალი, კვებისა და დასვენების სივრცეები და ჰიგიენური საშუალებები;</li> <li>• მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) დაცვა დამტკიცებული შრომის მართვის პროცედურის (LMP) შესაბამისად.</li> </ul>	
<p>ადგილობრივ თემებთან ურთიერთობა</p>	<p>– ადგილობრივი თემებისთვის დისკომფორტის გამოწვევა – კონტრაქტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონფლიქტები</p>	<p><u>კონტრაქტორი პასუხისმგებელია შემდეგზე:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი საკონტაქტო პირის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კომუნიკაციაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან და მიიღებს მათ მოთხოვნებს/საჩივრებს;</li> <li>• ადგილობრივ თემებთან კონსულტაციების ჩატარება, გარე სამუშაო ძალასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტების იდენტიფიცირებისა და მათი პროაქტიური მართვის მიზნით;</li> <li>• სამუშაო მოედნებთან და/ან მათ გასწვრივ თვალსაჩინო ადგილებში ბანერების განთავსება, რომლებზეც მითითებული იქნება კონტრაქტორის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა, მიმართოს კონტრაქტორს კითხვებითა და საჩივრებით;</li> <li>• ადგილობრივი თემების ინფორმირებულობის ამაღლება იმ შესაძლო დისკომფორტისა და რისკების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს გარე სამუშაო ძალის მათი დასახლებების სიახლოვეს ყოფნასა და დაგეგმილ სამუშაოებთან;</li> <li>• მუშაკთა ინფორმირებულობის ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის მართვის საკითხებზე, ქცევის კოდექსის შემუშავება და დანერგვა საერთაშორისო პრაქტიკისა და შრომის მართვის პროცედურის (LMP) შესაბამისად და მისი მკაცრი აღსრულება, მათ შორის შესაბამისი ზომების მიღება, როგორცაა მუშაკთა სამსახურიდან გათავისუფლება და ადეკვატური ოდენობის ფინანსური სანქციების დაკისრება.</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>

<p>სამუშაოები სასოფლო- სამეურნეო სავარგულების სიახლოვეს და/ან მათ ფარგლებში</p>	<p>– ადგილობრივი თემებისთვის დისკომფორტის გამოწვევა – კერძო საკუთრებაზე წვდომისა და მისი გამოყენების შეზღუდვა – კერძო საკუთრების დაზიანება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რგვებისა და მოსავლის აღების პერიოდში სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის თავიდან აცილება, შესაძლებლობის ფარგლებში, მომსახურების შეწყვეტისა და შეფერხებების თავიდან მინიმუზაციის მიზნით; ადგილობრივი მოსახლეობის წინასწარი ინფორმირება სამშენებლო სამუშაოებისა და მათი გრაფიკის შესახებ;</li> <li>• სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვა განსაზღვრულ მისასვლელ მარშრუტებსა და მონიშნულ სამუშაო ზონებში, მცენარეულობისა და ნიადაგის ზედმეტი დაზიანების თავიდან ასაცილებლად; ხმაურის გამომწვევი ტექნოლოგიების გამოყენება 08:00–19:00 საათებში;</li> <li>• სამუშაო ბანაკების განთავსება დასახლებების უშუალო სიახლოვეს არ დაიშვება; სამუშაო მოედნების სათანადო მონიშვნა და შემოღობვა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი დასაწყობების ზონების გამოყოფა ისე, რომ არ შეიზღუდოს სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილება;</li> <li>• იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოიშობა დამატებითი მიწის ათვისების საჭიროება, რომელიც არ იყო დასრულებული სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, დაუყოვნებლივ ეცნობოს პროექტის განმახორციელებელ ერთეულს; არ გაიმართოს დებატები თემის წარმომადგენლებთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების დაწყება არ მოხდეს მანამ, სანამ პროექტის განმახორციელებელი არ დაასრულებს აუცილებელ განსახლების/კომპენსაციის პროცედურებს, და სამუშაო მოედნის დაკავება განხორციელდეს მხოლოდ პროექტის განმახორციელებლის ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდეგ.</li> </ul>	<p>კონტრაქტორი</p>
---	--	--	--------------------

სამუშაო მოედნის აღდგენა	<p>– ლანდშაფტზე გადამეტებული ზემოქმედება</p> <p>– გასხვისების ზოლის (ROW) ნარჩენი დაბინძურება სამშენებლო ნარჩენებითა და ზედმეტი მასალებით</p>	<p>სამშენებლო საქმიანობების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ დარჩეს ნარჩენები და ზედმეტი მასალები სამუშაო მოედანზე;</li> <li>• ყველა თხრილი ამოივსოს, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გაიშალოს და განაწილდეს, ხოლო სერვიტუტის ზოლი (ROW) აღდგეს ბუნებრივ მდგომარეობამდე;</li> <li>• მისასვლელი გზები აღდგეს სამშენებლო სამუშაოებამდე არსებულ ან უკეთეს მდგომარეობამდე;</li> <li>• ადგილობრივი მოსახლეობის კერძო საკუთრებაზე შემთხვევით მიყენებული ნებისმიერი ზიანი (ღობეები, მიწები ან სხვა ობიექტები) სრულად ანაზღაურდეს— ფულადი კომპენსაციით ან აღდგენით საწყის ან უკეთეს მდგომარეობამდე.</li> </ul>	კონტრაქტორი
<b>ექსპლუატაციის ეტაპი</b>			
ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ტრენინგები სერვის ცენტრის ოპერატორებისთვის	<p>– სისტემის არასწორი ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული დატბორვა, ნიადაგის ეროზია და დამლაშება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნიკური ტრენინგების ჩატარება შპს „საქართველოს მელიორაციის“ (GA) სერვის ცენტრების ოპერატორებისთვის სატუმბო სადგურის უწყვეტი ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციის საკითხებზე, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს წყლის რეგულარული გატარება და თავიდან იქნეს აცილებული მიწის დატბორვა და დამლაშება;</li> <li>• სადრენაჟე სისტემაზე გეგმიური და საგანგებო სარემონტო სამუშაოების დროული და სათანადო შესრულება, მისი გაუმართაობის თავიდან ასაცილებლად.</li> </ul>	შპს „საქართველოს მელიორაცია“
სადრენაჟე სქემის მომხმარებლების მიერ პესტიციდების გამოყენება	<p>– გარემოს დაბინძურება და თემის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზიანის მიყენება პესტიციდების არასათანადო გამოყენებისა და შეფუთვების</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წყალმომხმარებლებისთვის საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება, პესტიციდების უსაფრთხო და რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე მავნებელთა ინტეგრირებული მართვის (IPM) და ვექტორების ინტეგრირებული მართვის (IVM) მიდგომების პოპულარიზაციისთვის, რომლებიც მიმართულია მხოლოდ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მავნებლებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის მნიშვნელობის მქონე დაავადებათა ვექტორების წინააღმდეგ;</li> <li>• სასარგებლო ორგანიზმებზე ზიანის თავიდან აცილება ან მინიმუმაცია,</li> </ul>	შპს „საქართველოს მელიორაცია“

	<p>არასწორი განთავსების შედეგად</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბალი ხარისხი პესტიციდების გადაჭარბებული და არასწორი გამოყენების გამო</li> </ul>	<p>რომლებიც წარმოადგენენ მიზნობრივი მავნებლების ბუნებრივ მტაცებლებს ან კონტროლის აგენტებს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პესტიციდების ცარიელი ჭურჭელი/ბოთლები არ უნდა განთავსდეს ღია გარემოში და უნდა დამუშავდეს დადგენილი წესების შესაბამისად; ფერმერებმა უნდა გამოიყენონ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPE);</li> <li>• ფერმერებმა პრიორიტეტულად უნდა გამოიყენონ აგროტექნიკური (კულტურული) პრაქტიკები, ბიოლოგიური მეთოდები და გენეტიკური მიდგომები, ხოლო ქიმიური საშუალებები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ზიანისა და ადამიანებსა და ცხოველებზე დაავადებების გადაცემის თავიდან ასაცილებლად.</li> </ul>	
<p>სადრენაჟე არხების მოვლა-შენახვა</p>	<p>– არხების გაწმენდის დროს ამოღებული ნალექისა და მცენარეული მასალის არასათანადო მართვა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არხების რეგულარული მოვლა-შენახვის უზრუნველყოფა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნალექისა და ნარჩენების დიდი მოცულობით დაგროვება;</li> <li>• მოვლა-შენახვისა და მცენარეულობის მოცილების პროცესში ორგანული ნარჩენების არხებში დატოვება არ დაიშვება, მათი ლპობის თავიდან ასაცილებლად;</li> <li>• არხების გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი ორგანული ნარჩენების შეგროვება და მათი განთავსება მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ ტერიტორიაზე;</li> <li>• ხის მასალის განაწილება ადგილობრივ თემებზე(საშემე მასალა) , შესაძლებლობის ფარგლებში;</li> <li>• არხებიდან ამოღებული ლამის მართვა შპს „საქართველოს მელიორაციის“ (GA) მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მათ შორის, მოთხოვნის შემთხვევაში მისი გადაცემა ადგილობრივ ფერმერებზე ან განთავსება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.</li> </ul>	<p>შპს „საქართველოს მელიორაცია“ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი</p>

**9. გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმა**

აქტივობა	რა (რომელი პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად (სად უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	როგორ (უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	როდის (მიუთითეთ სიხშირე / უწყვეტი მონიტორინგი?)	რატომ (ხორციელდება მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი?)
<b>მშენებლობის ეტაპი</b>						
სამშენებლო მასალებით მომარაგება	სამშენებლო მასალების შექმნა ოფიციალურად რეგისტრირებული მომწოდებლებისგან	კონტრაქტორის სამუშაო ბანაკი	დოკუმენტების, მარკირების (ეტიკეტების) და ხარისხის შემოწმება	რეგულარული	ინფრასტრუქტურის ტექნიკური სანდოობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა	მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია
<ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება მშენებლობის ეტაპზე;</li> <li>• სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა;</li> <li>• სატვირთო ავტომობილებზე განთავსებული ტვირთის იზოლაცია და დაცვა მასალის გადახურვის გზით;</li> <li>• ტრანსპორტირების დადგენილი საათებისა და</li> </ul>	ტრანსპორტირების მარშრუტები	ვიზუალური ინსპექტირება	გაუფრთხილებელი (არაგეგმიური) შემოწმებები სამუშაო საათებში და მათ ფარგლებს გარეთ	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნიადაგისა და ჰაერის ემისიებისგან დაბინძურების შეზღუდვა</li> <li>• ადგილობრივი თემებისთვის დისკომფორტის შემცირება ხმაურისა და ვიბრაციის გამო;</li> <li>• სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებების</li> </ul>	მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია (CSC)

	მარშრუტების დაცვა.				მინიმიაზაცია.	
სამშენებლო აღჭურვილობისა და ტექნიკის ექსპლუატაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>- აღჭურვილობისა და ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა</li> <li>- აღჭურვილობისა და ტექნიკის ექსპლუატაციის პრაქტიკა</li> </ul>	სამშენებლო მოედნები	ვიზუალური ინსპექტირება	ყოველდღიური	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების შემცირება ძრავების უმოქმედოდ მუშაობის, ჭარბი გამონაბოლქვისა და ნავთობპროდუქტების გაჟონვის შედეგად;</li> <li>• ჭარბი ხმაურის წარმოქმნის თავიდან აცილება.</li> </ul>	მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია (CSC)

<p>სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის ტექნიკური მომსახურება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის გარეცხვა სამუშაო მოედნის ფარგლებს გარეთ ან ისეთ ადგილას, რომელიც საკმარისად დაშორებულია წყლის ობიექტებისგან;</li> <li>● სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის ტექნიკური მომსახურება ზეთებისა და საპოხი მასალების გამოყენებით მხოლოდ სპეციალიზებულ სერვის-ცენტრებში ან სამუშაო მოედანზე სპეციალურად მოწყობილ ადგილებში;</li> <li>● ტექნიკური მომსახურების ადგილის ტექნიკური შესაბამისობის უზრუნველყოფა, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> <li>– მყარი, იზოლირებული იატაკი ან შთამნთქმელი ფენა (ქვიშა, ღორღი, მემბრანა);</li> <li>– შემაკავებელი ბარიერები, რომლებიც უზრუნველყოფს</li> </ul> </li> </ul>	<p>სამშენებლო მოედნები და სამუშაო ბანაკი</p>	<p>ვიზუალური ინსპექტირება</p>	<p>ტექნიკის ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის ტექნიკური მომსახურების შედეგად ნავთობპროდუქტებით ნიადაგისა და წყლის დაბინძურების თავიდან აცილება;</li> <li>● ხანძრის საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნა, ხანძრის კერის დროული ლოკალიზაცია და მატერიალური ზიანის მინიმუმის მიზნით.</li> </ul>	<p>მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია (CSC)</p>
--	---	--	-------------------------------	---	---	---

	<p>ერთდროულად ადგილზე მოსალოდნელი საწვავის მაქსიმალური რაოდენობის შეკავებისთვის საკმარის მოცულობას;</p> <p>– საგანგებო ხანმარსაწინააღმდეგო საშუალებების არსებობა;</p> <p>– სედიმენტაციის (სალექარი) აუზი ავტომობილების სარეცხ ზონაში.</p>					
--	---	--	--	--	--	--

<p>გრუნტის ამოღება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ქვენიადაგის ერთმანეთში არევა არ დაიშვება;</li> <li>● ნიადაგისა ნაყოფიერი ფენისა და ქვენიადაგის ორგანიზებული დროებითი დასაწყობება სამუშაო მოედანზე, შეუზღუდავი წვდომისა და დროებითი ყრილის სტაბილურობის უზუნველყოფა;</li> <li>● ქვენიადაგის გროვების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 6 მეტრს;</li> <li>● ზედა ნაყოფიერი ნიადაგის ყრილების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2 მეტრს;</li> <li>● ქვენიადაგის უკუჩაყრა, ხოლო ჭარბი ქვენიადაგის განთავსება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და ან მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ წერილობით განსაზღვრულ ტერიტორიებზე;</li> <li>● თხრილების დროული შევსება;</li> <li>● მიწის სამუშაოების</li> </ul>	<p>სამშენებლო მოედანი</p>	<p>ვიზუალური ინსპექტირება</p>	<p>მიწის სამუშაოების დროს</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ხარისხის გაუარესების ან მისი დაკარგვის თავიდან აცილება;</li> <li>● ადამიანისა და გარემოს ჯანმრთელობაზე ზიანის თავიდან აცილება არასწორად დასაწყობებულ მიწის მასალისგან;</li> <li>● თხრილებში ადამიანებისა და ცხოველების ჩავარდნის პრევენცია;</li> <li>● ლანდშაფტის ესთეტიკური დაზიანების თავიდან აცილება.</li> </ul>	<p>მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია (CSC)</p>
------------------------	--	---------------------------	-------------------------------	-------------------------------	---	---

	დასრულების შემდეგ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გაშლა სამუშაო მოედანზე ტერიტორიის აღდგენის მიზნით; ნაყოფიერი ნიადაგის ალტერნატიული გამოყენება არ დაიშვება.					
--	--	--	--	--	--	--

<p>შემთხვევით აღმოჩენილი არტეფაქტების მართვა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შემთხვევითი აღმოჩენის გამოვლენის მომენტიდან სამუშაოების შეჩერება და მათი განახლება მხოლოდ პროექტის განმახორციელებელ ერთეულის ოფიციალური წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;</li> <li>• შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ კომუნიკაციისა და შემდგომი ქმედებების დოკუმენტირება კონტრაქტორსა და პროექტის განმახორციელებელს შორის, აგრეთვე პროექტის მართვის დეპარტამენტსა (PMD) და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის;</li> <li>• ისტორიული არტეფაქტების დაზიანების დაუშვებლობა.</li> </ul>	<p>ექსკავაციის ადგილები</p>	<p>დოკუმენტაციის შემოწმება</p>	<p>შემთხვევითი აღმოჩენის გამოვლენისას</p>	<p>ისტორიული არტეფაქტების დაკარგვის ან დაზიანების თავიდან აცილება</p>	<p>სამშენებლო ზედამხედველობის კომპანია (CSC) / პროექტის განმახორციელებელი ერთეული; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო</p>
--	---	-----------------------------	--------------------------------	---	---	---

<p>მცენარეული საფარის გაწმენდა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მცენარეული საფარისგან გაწმენდამდე წინასწარი კვლევის/ხეების ინვენტარიზაციის ჩატარება;</li> <li>• ხეების ჭრისთვის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური ნებართვის მოპოვება</li> <li>• მოჭრილი ხეების დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ ადგილას, სასურველია გადახურული პირობებით;</li> <li>• მოჭრილი ხე-მცენარეების შესაბამის უწყებაზე გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვება.</li> </ul>	<p>სამშენებლო მოედანი</p>	<p>ვიზუალური ინსპექტირება</p>	<p>მცენარეული საფარისგან გაწმენდამდე და გაწმენდის პროცესში</p>	<p>მცენარეულ საფარზე გადამეტებული ზემოქმედების თავიდან აცილება</p>	<p>სამშენებლო ზედამხედველობის კომპანია (CSC) / პროექტის განმახორციელებელი ერთეული</p>
------------------------------------	---	---------------------------	-------------------------------	--	--	---

ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვება	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაძლებლობის შემთხვევაში, მასალების შემენა არსებული მომწოდებლებისგან;</li> <li>• მოპოვების ლიცენზიის არსებობა და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</li> <li>• მდინარის კარიერიდან მასალის მოპოვება მხოლოდ მდინარის დინების გარეთ; მოპოვების ზონასა და წყლის კალაპოტს შორის დამცავი კენჭოვანი ბარიერების მოწყობა; ტექნიკის მიერ წყლის კალაპოტში შესვლის აკრძალვა;</li> <li>• მოპოვების ტერიტორიების მკაფიო გამიჯვნა და</li> </ul>	კარიერები	დოკუმენტების შემოწმება ვიზუალური ინსპექტირება	ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვების პროცესში	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფერდობების ეროზიისა და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა;</li> <li>• მდინარის ნაპირების ეროზიის, შეტივანარებულ ნაწილაკებით წყლის დაბინძურებისა და წყლის ეკოსისტემების დარღვევის შეზღუდვა;</li> <li>• შინაური ცხოველებისა და მოსახლეობის დაზიანებისგან დაცვა.</li> </ul>	მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია / პროექტის განმახორციელებელი ბელიერთეული მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

	<p>შემოღობვა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კარიერების დამუშავებული მონაკვეთების (არსებობის შემთხვევაში) აღდგენა ლანდშაფტთან ჰარმონიზაციის გზით.</li> </ul>					
--	--	--	--	--	--	--

სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო ნარჩენებიდან ხელახლა გამოყენებადი ელემენტების გამოყოფა და, შესაძლებლობის ფარგლებში, მათი მეორადი გამოყენება;</li> <li>• სამშენებლო ნარჩენებიდან გადამუშავებადი ელემენტების გამოყოფა და მათი გადაცემა შესაბამის შეგროვების პუნქტებში ან გადამამუშავებელ კომპანიებში;</li> <li>• სამშენებლო ნარჩენების დროებითი</li> </ul>	სამშენებლო მოედნები; სამუშაო ბანაკი; ნარჩენების განთავსების ობიექტები; სამუშაო მოედნებისა და ნარჩენების განთავსების ობიექტების მიმდებარე ტერიტორიები	დოკუმენტების შემოწმება ვიზუალური ინსპექტირება	რეგულარული	სამშენებლო მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურების პრევენცია	მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია / პროექტის განმახორციელებელი ერთეული ; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
---------------------------------	--	--	---	------------	---	--

	<p>დასაწყობებისთვის სპეციალური ტერიტორიის გამოყოფა; სამშენებლო მოედანზე ნარჩენების ჭარბი რაოდენობის დაგროვების დაუშვებლობა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჭარბი სამშენებლო მასალების განთავსება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ მითითებულ ნარჩენების განთავსების ტერიტორიაზე.</li> </ul>					
--	---	--	--	--	--	--

საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო მოედნებსა და სამუშაო ბანაკში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად შესაბამისი კონტეინერების განთავსება;</li> <li>• ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ხელშეკრულების გაფორმება საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული გატანის უზრუნველყოფის</li> </ul>	სამშენებლო მოედნები და სამუშაო ბანაკი	ვიზუალური ინსპექტირება	რეგულარული	დანაგვიანების თავიდან აცილება; ნიადაგისა და წყლის დაბინძურების თავიდან აცილება	მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია / პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU); ადგილობრივი მუნიციპალიტეტები
-------------------------------------	--	---------------------------------------	------------------------	------------	--	---

	მიზნით.					
--	---------	--	--	--	--	--

<p>სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და მათი სათანადო გამოყენების სავალდებულო კონტროლი;</li> <li>● აზბესტის შემცველი ნარჩენების წყლით დანაშვსა და მათი არასაჭირო დანაწევრების დაუშვებლობა;</li> <li>● აზბესტის შემცველი ნარჩენების დადგენილი წესით შეფუთვა; შეფუთული ნარჩენების შენახვა სპეციალურად განსაზღვრულ და დაცულ ადგილზე და მათი უსაფრთხო ტრანსპორტირება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის სანიტარულ ნაგავსაყრელზე;</li> <li>● აზბესტის შემცველი ნარჩენების ხელახალი გამოყენების</li> </ul>	<p>სამშენებლო მოედნები და სამუშაო ბანაკი</p>	<p>ვიზუალური ინსპექტირება დოკუმენტების შემოწმება</p>	<p>რეგულარული</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● მუშაკებისა და მიმდებარე მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ზიანის თავიდან აცილება;</li> <li>● ნიადაგის, ზედაპირული წყლებისა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილება.</li> </ul>	<p>მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია / პროექტის განმახორციელებელი ერთეული; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; შრომის ინსპექცია</p>
--------------------------------------	--	--	--	-------------------	---	--

	<p>დაუშვებლობა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>გამოყენებული საბურავების, აკუმულატორების, ფილტრების, გამოყენებული და ნარჩენი ზეთპროდუქტების შეგროვება და უსაფრთხო დროებითი შენახვა, მათი შემდგომი გადაცემა ლიცენზირებულ კომპანიებზე ნეიტრალიზაციისა და გადამუშავების მიზნით.</li> </ul>					
--	--	--	--	--	--	--

ხმაურის წარმოქმნა	<ul style="list-style-type: none"> <li>სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში შენარჩუნება ჭარბი ხმაურის თავიდან ასაცილებლად;</li> <li>ღამის საათებში ხმაურის გამომწვევი სამუშაოების შესრულების დაუშვებლობა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამშენებლო მოედნები და სამუშაო ბანაკი</li> <li>ტრანსპორტირების მარშრუტები</li> </ul>	ვიზუალური ინსპექტირება	რეგულარული	<ul style="list-style-type: none"> <li>მიმდებარე მოსახლეობის სთვის დისკომფორტის თავიდან აცილება;</li> <li>მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვა</li> </ul>	მშენებლობის შედამხედველობის კომპანია / პროექტის განმახორციელებელი ერთეული
-------------------	--	---	------------------------	------------	---	---

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის გადაჭარბების დაუშვებლობა და მათი მოძრაობისას დასახლებულ პუნქტებში და მათ სიახლოვეს სიჩქარის შეზღუდვა 30–40 კმ/სთ-მდე.</li> </ul>					
--	---	--	--	--	--	--

მუშახელის მართვა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტრაქტორსა და მის მიერ დასაქმებულ ყველა პირს შორის ფორმალიზებული შრომითი ხელშეკრულებების არსებობა;</li> <li>• შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვა, მათ შორის სამუშაო დროის, შვებულებების, ანაზღაურების, დასაქმებულთა ასაკის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და სხვა შესაბამისი რეგულაციების</li> </ul>	სამშენებლო მოედნები და სამუშაო ბანაკი	დოკუმენტების შემოწმება ვიზუალური ინსპექტირება	რეგულარული	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუშაკთა ექსპლუატაციისა და არასამართლიანი მოპყრობის გამორიცხვა;</li> <li>• უბედური შემთხვევების ალბათობის შემცირება</li> </ul>	მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია / პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU); შრომის ინსპექცია
------------------	---	---------------------------------------	---	------------	--	---

	<p>გათვალისწინება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მუშაკების უზრუნველყოფა სამუშაო ტანსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და მათი გამოყენების სავალდებულო კონტროლი;</li> <li>● სამშენებლო ტექნიკისა და მექანიზმების ექსპლუატაციის წესების დაცვა; სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება;</li> <li>● სამშენებლო მოედნებსა და სამუშაო ბანაკში სათანადო სანიტარული პირობების უზრუნველყოფა, მათ შორის დასვენებისა და კვების სივრცეების მოწყობა, უსაფრთხო სასმელი წყლითა და სანიტარული პირობებით უზრუნველყოფა, მამაკაცებისა და</li> </ul>					
--	---	--	--	--	--	--

	ქალებისთვის ცალკე სანიტარული კვანძების (WC) არსებობა.					
--	---	--	--	--	--	--

<p>თემთან ურთიერთობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ეფექტური საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) უზრუნველყოფა;</li> <li>● საინფორმაციო ბუკლეტების განთავსება, რომლებიც აღწერს საჩივრების განხილვის პროცედურას და შეიცავს ადგილობრივი თემებისა და სამუშაო ძალისთვის უკუკავშირისა და საჩივრების წარდგენისთვის აუცილებელ სრულ ინფორმაციას;</li> <li>● კონტრაქტორის მიერ თემთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, რომლის მოვალეობაც იქნება პროექტის შედეგად დადებითად ან უარყოფითად ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ მოსახლეობასთან, აგრეთვე სამშენებლო კომპანიის დაქვემდებარებაში</li> </ul>	<p>სამშენებლო სამუშაოების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დასახლებები</p>	<p>ვიზუალური ინსპექტირება; ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან ინტერვიუები; საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ჟურნალების შემოწმება.</p>	<p>რეგულარული</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ადგილობრივი თემებისთვის დისკომფორტის მინიმიზაცია;</li> <li>● კონტრაქტორსა და ადგილობრივ თემებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილება.</li> </ul>	<p>მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია / პროექტის განმახორციელებელი ერთეული</p>
--------------------------	--	--	--	-------------------	--	--

	<p>დასაქმებულ სამუშაო ძალასთან დროული და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კონტრაქტორის მიერ განხორციელებული თემთან ურთიერთობის ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი და დადასტურება, რომ კონტრაქტორი ადგილობრივი თემების საჩივრებსა და მოთხოვნებს დროულად და სათანადოდ პასუხობს;</li> <li>• სამუშაო მოედნების გარშემო/მიმდებარედ თვალსაჩინო ადგილებში კონტრაქტორის დასახელებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი ბანერების განთავსება;</li> <li>• ადგილობრივი თემების ინფორმირება სამუშაოების ხასიათისა და ხანგრძლივობის შესახებ, აგრეთვე</li> </ul>					
--	---	--	--	--	--	--

	<p>სამშენებლო სამუშაოების შედეგად კომუნალური მომსახურებების შესაძლო შეფერხებების თაობაზე დროული გაფრთხილებების უზრუნველყოფა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ადგილობრივი თემების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისა და კონსულტაციების დროულად, ინკლუზიურად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფა;</li> <li>● პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) ინფორმირება თემთან ურთიერთობის მდგომარეობის, წარმოშობილი საკითხებისა და საჩივრების გადაწყვეტის სტატუსის შესახებ.</li> </ul>					
--	---	--	--	--	--	--

<p>სამუშაოები კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან, შენობა-ნაგებობებთან და სხვა ქონებრივ აქტივებთან სიახლოვეს</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეზღუდვა მხოლოდ განსაზღვრულ მისასვლელ გზებსა და მკაფიოდ მონიშნულ სამუშაო ზონების ფარგლებში, მცენარეული საფარისა და ნიადაგის ზედმეტი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით;</li> <li>● სამშენებლო მოედნის რეგულარული მორწყვა ადგილობრივი დასახლებების მტვერით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;</li> <li>● ხმაურის გამომწვევი ტექნიკის გამოყენება მხოლოდ 08:00–დან 19:00 საათამდე პერიოდში;</li> <li>● სამუშაო ბანაკების განთავსება დასახლებებიდან მოშორებით; სამუშაო მოედნების სათანადოდ მონიშვნა და შემოღობვა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი დასაწყობება ისე, რომ არ შეიზღუდოს</li> </ul>	<p>სამშენებლო მოედნებისა და სამუშაო ბანაკის მიმდებარე დასახლებები</p>	<p>ვიზუალური ინსპექტირება</p>	<p>რეგულარული</p>	<p>კერძო საკუთრებაზე საკუთრებისა და/ან სარგებლობის უფლებების დროებითი ან მუდმივი დარღვევის თავიდან აცილება</p>	<p>მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია (CSC) / პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU)</p>
--	---	---	-------------------------------	-------------------	--	--

	<p>სატრანსპორტო მოძრაობა და ქვეითთა თავისუფალი გადაადგილება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კერძო მესაკუთრეთა ან თვითნებურად მცხოვრები პირების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე შესვლისა და კერძო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული აქტივების გასხვისების ზოლიდან მოცილების დაუშვებლობა პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ოფიციალური შეტყობინების გარეშე, რომ არანებაყოფლობითი განსახლებისა და კომპენსაციის პროცესი სრულად არის დასრულებული.</li> </ul>					
--	--	--	--	--	--	--

<p>ტერიტორიის აღდგენა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამშენებლო მოედნებისა და სამუშაო ბანაკის გაწმენდა ნარჩენებისა და ჭარბი მასალებისგან;</li> <li>ყველა თხრილის ამოვსება, ნაყოფიერი ზედა ნიადაგის ფენის დაბრუნება და განაწილება, ხოლო გასხვისების ზოლის (ROW) აღდგენა ნახევრად ბუნებრივ მდგომარეობამდე;</li> <li>მისასვლელი გზების აღდგენა მშენებლობამდე არსებულ ან მასზე უკეთეს მდგომარეობამდე;</li> <li>ადგილობრივი მოსახლეობის ლობების, მილების ან სხვა კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შემთხვევითი დაზიანების შედეგად წარმოშობილი ყველა შედეგის სრულად აღმოფხვრა.</li> </ul>	<p>სამშენებლო მოედნები და სამუშაო ბანაკები</p>	<p>ვიზუალური ინსპექტირება</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების საბოლოო ეტაპი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>ლანდშაფტზე ზედმეტი ზემოქმედების თავიდან აცილება;</li> <li>უზრუნველყავით, რომ გზის გასხვისების ზოლი არ დაბინძურდეს სამშენებლო ნარჩენებითა და ზედმეტი მასალებით</li> </ul>	<p>მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია (CSC) / პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU)</p>
---------------------------	--	--	-------------------------------	---	---	--

ექსპლუატაციის ეტაპი

<p>ფერმერებისთვის სადრენაჟე მომსახურების მიწოდება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სადრენაჟე სისტემის გაუმართაობის დაუმეგობლობა;</li> <li>• ფერმერებს შორის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება სათანადო და რაციონალური პრაქტიკების ხელშეწყობის მიზნით.</li> </ul>	<p>სადრენაჟე სისტემის გასხვისების ზოლის გასწვრივ;</p> <p>მომსახურების მიმწოდებლის ოფისი</p>	<p>ვიზუალური ინსპექტირება;</p> <p>ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩანაწერების შემოწმება</p>	<p>– სეზონის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ შემოწმებები;</p> <p>– ექსტრემალური ამინდის შემდეგ.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჭარბი და/ან არასწორი ირიგაციის შედეგად ნიადაგის ეროზიისა და დამლაშების მინიმიაზაცია;</li> <li>• გასხვისების ზოლის გასწვრივ ტერიტორიების დატბორვისა და ჭარბტენიანობის მინიმიაზაცია.</li> </ul>	<p>შპს „საქართველოს მელიორაცია“ (GA)</p>
<p>სადრენაჟე სისტემის მომხმარებლების მიერ პესტიციდების გამოყენება</p>	<p>პესტიციდების ჭარბი გამოყენების დაუმეგობლობა და მავნებელთა ინტეგრირებული მართვის (IPM) პრინციპების დაცვა.</p>	<p>შაველეს სადრენაჟე სისტემით უზრუნველყოფილ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში</p>	<p>ფერმერებთან ინტერვიუები;</p> <p>სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მიმწოდებლებთან ინტერვიუები.</p>	<p>რეგულარული</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფერმერების განათლება ეკო-მეგობრული პრაქტიკების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და ტრენინგების საშუალებით;</li> </ul>	<p>შპს „საქართველოს მელიორაცია“</p>

					<ul style="list-style-type: none"> <li>• მავნებელთა ინტეგრირებული მართვის (IPM), საკვები ნივთიერებების ინტეგრირებული მართვის (INM) და სახიფათო ნივთიერებებთან უსაფრთხო მოპყრობის საკითხებზე ტრენინგების უზრუნველყოფა, MSDS-ის (მასალების უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლების) მოთხოვნების შესაბამისად და პრაქტიკულად გასაგები ფორმით;</li> <li>• კომპოსტისა და ნაკელის გამოყენების ხელშეწყობა ქიმიური სასუქების</li> </ul>	
--	--	--	--	--	---	--

					<p>ალტერნატივის სახით;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პესტიციდების და სასუქების უსაფრთხო გამოყენების, შენახვისა და განთავსების უზრუნველყოფა; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (PPE) გამოყენების წახალისება.</li> <li>• შესაძლებლობის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების საზღვრებთან და წყლის ობიექტების მიმდებარედ მცენარეული ბუფერული ზოლების მოწყობა ნალექისა და პესტიციდების ჩამონადენის</li> </ul>	
--	--	--	--	--	--	--

					შემცირების მიზნით.	
--	--	--	--	--	-----------------------	--

**დანართები**

**დანართი A: ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის კითხვარი**

**1. ქვეპროექტის ზემოქმედებების იდენტიფიკაციის მიზნით გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგისა და კლასიფიკაციის კითხვარი**

<p>შესაძლოა თუ არა ქვეპროექტს ჰქონდეს გარემოზე ძლიერი ზემოქმედება?</p>	<p>არა</p> <p>მშენებლობის პერიოდში შესაძლებელია გარემოზე მცირე და მოკლევადიანი ზემოქმედება, თუმცა მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები არ არის მოსალოდნელი. პროექტი ითვალისწინებს არსებული სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციას, რამაც მოსალოდნელია გაზარდოს სასოფლო-სამეურნეო ფართობები და გააუმჯობესოს ადგილობრივი გარემო. მთავარი არხიდან წყლის უწყვეტი გადინება ხელს შეუწყობს წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ევტროფიკაციის შემცირებისა და გახსნილი ჟანგბადის დონეების გაზრდის გზით. სამშენებლო საქმიანობების მასშტაბი და ხანგრძლივობა შეზღუდული იქნება და განხორციელდება მხოლოდ პროექტის საზღვრების ფარგლებში.</p> <p>ყველა საქმიანობა განხორციელდება მშენებლობის ზედამხედველობის კომპანიის (CSC) და პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან, აგრეთვე მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან.</p>
--	---

<p>რა არის ქვეპროექტის მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი გარემოსდაცვითი ზემოქმედებები?</p>	<p>შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია დაჭაობებული ტერიტორიების გაშრობის მიზნით გამოიწვევს მნიშვნელოვან დადებით ზემოქმედებებს. პროექტი ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის ზრდას ნიადაგის აერაციის გაუმჯობესებას და დაჭარბტენიანობის შემცირებას, ასევე დამდგარი წყლების დრენირების შედეგად დაავადებების გავრცელების რისკის აღმოფხვრას. ფერმერებს ექნებათ შესაძლებლობა დროულად მოამზადონ მიწა თესვისთვის სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში; შემცირდება მოსავლიანობის დანაკარგების რისკი დამლაშებისა და დატბორვის გამო; გაიზრდება ფერმერების ნდობა იმასთან დაკავშირებით, რომ ნათესებში ჩადებული ფინანსური რესურსები არ დაიკარგება ძლიერი ნალექებით გამოწვეული ზედაპირული ჩამონადენის შედეგად. ამასთან, გაუმჯობესდება ტერიტორიის წყლის ხარისხი და წყლის ეკოსისტემების მდგომარეობა ევტროფიკაციის რისკის შემცირებისა და გახსნილი ჟანგბადის დონეების ზრდის გზით, განსაკუთრებით მთავარ არხებში. აღნიშნული დადებითი შედეგები ხელს შეუწყობს მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას, ეკონომიკურ ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებას.</p> <p>მოსალოდნელი უმნიშვნელო უარყოფითი ზემოქმედებები იქნება შეზღუდული მხოლოდ სამშენებლო ეტაპით და მოიცავს: მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას, მათ შორის არსებული სადრენაჟე არხების შიგნით არსებული ხეების მოცილებას არხების გაწმენდის მიზნით; არხებიდან ამოდებული გრუნტის/შლამის წარმოქმნას, რომლის ნაწილი გამოყენებული იქნება შევსებითი სამუშაოებისთვის; სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნას; ტექნიკის გადაადგილებით გამოწვეულ სატრანსპორტო და ხმაურის ზემოქმედებას; მტვრის წარმოქმნას გათხრების პროცესში; ასევე ფაუნაზე დროებით ზემოქმედებას სარეაბილიტაციო საქმიანობების შედეგად. აღნიშნული ზემოქმედებები ეფექტიანად იქნება მართული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) განხორციელების გზით.</p>
--	---

<p>შესაძლოა თუ არა ქვეპროექტს ჰქონდეს ძლიერი ზემოქმედება ადგილობრივ თემებსა და სხვა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებზე?</p>	<p>არა</p> <p>ქვეპროექტი კონცენტრირებულია არსებული სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციაზე მიწისქვეშა წყლების დონის შესამცირებლად და მიწის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის. აღნიშნული გაუმჯობესება გაზრდის სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და მოსავლიანობას, გააუმჯობესებს შემოსავლებს და დადებითად აისახება ფერმერული საქმიანობით დაკავებული მოსახლეობის საარსებო პირობებზე. ამასთან, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას შესაძლებელია გარკვეული დროებითი დისკომფორტის წარმოშობა, მათ შორის ხმაური, მტვერი, გარემოს დაბინძურების რისკები, დროებითი დატბორვა ან ტექნიკის გადაადგილებით გამოწვეული შეწუხება. ასეთი ზემოქმედებების წარმოშობის შემთხვევაში, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები განხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) მოთხოვნების შესაბამისად.</p>
--	--

## 2. შემარბილებელი ღონისძიებები

<p>იქნა თუ არა განხილული ქვეპროექტის დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?</p>	<p>დიახ</p> <p>განიხილებოდა ორი ალტერნატიული ვარიანტი: „პროექტის არ განხორციელების“ ვარიანტი; და შავლელს მასივის სადრენაჟე სისტემის (SMDS) არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია დაგუბებული წყლების გასაშრობად.</p> <p>ალტერნატივების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ არსებული სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია წარმოადგენს საუკეთესო ვარიანტს მიწის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გასაზრდელად.</p> <p>ამასთან, განხილული იქნა ალტერნატიული ვარიანტები სატუმბი მოწყობილობების შერჩევისა და სატუმბი სადგურების ადგილმდებარეობის განსაზღვრის მიზნით.</p>
--	---

<p>რა ტიპის შემარბილებელი ღონისძიებებია შემოთავაზებული?</p>	<p>შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის დაკარგვის პრევენციას მისი სათანადო დროებითი დასაწყობების გზით; მცენარეული საფარის მოცილების მინიმიზაციას; ფაუნის სახეობებისა და ეროვნული პარკის დაცვის უზრუნველყოფას; არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების პასუხისმგებლიან მართვას; ხმაურის წარმოქმნის თავიდან აცილებას ან შემცირებას; წყლის ეკოსისტემაზე ზემოქმედების მინიმიზაციას; მტვრის წარმოქმნის შემცირების ღონისძიებებს; ზეთების, საწვავის, აკუმულატორებისა და ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო შენახვის უზრუნველყოფას; შრომითი პრაქტიკის ეფექტიან მართვას; აგრეთვე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე შესაძლო ზიანის თავიდან აცილებას ან შემცირებას.</p> <p>სოციალური თვალსაზრისით, იმ შემთხვევაში თუ რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებამდე ან პროცესში მოხდება კერძო საკუთრებაზე მოულოდნელი ზიანი ან დროებითი ჩარევა, აღნიშნული ფაქტები წინასწარ დაფიქსირდება და ყველა საკითხი სრულად მოგვარდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 1-ის (ESS1) და გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 5-ის (ESS5) — მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არანებაყოფლობითი განსახლება — მოთხოვნების სრული დაცვით.</p>
<p>რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული წინა მსგავს ქვეპროექტებიდან და როგორ აისახა ისინი პროექტის დიზაინში?</p>	<p>პროექტის დიზაინში უნდა იყოს გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრი, მათ შორის წარსული გამოცდილების და ფერმერების მიმდინარე მოთხოვნებისა და მზარდი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება</p>
<p>იყვნენ თუ არა დაინტერესებული თემები ჩართული ქვეპროექტის მომზადების პროცესში და როგორ იქნა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ გათვალისწინებული?</p>	<p>პროექტის დიზაინის ეტაპზე პროექტის კონსულტანტმა ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა შპს „საქართველოს მელიორაციის“ (GA), მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ფერმერების მონაწილეობით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, 2024 წლის 12–13 დეკემბერს, 2025 წლის 13 მარტს და 2025 წლის 6 ივნისს.</p>

?	<p>შეხვედრების ფარგლებში საკონსულტაციო კომპანიამ ფერმერებს წარუდგინა საპროექტო სქემა, მოისმინა მათი მოსაზრებები და წინადადებები. ფერმერების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია შეგროვდა კითხვარების მეშვეობით და ასახული იქნა საბოლოო დიზაინში. ფერმერებმა გამოთქვეს მოთხოვნა ახალი სატუმბი დანადგარის დამონტაჟების შესახებ ტერიტორიის ხელახალი დამუშავების მიზნით და აღნიშნეს, რომ სატუმბი დანადგარის დამონტაჟების შემთხვევაში მზად არიან გადაიხადონ ელექტროენერჯის ხარჯები ექსპლუატაციის პერიოდში და ჩაერთონ სადრენაჟე არხების გაწმენდაში. მათ ასევე მიეწოდათ ინფორმაცია რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებისას კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე შესაძლო დროებითი ზემოქმედების შესახებ.</p> <p>შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის მოვლა-შენახვის პროცესში, შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე ნებისმიერი დროებითი გამოყენების შემთხვევაში (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მიწების მოკლევადიანი დასაწყობებით ან სხვა ოპერაციული საქმიანობებით), მიწის მესაკუთრეები წინასწარ იქნებიან ინფორმირებული და მათი თანხმობა მიღებული იქნება ოფიციალურად.</p> <p>საპროექტო კონსულტანტი გააგრძელებს კონსულტაციებს ადგილობრივი თემების წარმომადგენლებსა და ფერმერებთან რეაბილიტაციის ეტაპზე, მათი საჩივრების გონივრულ ფარგლებში განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.</p>
---	---

განსახლების სკრინინგის კითხვარი		დიახ	არა
1	<p>არის თუ არა ქვეპროექტის ობიექტის კუთვნილების, საკუთრებისა და მიწათსარგებლობის სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი და დამოწმებადი? (სკრინინგი ვერ დასრულდება მანამ, სანამ აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი)</p>		×
2	<p>შეამცირებს თუ არა ქვეპროექტი (დროებით ან მუდმივად) სხვა პირების წვდომას მათ ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, საჯარო სერვისები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი არიან დამოკიდებული?</p>		×
3	<p>გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი პირების ან ოჯახების განსახლებას ან მოითხოვს თუ არა მიწის (სახელმწიფო ან კერძო) შესყიდვას მისი განხორციელებისთვის (დროებით ან მუდმივად)?</p>		×

4	გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი მოსავლის, ხეხილისა და საოჯახო ინფრასტრუქტურის (როგორცაა დამხმარე ნაგებობები, ღობეები, არხები, მარცვლეულის საცავები, გარე ტუალეტები და სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		×
<p>თუ ზემოთ მოცემულ რომელიმე კითხვაზე (გარდა 1-ლი კითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ გამოიყენება გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 5 (ESS5) — მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არა ნებაყოფლობითი განსახლება, და შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს აღნიშნული სტანდარტისა და პროექტის განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს (RPF) შესაბამისად.</p>			

<b>კულტურული რესურსების დაცვის სკრინინგის კითხვარი</b>		დია	არა
5	მოითხოვს თუ არა პროექტი გრუნტის ამოღებას რომელიმე ისტორიულ, არქეოლოგიურ ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სიახლოვეს?		×
<p>თუ მე-5 კითხვაზე პასუხი არის „დიახ“, შესაძლო შემთხვევითი აღმოჩენები უნდა დამუშავდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოში (ESMF) განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.</p>			

### 3. დასკვნა

1. ქვეპროექტი უარყოფილია

2. ქვეპროექტი მიღებულია

ქვეპროექტის მომზადება მოითხოვს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებას (ESIA).

ქვეპროექტის მომზადებისთვის საჭიროა კითხვარის შევსება.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობებისთვის

<sup>1</sup> ძლიერი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკის/ზემოქმედების მქონე ქვეპროექტი არ ექვემდებარება პროექტის ფარგლებში დაფინანსებას. პროექტის სახსრებიდან შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ისეთი საქმიანობები, რომელთაც აქვთ ზომიერი ან არსებითი (substantial) რისკები.

## დანართი B: დაგეგმილი სადრენაჟე სისტემის რუკა

სისტემა მოიცავს 2 ძირითად არხს, 22 მეორე რიგის არხს და 105 მესამე რიგის არხს; საერთო სიგრძე შეადგენს 67.8 კმ-ს. სქემის აღმოსავლეთით მდებარე დამატებითი ტერიტორია ჩაერთვება სისტემაში და დაუერთდება მთავარ არხ SK-2-ს, ხოლო კოლხეთის ეროვნული პარკის გავლით არსებული მცირე არხი გადაიკეტება. შედეგად, სისტემის საზღვრებში, მთავარი არხების SK-1 და SK-2-ის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებიდან სადრენაჟე წყლები სრულად იქნება მოცილებული ახლად დამონტაჟებული ფარების და სატუმბი სადგურის მეშვეობით.



შავლელის მასივის სადრენაჟე სისტემის რუკა

დანართი C: შავლელეს სადრენაჟე სისტემის არსებული მდგომარეობა



მაგისტრალური სადრენაჟე არხი



პალიასტომის ტბისკენ მიედინება დრენირებული წყალი



*სადრენაჟე / წვიმის წყლების პალიასტომის ტბაში ჩაშვების წერტილები*



*მეორე რიგის სადრენაჟე არხში მზარდი მურყნის ხეები*



არსებული ხიდი მთავარ სადრენაჟე არხზე



**დანართი D: ბიომრავალფეროვნების შეფასების ანგარიში**

ბიომრავალფეროვნების შეფასების ანგარიში (შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემა)

საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი  
(GRAIL)

საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის  
წინასწარი და საბოლოო პროექტი ტაშისკარი, ტირიფონი, ზედა არხი, ზემო  
ალაზანი, I ფაზა, ნარეკვაკი და შავლელეს მასივი

2025 წლის აპრილი

**YOOSHIN DASAN CONSULTANTS** 

# 1. შესავალი

## 1.1 პროექტის საფუძველი

საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის (GRAIL) პროექტი თანადაფინანსებულია მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 150.00 მილიონ აშშ დოლარს, საიდანაც თითოეული თანადაფინანსებლის წილი 75.00 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. პროექტის ძირითადი მიზნებია: (ა) პროექტის სამიზნე ტერიტორიებზე საირიგაციო და სადრენაჟე მომსახურებებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება; და (ბ) ირიგაციისა და მიწის მართვის სფეროში ეროვნული ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერება კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი დაგეგმვის მხარდასაჭერად.

შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის (SMD) ქვეპროექტი შემუშავებულია ძირითადი, მეორე და მესამე რიგის სადრენაჟე არხების, კოლექტორებისა და მეურნეობის შიდა ქსელის რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის დასაფინანსებლად. აღნიშნული მონაკვეთები შეირჩა შავდელეს მასივში (807 ჰა), სამეგრელოს რეგიონში და გათვალისწინებული იქნა პროექტის მომზადების ეტაპზე ტექნიკური განხორციელებადობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა და დრენაჟის მნიშვნელობა მომსახურების ფართობზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის.

GRAIL პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილი სამუშაოების მოცულობა მოიცავს სათავე ნაგებობების, ძირითადი სადრენაჟე არხების, განაწილების ქსელების, კოლექტორებისა და მეურნეობის შიდა ქსელის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას. არსებული სისტემა დაპროექტებული იყო ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდი მონოკულტურული წარმოების ფართობებისთვის; მაშინ როდესაც მოდერნიზებული სისტემა გაითვალისწინებს მიწის თანამედროვე განაწილებასა და პოტენციურ სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტრუქტურას. სადრენაჟე სისტემის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები მოიცავს ძირითადი კოლექტორისა და სადრენაჟე ქსელის პროფილის გადაკეთებას, აგრეთვე საჭირო დამხმარე ნაგებობების რეაბილიტაციას ან მშენებლობას, როგორცაა წყალგამტარი მილები და სატუმბი სადგური. სადრენაჟე სისტემების განვითარების დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ, 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1: სადრენაჟე სისტემა საინჟინრო პროექტის შემუშავებისთვის

სადრენაჟე სისტემა	პროექტის ფარგლებში განხილული ფართობი (ჰა)	რეაბილიტაციას დაქვემდებარებული სათავე ნაგებობები	სარეაბილიტაციო მაგისტრალური სადრენაჟე არხი	ქსელის ფრეაბილიტაცია <sup>2</sup>
შავდელეს მასივი	807	0	დიახ + მაგისტრალური კოლექტორის მიმდებ აუზში სატუმბი სადგურის მოწყობა	სადრენაჟე ქსელის სრული რეაბილიტაცია <sup>1</sup>

<sup>1</sup> ეს მოიცავს მეორე და მესამე რიგის ქსელს მეურნეობის საზღვრამდე. მეორე რიგის სადრენაჟე არხები საჭიროებს რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას და, შესაძლებლობის ფარგლებში, მილსადენებად გადაკეთებას დაწვევითი ირიგაციის უზრუნველსაყოფად. მესამე რიგის ქსელი ძირითადად წარმოადგენს მიწის თხრილებს საინჟინრო ნაგებობების გარეშე და საჭიროებს სრულად გადაპროექტებასა და მშენებლობას მიწის არსებული განაწილების, კულტურების წარმოების მიმდინარე და პოტენციური მოდელების გათვალისწინებით.

ობიექტის დათვალიერების და ადგილობრივ მოსახლეობასა და შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეხვედრების შედეგად დადასტურდა, რომ ახლომდებარე მდინარე რიონი შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემაში არ ჩაედინება. მის ნაცვლად, არსებული სატუმბი სადგურის გავლის შემდეგ, მდინარის ნაკადი სადრენაჟე არხის მეშვეობით პალიასტომის ტბაში გადადის. ვინაიდან პალიასტომის ტბა შავი ზღვის მიმდებარედ მდებარეობს, შავი ზღვის წყლის დონის მერყეობა პირდაპირ გავლენას ახდენს პალიასტომის ტბის წყლის დონეზე. შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის ადგილმდებარეობის რუკა წარმოდგენილია 1-ელ სურათზე.

სურათი 1. შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის მდებარეობა



**1.2.პროექტის მიზნები:**

მაღალი დონის საირიგაციო ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაშიც კი, დატბორვის ან მიწისქვეშა წყლების მაღალი დონის ეფექტიანად მართვის გარეშე რთულია მაღალი მოსავლიანობის მიღწევა და ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. დატბორვისა და ჭარბი ტენიანობისგან კულტურების დასაცავად, აუცილებელია ძლიერი ნალექების დროს დატბორვის რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე დამცავი დამბების მოწყობა. ალტარნატიული ვარიანტია სადრენაჟე სატუმბი დანადგარების მონტაჟი დაგუბებული წყლების წინასწარ მოსაშორებლად, რაც ხელს შეუშლის ნათესების დატბორვას. ამასთან, საჭიროა სპეციალური მეთოდების შემუშავება მიწისქვეშა წყლების დონის დასაწევად, ნიადაგის ჭარბი დატენიანების თავიდან ასაცილებლად და კულტურების ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურებს სჭირდებათ წყალი ზრდისთვის, დატბორვას და ნიადაგში ჭარბ ტენიანობას შეუძლია მათი მნიშვნელოვნად დაზიანება. ზედმეტი ტენიანობა იწვევს ჟანგბადის დეფიციტს და მავნე აირების, როგორცაა ნახშირორჟანგი, დაგროვებას. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწების დასაცავად დატბორვისა და ნიადაგის ჭარბი ტენიანობისგან, აუცილებელია ზედმეტი წყლის ეფექტიანი მოცილება. ეს მოიცავს საჭირო სადრენაჟე გამტარობის გამოთვლას და შესაბამისი სადრენაჟე ნაგებობების — თხრილების, ფარებისა და სატუმბი დანადგარების — დაგეგმვას. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვას, მიწის რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და პროდუქტიულობის ზრდას.

პროექტს შემდეგი მიზნები აქვს:

- სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დატბორვისა და ჭარბი ტენიანობის თავიდან აცილების გზით ერთეულ ფართობზე პროდუქტიულობის ზრდა და უსაფრთხო მეურნეობის უზრუნველყოფა;
- მიწის ფართო გამოყენებისთვის პირობების შექმნა და ადგილობრივი რელიეფისა და ნიადაგის პირობებზე მორგებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების სისტემების გაუმჯობესება;
- ჭარბტენიანი მიწების გაუმჯობესების, შრომის მოთხოვნების შემცირებისა და მართვის პირობების გაუმჯობესების გზით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა;
- თემების მრავალწლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება ისეთი პროექტების განხორციელებით, რომლებიც პასუხობს საჩივრებს და შეესაბამება ფერმერთა მოლოდინებს.

### 1.3. კვლევის ფარგლებში გამოყენებული მიდგომა და მეთოდოლოგია

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ამ შეფასების ფარგლებში გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდი და მიდგომა. მონაცემების შეგროვებისა და შედეგების ანალიზისთვის ძირითადი ტექნიკები მოიცავდა შპს „საქართველოს მელიორაციის“ (GA) გუნდისა და ადგილობრივი თემების წარმომადგენლებთან კონსულტაციებს, სავლე კვლევებსა და კაბინეტურ მიმოხილვას. აღნიშნული პროცესი მოიცავდა ობიექტზე გასვლებს ტექნიკური გუნდის სხვადასხვა წევრების მონაწილეობით, აგრეთვე საკონსულტაციო შეხვედრებს ადგილობრივ ფერმერებთან მუნიციპალიტეტის ოფისში და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გუნდთან. საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ობიექტზე განხორციელდა ორი ვიზიტი — 2024 წლის 12 დეკემბერს და 2025 წლის 20 მარტს, ხოლო საჯარო კონსულტაცია ჩატარდა 2024 წლის 12 დეკემბერს. ფერმერებისგან შეგროვდა მონაცემები ისეთ საკითხებზე, როგორცაა ჭარბტენიანობა, სავლეგეგმვა, სეზონები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტრუქტურა, მოსავლის აღების პერიოდები, ირიგაციის არსებული პრაქტიკა, პირუტყვი, აგრეთვე ადგილობრივი ფლორა და ფაუნა.

ამასთან, მიმოხილული იქნა ლიტერატურა სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვადასხვა ვებგვერდებზე განთავსებული მასალების შესწავლის გზით, რის შედეგადაც მომზადდა ყოვლისმომცველი ანგარიში. კაბინეტური კვლევის მიზანი იყო სანდო ინფორმაციის მიწოდება და სავლე კვლევების შედეგების მხარდაჭერა. კვლევა ფოკუსირებული იყო შემოთავაზებული პროექტის ობიექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური მახასიათებლების იდენტიფიცირებასა და აღწერაზე. ეს მოიცავდა დაცული ბიომრავალფეროვნების ტერიტორიების იდენტიფიცირებას და მათი სტატუსის შეფასებას ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე მოკლე განმარტებების წარმოდგენას იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც აღნიშნული ტერიტორიები დაცულია, მათ შორის ჰაბიტატების ტიპებისა და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების არსებობის გათვალისწინებით.

## სურათი 2: საჯარო კონსულტაცია სოფელ შავლელეს მუნიციპალიტეტის ოფისში



### 2. პროექტი

წარსულში, როდესაც პროექტის ტერიტორიაზე სადრენაჟე სატუმბი სისტემები ფუნქციონირებდა, სადრენაჟე არხების ქსელი კარგად იყო განვითარებული. არსებობდა მაგისტრალური არხები, მეორე და მესამე რიგის სადრენაჟე არხები, აგრეთვე სავარგულების შიდა სადრენაჟე არხები. თუმცა, სადრენაჟე სატუმბის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ არხების მოვლა-შენახვისა და გაწმენდის განუხორციელებლობის გამო, დღეისათვის მრავალი არხი მცენარეულობით არის ამოვსებული, რის შედეგადაც შემცირებულია მათი გამტარუნარიანობა. ზოგიერთი არხი მთლიანად დაფარულია მცენარეულობით, ხოლო ნაწილი — ფუნქციონირების შეწყვეტის გამო — პრაქტიკულად გაუქმებულია.

სურათი 2: არსებული სადრენაჟე სისტემის მაგისტრალური არხის მდგომარეობა



ვინაიდან წარმოდგენილი პროექტით რეკომენდებულია სადრენაჟე სატუმბი სისტემის რეაბილიტაცია, საჭიროა სადრენაჟე არხების გაწმენდა და მათი განივი კვეთის გადაკეთება მაქსიმალური სადრენაჟე ხარჯის გატარების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით მომზადდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რეკომენდაციებს არხების პროფილების შეცვლის შესახებ პიკური ნაკადის გასატარებლად.

ლენინური კომკავშირის სახელობის სახელმწიფო სუბტროპიკული მეურნეობის საერთო ფართობი შეადგენს 850 ჰექტარს, მათ შორის 30 ჰექტარი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის ამჟამად გამოუყენებელ მიწას. პროექტის სისტემების განლაგება წარმოდგენილია მე-3 სურათზე.

ძირითადი სამშენებლო საქმიანობები მოიცავს: წყლის მოცილებას, გრუნტის ამოღებას, ფარების საძირკვლის მოწყობას და ფარების მშენებლობას, ხიდების რეაბილიტაციას, ხეების მოცილებას, სადრენაჟე სისტემების გათხრას, გზების გაუმჯობესებას და ტუმბოების მონტაჟს. პროექტის განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 20 თვეს. სამუშაოებში ჩართული ტექნიკა მოიცავს სატუმბებს, ექსკავატორებს, თვითმცლელ სატვირთო ავტომობილებს, სატუმბ ექსკავატორსა და ბეტონის შემრევებს. შეფასების მიხედვით, ამ სამუშაოებზე საერთო ჯამში დასაქმებული იქნება დაახლოებით 148 ადამიანი.

სურათი 3: შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის განლაგება



### 3. მიწის საფარი


გამოყენებული იქნა European Space Agency (ESA)-ის მიერ მოწოდებული WorldCover 2021-ის მიწათსარგებლობის/მიწის საფარის მონაცემები, რომლებიც ასახავს ხეებით დაფარულ ტერიტორიებს, ბუჩქნარსა და სასოფლო-სამეურნეო მიწებს. მე-2 ცხრილი აჩვენებს სქემის ფარგლებში არსებულ ხეებით დაფარულ ფართობებს, ბუჩქნარს, ბალახნარს, სასოფლო-სამეურნეო მიწებს, განაშენიანებულ ტერიტორიებსა და ბალახოვან ჭარბტენიან

ტერიტორიებს. მე-3 სურათი ასახავს მიწის საფარის ტიპების პროცენტულ განაწილებას, ხოლო სურათი 4 წარმოადგენს შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის მიწის საფარს.


ცხრილი 2: ფართობის წილობრივი განაწილება მიწის ტიპების მიხედვით

ინდექსი	ხეებით დაფარული ტერიტორია	ბუჩქნარი	ბალახნარი	სასოფლო-სამეურნეო მიწა	განაშენიანებული ტერიტორია	ბალახოვანი ჭარბტენიანი ტერიტორია	სულ
ფართობი	687.03	12.62	169.05	92.29	4.78	24.38	850
წილი	69.39	1.27	17.07	9.32	0.48	2.46	100

სურათი 3: მიწის ტიპების პროცენტული განაწილება



სურათი 4: შავღელეს მასივის სადრენაჟე სისტემის (SMDS) მიწის საფარი



#### 4. ძირითადი კანონმდებლობა, კონვენციები და სტანდარტები

პროექტის ბიომრავალფეროვნების პოლიტიკა ეფუძნება საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც ჩამოყალიბებულია საქართველოს მთავრობის პოლიტიკის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო პოლიტიკისა და კონვენციების, მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნების საფუძველზე (ცხრილი 3).

ცხრილი 3. ბიომრავალფეროვნების დაცვის ძირითადი კანონმდებლობა და პოლიტიკა

კანონი	მიღების/ძალაში შესვლის თარიღი	კონსოლიდირებული ვერსია/ბოლო ვერსია
<b>საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა</b>		
საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“	1996	25.20.2019
საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“	1996	20.07.2018
საქართველოს კანონი „ველური ბუნების შესახებ“	1997	17.03.2020
საქართველოს ტყის კოდექსი	1999	22.02.2019
საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“	2003	22.12.2018
საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	2017	05.07.2018
ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (NBSAP)	2005	01.01.2014
ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა (2017–2021)	2018	22.05.2018
საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია	2013	11.12.2013

<b>საქართველოს მიერ რატიფიცირებული გარემოსდაცვითი კონვენციები</b>		
საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც საქართველოს მიერ არის რატიფიცირებული:	1961	2008
მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია.	1971	1997
საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენცია, განსაკუთრებით როგორც წყლის ფრინველთა ჰაბიტატების შესახებ (რამსარის კონვენცია).	1973	1996
ველური ფაუნისა და ფლორის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია (CITES).	1991	2002
ევროპული დამურების პოპულაციების დაცვის შესახებ შეთანხმება.	1995	2001
აფრიკა-ევრაზიული მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ შეთანხმება.	1997	2007
მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია (1997 წლის გადახედილი ტექსტი).	1983	2000
ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ კონვენცია (ბონის კონვენცია) (CMS).	1992	1994
ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენცია (CBD), ასევე ცნობილი როგორც რიო-დე-ჟანეიროს კონვენცია.	2000	2009
კარტახენის პროტოკოლი ბიოუსაფრთხოების შესახებ ბიომრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში.	2000	2011
ევროპის საბჭოს ევროპული ლანდშაფტის კონვენცია.	2009	2014
ევროკავშირის საბჭოს დირექტივები 92/43/EEC (ჰაბიტატების დირექტივა) და 2009/147/EEC (ფრინველების დირექტივა) — ევროკავშირის ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივები.	2008	2018
<b>დამფინანსებელი ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პოლიტიკა</b>		
<b>პოლიტიკა</b>	<b>ძალაში შესვლის თარიღი</b>	
მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო (2016)	2016	
ESS6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	2016	
ESS3: რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა	2016	
IFC-ის შესრულების სტანდარტი — სახელმძღვანელო შენიშვნა 6 (IFC PS6)	2012	

## 5. ჰაბიტატები

### 5.1. კოლხეთის ეროვნული პარკი

აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ჭარბტენიანი ტყის ზონას შავი ზღვის სანაპიროს დასავლეთით, ქალაქ ფოთისა და მარილიანი პალიასტომის ტბის აღმოსავლეთით და მდინარე რიონის (ფაზისის) შესართავის სამხრეთით. მას მინიჭებული აქვს ეროვნული პარკის სტატუსი. ტერიტორია ისტორიული კოლხეთის გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენს, რომელიც ცნობილია ელინისტური ეპოქის ლეგენდიდან იასონისა და არგონავტების შესახებ. რადგან ტერიტორია დაბლობზე მდებარეობს და თითქმის ზღვის დონეზეა განლაგებული, ის ხშირად ჭაობიანია და ძნელად მისადგომი. აღნიშნული არეალი გამოირჩევა წყლის ფრინველთა დიდი მრავალფეროვნებით (განსაკუთრებით პალიასტომის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ), იშვიათი ენდემური მცენარეებით, აგრეთვე წყლებთან დაკავშირებული ამფიბიების, რეპტილიებისა და მუძუმწოვრების მრავალრიცხოვანი სახეობებით.

**სურათი 5: კოლხეთის ეროვნული პარკის აეროფოტო (მთავარი არხის მარცხენა მხარე)**



კოლხეთის ეროვნული პარკი — საქართველოს პირველი ბუნებრივი ობიექტია, რომელიც ნომინირებულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ეკოსისტემების გამო. კოლხეთის დაბლობებმა საერთაშორისო ყურადღება პირველად 1996 წელს მიიქცია, როდესაც საქართველო შეუერთდა რამსარის კონვენციას — საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებას, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა ჰაბიტატების დაცვის მიზნით. პარკი ასევე შედის ზურმუხტის ქსელში (Emerald Network), რომელიც წარმოადგენს ეკოლოგიური თანამშრომლობის ინიციატივას განსაკუთრებული საკონსერვაციო ინტერესის მქონე ტერიტორიების დასაცავად. ჭარბტენიანი ტერიტორიები წარმოადგენს მნიშვნელოვან დასვენებისა და შეჩერების არეალს ათასობით წყლის ფრინველისთვის მათი მიგრაციის დროს ჩრდილოეთ ევრაზიასა და აფრიკას შორის. პარკში დომინანტური ხის სახეობებია მურყანი, ლაფანი, ნაძვი და სხვა.

შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის პროექტის არეალი მდებარეობს ეროვნული პარკის დაცული საზღვრების გარეთ და არ ახდენს კოლხეთის ეროვნული პარკის პირდაპირ ზემოქმედებას. სამშენებლო საქმიანობები შემოიფარგლება არსებული სადრენაჟე ქსელებისა და სატუმბო სადგურის რეაბილიტაციით. სამუშაოების მიზანია ჭარბტენიანობით დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სადრენაჟე სისტემის

გაუმჯობესება მიწისქვეშა წყლების დონის შემცირების გზით. კოლხეთის ეროვნულ პარკს გააჩნია საკუთარი მართვის გეგმა — „საქართველოს მთავრობის 2019 წლის დადგენილება №601 — ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ: კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის ბუნებრივი ნაკრძალის მართვის გეგმა“; საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განხორციელება მოხდება აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად.

#### სურათი 6: წვერიანი მურყნის (*Alnus barbata*) ხეები კოლხეთის ეროვნული პარკის დაცულ ტერიტორიაზე



#### 5.2. პალიასტომის ტბა

პალიასტომის ტბა საერთაშორისო მნიშვნელობის დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს რამსარის კონვენციის მიხედვით (ობიექტი №893, IUCN კატეგორია II) და არის კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენელი ნაწილი. ტერიტორია და მისი ბიომრავალფეროვნება დაცულია საერთაშორისო შეთანხმებების ფარგლებში, მათ შორის რამსარის, ბონის და შავი ზღვის კონვენციებით. ტბის ზედაპირის ფართობი შეადგენს **17.3 კმ<sup>2</sup>-ს**, ხოლო საშუალო სიღრმე — 2.6 მეტრს. დამლაშება და მასთან დაკავშირებული ჰიდროლოგიური ცვლილებები უარყოფითად აისახა ტბის ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით თევზის სახეობებზე. ტბა იკვებება ნალექებითა და მასში ჩამდინარე შენაკადებით. წყლის დონე, როგორც წესი, მაღალია ზაფხულში, შემოდგომასა და გაზაფხულზე, ხოლო ზამთრის პერიოდში იკლებს. წყალი ივლისსა და აგვისტოში თბილია, ზამთარში კი მნიშვნელოვნად ცივდება. ძლიერი ქარების გამო, ტბაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნისას ხშირია ჰიპოთერმიის განვითარების რისკი.

### სურათი 7: პალისტომის ტბის ხედი



პალიასტომის ტბა შავი ზღვისგან გამოყოფილია დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლის ქვიშის ზოლით, რომლის სიგრძე 300–400 მეტრს შეადგენს. ტბისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენს დანალექების დაგროვება და მცენარეულობის ფართო გავრცელება. 1924 წლამდე პალიასტომის ტბა მტკნარწყლიანი იყო. იმ პერიოდში ტბიდან წყალი გაედინებოდა კაპარჩინის მდინარეში, თუმცა მდინარის გამტარობა საკმარისი არ აღმოჩნდა წყალმოვარდნების დროს წყლის სრულად გასატარებლად, რის შედეგადაც წყლის დონე მატულობდა და იტბორებოდა ფოთის მიმდებარე ტერიტორიები. ფოთის დატბორვისგან დაცვის მიზნით აშენდა არხი, რომელმაც ტბა ზღვასთან დააკავშირა. დროთა განმავლობაში ძლიერი შტორმების შედეგად ეს არხი დაზიანდა, რამაც ზღვის წყლის ტბაში შეღწევა გამოიწვია და საბოლოოდ ტბის დამლაშებას შეუწყო ხელი.

### სურათი 8: ქვიშის ზოლი შავ ზღვასა და პალიასტომის ტბას შორის



პალიასტომის ტბის საკვები ნივთიერებებით მდიდარმა წყლებმა, რომლებიც ამასთან ერთად დაბინძურებულია, ხელი შეუწყო ფიტოპლანქტონისა (ალგები) და წყლის მცენარეების მასშტაბური ყვავილობის განვითარებას. მათი ზრდა ამცირებს გახსნილი ჟანგბადის დონეს, იწვევს ევტროფიკაციას და ჭარბი აზოტისა და ფოსფორის გამო საფრთხეს უქმნის თევზებსა და სხვა წყლის ბინადარ სახეობებს. ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩაედინება პიჩორის მდინარე, რომელიც

დამატებით აბინძურებს ტბას ახლომდებარე დასახლებებიდან და აეროპორტის არხიდან წამოსული ჩამდინარე წყლებით; ამ არხით ასევე მოდის ჩამდინარე წყლები ქალაქ ფოთიდან. პალიასტომის ტბაზე ბინადრობს 300-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის ფრინველი, ხოლო 100-ზე მეტი სახეობა ტბას იყენებს მიგრაციისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აზოვის ზღვის ზედაპირი იყინება.

**სურათი 9: პალიასტომის ტბის მიმდებარე ჭაობები**



შაველეს მასივის სადრენაჟე სისტემის არეალში ყველა მეორე და მესამე რიგის სადრენაჟე არხებიდან წყალი მიედინება მაგისტრალურ არხებში და თვითდინებით მიეწოდება სატუმბ სადგურს, საიდანაც ტბაში გადაიტუმბება, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

**სურათი 10: სადრენაჟე წყლების დინება პალიასტომის ტბისკენ**



## სურათი 11: სადრენაჟე/წვიმის წყლების ჩაშვების წერტილები პალიასტომის ტბაში



### 5.3.მდინარე რიონი

რიონი დასავლეთ საქართველოს მთავარი მდინარეა. იგი სათავეს იღებს კავკასიონის მთები-ში, რაჭის რეგიონში, და ჩაედინება შავ ზღვაში, ქალაქ ფოთის ჩრდილოეთით (ძველი ფაზისის მახლობლად). მდინარის ნაპირზე მდებარეობს ქალაქი ქუთაისი, რომელიც ოდესღაც კოლხეთის ძველი ქალაქი იყო. რიონს შავი ზღვისკენ მიაქვს დასავლეთ ამიერკავკასიის წყლები, ხოლო მდინარე მტკვარს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის წყლები კასპიის ზღვისკენ.

### სურათი 12: რიონი პროექტის არეალის გასწვრივ



რიონი პროექტის არეალზე ზემოქმედებას ახდენს ნიადაგში წყლის ინფილტრაციის გზით, რაც იწვევს მიწისქვეშა წყლების დონის მატებას. ობიექტის დავალიერებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან, აგრეთვე შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების შედეგად დადასტურდა, რომ მდინარე რიონის წყალი პირდაპირ არ ჩაედინება შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემაში.

## 6. პროექტის სისტემის ფაუნა და ფლორა

### 6.1 ფლორის სახეობები:

პროექტის არეალში ფერმერების მიერ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოიცავს: ციტრუსებს, სიმინდს, კარტოფილს, ფეიხოსს, ვარდის ყვავილებს, მაცვალს, ხეხილს, ლავრს, მარწყვს და პომიდორს. აღნიშნული კულტურები ძირითადად ირწყვება ნალექების წყლით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ფერმერები იყენებენ მიწისქვეშა წყლებს კულტურების მორწყვისთვის. სადრენაჟე წყლები სარწყავი მიზნებისთვის არ გამოიყენება.


### სურათი 13: ფეიხოსს სასოფლო-სამეურნეო ფართობები სოფელ შავლელეში



ტერიტორია დაფარულია ფოთლოვანი ჭარბტენიანი ტყით, რომლის შემადგენლობაში ძირითადად გვხვდება წვერიანი მურყანი, ტირიფის რამდენიმე სახეობა, მუხა, ნაძვი, ჩვეულებრივი იფანი და ლაფანი.

სადრენაჟე არხების ფარგლებში შეინიშნება ხეების ბუნებრივი ზრდა; მათ შორის განსაკუთრებით დომინანტურია წვერიანი მურყანი, აგრეთვე ნაძვი, როგორც ეს ქვემოთ წარმოდგენილ სურათებზეა ნაჩვენები.

სურათი 14: პროექტის არეალში გავრცელებული ხეების სახეობები

	
<p>მეორე რიგის სადრენაჟე არხში მზარდი წვერიანი მურყანის ხეები</p>	<p>ნაძვის (<i>Picea abies</i>) ხეები ფერმერის მიწის ნაკვეთზე</p>

კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ფერმერები ახორციელებენ ხეების ჭრას მათი რეალიზაციისთვის ან საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სურათი 15: მოჭრილი ხეებიდან მიღებული მერქნული რესურსი



ყველაზე გავრცელებულ ბუჩქოვან და ბალახოვან სახეობებს შორის გვხვდება: ზღვის ქაცვი (*Hippophae rhamnoides*), კუნელი (*Crataegus* spp.), მოწყვილი (*Euphorbia* spp.), ეკლიანი მცენარეები (blue thistle), კოლხური ჭვავი (*Carex* spp.), ბლედი ბალახი (blady grass), ასტრაგალი (*Astragalus* spp.), სანაპირო ჭინჭარი (*Urtica* spp.), ფრინჯიანი კამპიონი (*Silene* spp.), პალიურისი (*Paliurus spina-christi*) და სხვა.

**სურათი 16: მთავარი სადრენაჟე არხის ნაპირზე და ქვეტყეში განვითარებული ბუჩქოვანი მცენარეულობა**

	
<p>კუნელის ბუჩქები მთავარი სადრენაჟე არხის ნაპირზე</p>	<p>ქვეტყე კოლხეთის ეროვნულ პარკში</p>

**6.2 ხეების აღწერა პროექტის არეალში**

შავლელეს ქვე-პროექტის ფარგლებში, ქვეკონსულტანტმა კომპანიამ „Geo Construction“ პროექტის ბუფერულ ზონაში არსებული ხეების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეფასება ჩაატარა. შეირჩა ბუფერული ზონის კიდეზე განთავსებული ხეების საერთო რაოდენობის 10%. შეფასებამ აჩვენა, რომ ყველა ხე დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვის ქვეშ იმყოფება. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების ფაზაში ხეების მოჭრა გახდება საჭირო, სამშენებლო კომპანია იხელმძღვანელებს საქართველოს ტყის კოდექსითა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ყველა პროცედურის დაცვით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია შეფასებისას აღრიცხული ხეების დეტალური ჩამონათვალი და რაოდენობა. მე-4 ცხრილში მითითებულია, რომ დომინანტი სახეობაა მურყანი (Alnus) — 80%, რასაც მოსდევს ლაფანი (Pterocarya pterocarpa) — 8%. მთლიანი ფართობის გათვალისწინებით, ეს ნიშნავს, რომ სადრენაჟე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში ზემოქმედების ქვეშ ჯამში 18,540 ხე მოხვდება.

**ცხრილი 4: ხეების ინვენტარიზაცია (ფართობის 10%)**

ხის სახეობა	რაოდენობა (ფართობის 10%)	პროცენტი
მურყანი	1495	80%
ტირიფი	62	3.3 %
ლეღვი	28	1.5 %
თეთრი თუთა	19	1.0 %
მანჯურიული კაკალი	15	0.8 %

ლაფანი	57	3 %
კრიპტომერია	153	8.2 %
ტყემალი	3	0.16 %
თხის ტირიფი	2	0.10 %
აკაცია	7	0.3 %
ვერხვი	6	0.3 %
აღმოსავლური ჭადარი	6	0.3 %
ქართული თელა	1	0.05 %
<b>სულ</b>	<b>1854</b>	

### 6.3 ფრინველები

კოლხეთის დაბლობი გადამფრენი წყალმცურავი ფრინველებისთვის მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს. ათიათასობით ფრინველი იყენებს კოლხეთის ჭაობებს, ტბებს, მდინარეებსა და სანაპირო ზოლს როგორც მოსასვენებელ, ისე გამოსაზამთრებელ ადგილებად. დაბლობი და სანაპირო რეგიონები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეჭვავიასნაირთა და სანაპირო ფრინველების შემოდგომისა და გაზაფხულის მიგრაციის პერიოდში. ტერიტორიის დათვალიერებისას, ფერმერებთან გასაუბრებისა და ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, დაფიქსირდა ფრინველის რამდენიმე სახეობა, მათ შორის: მწყერი, ტყის ქათამი, ყანჩები, კოლხური ხოხობი, მელოტა, მექვიშიები, წითელკისერა მყვინთავი, შავკისერა მყვინთავი, თეთრფრთიანი მერცხალა, მოკლენისკარტა მერცხალა, ჭაობის მექვიშია, წითელი იხვი, თეთრშუბლა ბატი, ნამგალა, ჟერო, ყვითელი ყანჩა, დიდი ჩვამა და თეთრი ყანჩები.

სურათი 17: ფრინველთა სახეობები საპროექტო არეალში



<p>თეთრშულა ბატი ტბის თავზე ფრენისას</p>	<p>წითელყელიანი და შავყელიანი მყვინთავი ტბის წყალში</p>
	
<p>ყანჩები ფრენისას პალიასტომის ტბის მიმდებარე ჭაობებში</p>	<p>მეჭვავიები პალიასტომის ტბის თავზე ფრენისას მიგრაციის პერიოდში.</p>



#### 6.4 ხმელეთის ფაუნა:

პარკის ჭაობები და დაჭაობებული ტყეები რამდენიმე სახეობის ცხოველის საბინადრო გარემოს წარმოადგენს, მათ შორის არის:

- შველი (*Capreolus capreolus*)
- გარეული ღორი (*Sus scrofa*)
- წავი (*Lutra lutra*)
- ნუტრია (*Myocastor coypus*)
- ტურა (*Canis aureus*)

ეს სახეობები ბინადრობენ პარკის დაჭაობებულ ტერიტორიებსა და ჭაობებში. ისინი იკვებებიან სხვადასხვა მცენარეული სახეობებით, როგორცაა მაცვალი, ბალახები და სხვადასხვა ბალახოვანი მცენარე. წავი იკვებება ნელა მოძრავი თევზებითა და უხერხემლოებით, მათ შორის კიბორჩხალებით, მოლუსკებითა და ლოკოკინებით. გარდა ამისა, საჯარო კონსულტაციების დროს ადგილობრივმა ფერმერებმა ახსენეს სხვა ცხოველებიც, როგორცაა მელა, მაჩვი, კვერნა, ძროხა და ძაღლი. თუმცა, უშუალოდ ტერიტორიის დათვალიერებისას გარეული ცხოველები არ დაფიქსირებულა. ტექნიკური ჯგუფის მიერ პალიასტომის ტბაზე ნავით გადაადგილებისას დაფიქსირდა ერთი ნუტრია (ძირითადად ბალახისმჭამელი). პროექტი ზემოქმედებას არ მოახდენს ამ ცხოველებზე და ბრაკონიერობა იქნება აკრძალული. კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას, გაატაროს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები.

#### სურათი 18: ძროხების ძოვება ტბის მახლობლად



#### 6.5 მეფუტკრეობა (აპიკულტურა)

მეფუტკრეობა, რომელიც ასევე ცნობილია როგორც აპიკულტურა, საპროექტო არეალშიც არის გავრცელებული ეროვნულ პარკში ყვავილების სიმრავლის გამო. იგი გულისხმობს თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების მისაღებად ფუტკრების მოშენებას. ეს პროცესი მოიცავს სკების მართვას და ფუტკრების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვას თაფლის წარმოების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით. ფერმერები აწყობენ სკებს, საჭიროების შემთხვევაში კვებავენ ფუტკრებს და იღებენ თაფლს.

## სურათი 17: მეფუტკრეობის პრაქტიკა საპროექტო არეალში



ტერიტორიის დათვალიერებისას, მაგისტრალური არხისა და სატუმბი სადგურისკენ მიმავალი მისასვლელი გზის გასწვრივ, დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით, დაფიქსირდა ერთი საფუტკრე მეურნეობა. ხმაურმა, ვიბრაციამ და მტერის ემისიამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს თავლის პროდუქტიულობაზე. თუმცა, მოსალოდნელია, რომ ზემოქმედება იქნება მინიმალური, რადგან პროექტში მხოლოდ რამდენიმე ერთეული ტექნიკა ჩართული, მათ შორის თვითმცლელი სატვირთო ავტომობილები, ექსკავატორი და ბეტონის შემრევი; აღნიშნული რისკების თავიდან აცილება შესაძლებელია გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხორციელებით. გარდა ამისა, ზემოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ საფუტკრე მეურნეობის სიახლოვეს ტექნიკის გავლის დროით.

### 6.6. წყლის სახეობები:

საქართველოში მდებარე კოლხეთის ეროვნული პარკი წყლის სახეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც მოიცავს მრავალრიცხოვან წყალმცურავ ფრინველს, თევზის რამდენიმე სახეობასა და რეპტილიებს. პარკის ჭარბტენიანი ტერიტორიები და პალიასტომის ტბა ამ ცხოველებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია. კოლხეთის ეროვნული პარკი მდიდარია თევზების მრავალფეროვნებით – აქ აღრიცხულია 88 სახეობა, მათ შორის შავი ზღვის, მტკნარი წყლისა და მათ შორის მიგრირებადი სახეობები. პარკში გავრცელებულ თევზებს შორის არის: წერი, შავი ზღვის ქაშაყი, შამაია, ვიმბა, კობრი, ლოქო, მრბოლელი ღორჯო, მრგვალი ღორჯო, შავი ღორჯო. პალიასტომის ტბა განსაკუთრებით ცნობილია თევზების პოპულაციით, თუმცა ზოგიერთი სახეობა, მათ შორის ზუთხი და ქაშაყის გარკვეული სახეობები, დღეს გაცილებით ნაკლებად გვხვდება, ვიდრე წარსულში. პარკის ფარგლებში თევზაობა ნებადართულია შესაბამისი ნებართვის საფუძველზე პარკის ადმინისტრაციისგან, მათ შორის სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისთვის.

სურათი 18: წყლის ბინადარნი საპროექტო არეალში

	
<p>კუები</p>	<p>მიდია</p>
	
<p>თევზის სახეობები სატუმბი სადგურის კამერაში</p>	<p>თევზის ჭერა სატუმბი სადგურის კამერიდან</p>

## 7. შავლელეს სისტემების მოსალოდნელი პოტენციური ზემოქმედება

### 7.1 პოტენციური დადებითი ზემოქმედება:

შავლელეს მთავარი სადრენაჟე სისტემა ათწლეულებია ლანდშაფტის ნაწილია. ადგილობრივი ეკოსისტემები, მათ შორის მიმდებარე ჭარბტენიანი ტერიტორიები და პალისტომის ტბა, უკვე შეეგუვნენ მის არსებობას. რეაბილიტაცია დაუბრუნებს სისტემას მის თავდაპირველ, უფრო ფუნქციურ მდგომარეობას, რაც შეამცირებს წყლის სტაგნაციას და გააუმჯობესებს ეკოლოგიურ ხარჯს.

წყალჭარბ არეალში შავლელეს სისტემის რეაბილიტაცია მნიშვნელოვან დადებით შედეგებს გამოიღებს. მათ შორისაა ნიადაგის აერაციის გაუმჯობესება, დაჭობების ხარისხისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გაზრდა და სოფლის ინფრასტრუქტურის დაცვა. ძირითადი მოსალოდნელი სარგებელია:

- ნიადაგის აერაციის გაუმჯობესება:

დრენაჟი აშორებს ზედმეტ წყალს, რაც საშუალებას აძლევს ჰაერს შეავსოს ნიადაგის ფორები. ეს გადამწყვეტია ფესვების ზრდისთვის, საკვები ნივთიერებების ათვისებისა და სასარგებლო მიკრობული აქტივობისთვის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სისტემის არეალში კულტურებისა და ხეების ჯანსაღი ზრდისთვის.

- დაავადებების რისკის შემცირება:

დაჭობებული ადგილები შეიძლება გახდეს დაავადების გადამტანებისა და პათოგენების გამრავლების კერა, რაც ზრდის ისეთი დაავადებების რისკს, როგორცაა მალარია, მუცლის ტიფი და სხვა წყლით გადამდები დაავადებები. სათანადო დრენაჟი აშორებს დაგუბებული წყლის წყაროებს, რითაც ამცირებს დაავადებების გავრცელების რისკებს.

- სტაბილური ჰიდროლოგიური ბალანსი

სისტემა ამცირებს წყალდიდობის რისკს წყალგამტარუნარიანობის აღდგენითა და დაჭობების პრევენციით. მაგისტრალურ არხში რეგულარული დინება უზრუნველყოფს სტაბილურ ჰიდროლოგიურ ბალანსს და იცავს როგორც ნათესებს, ისე ინფრასტრუქტურას.

- ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტებში:

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივმა ჭარბტენიანმა ტერიტორიებმა შესაძლოა გარკვეული ზემოქმედება განიცადოს, პროექტს ასევე შეუძლია გააუმჯობესოს ბიომრავალფეროვნება სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტებში დაგუბებული წყლის (რომელიც ხელს უწყობს მავნებლებისა და დაავადებების გავრცელებას) შემცირებით და ამავე დროს სადრენაჟე არხებში ეკოლოგიური ნაკადის შენარჩუნებით.

- გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობა:

ნიადაგის აერაციისა და საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებამ, დაჭობებით გამოწვეული სტრესის შემცირებასთან ერთად, შესაძლოა გამოიწვიოს პროდუქტიულობისა და სასურსათო უსაფრთხოების გაზრდა შავლელეს სისტემის არეალში.

- ინფრასტრუქტურის დაცვა

ეფექტური დრენაჟი იცავს სოფლის ინფრასტრუქტურის, მათ შორის გზებსა და ფერმის შენობებს სტრუქტურულ დაზიანებისგან. სხვა შემთხვევაში მათი მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს დაჭობების გამო.

- მიწის დროული მომზადება:

რეაბილიტირებული სადრენაჟე სისტემები უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უფრო ადრეულ წვდომას მიწის ფართობებზე, რაც შესაძლებელს ხდის დროულ თესვასა და მოყვანას ვეგეტაციის პერიოდში, განსაკუთრებით აპრილიდან სექტემბრამდე.

- მოსავლიანობის დაკარგვის რისკის შემცირება:

დაჭაობებისა და ნიადაგის დამლაშების ეფექტების შემცირებით, სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია ხელს უწყობს მოსავლის დანაკარგების თავიდან აცილებას და ამასთან დაკავშირებული ფინანსური ზარალის შემცირებას ფერმერებისთვის.

- ვეგეტაციის პერიოდის გახანგრძლივება:

ნიადაგის ჭარბი ტენიანობის შემცირებისა და სავარგულებზე წვდომის გაუმჯობესების შედეგად, ფერმერებს შეიძლება მიეცეთ შესაძლებლობა წელიწადში ერთზე მეტი კულტურა დათესონ და მოიყვანონ, რაც ზრდის მიწის საერთო პროდუქტიულობას.

- წყლის ხარისხის გაუმჯობესება:

განახლებული სადრენაჟე სისტემა ხელს უწყობს როგორც ჩამონადენი წყლის რაოდენობის, ისე ხარისხის გაუმჯობესებას, მიმდებარე ეკოსისტემებში ჭარბი საკვები ნივთიერებებისა და დამაბინძურებლების ჩაშვების შემცირების გზით.

- კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობა და ადაპტაცია:

გაუმჯობესებული სადრენაჟე სისტემები ამცირებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ზემოქმედებებს, მათ შორის ექსტრემალური ნალექების მიმართ მოწყვლადობას, რომელთა სიხშირე მზარდია. ეს ზრდის ტერიტორიის მდგრადობას წყალდიდობებისა და მიწის დაჭაობების მიმართ.

- დასაქმებისა და საარსებო წყაროების შესაძლებლობები:

სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, ისევე როგორც მოსალოდნელი სასოფლო-სამეურნეო აქტივობის ზრდა, ქმნის როგორც დროებით, ისე გრძელვადიან დასაქმების შესაძლებლობებს ადგილობრივი თემებისთვის, პროექტის განხორციელების პროცესში და მისი დასრულების შემდეგ.

## 7.2 პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები და შემარბილებელი ღონისძიებები:

მიუხედავად მოსალოდნელი დადებითი ეფექტებისა, სადრენაჟე სისტემა სათანადო მართვის არარსებობის შემთხვევაში შეიძლება დაკავშირებული იყოს გარემოზე შესაძლო უარყოფით ზემოქმედებებთან. აღნიშნული ზემოქმედებები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, შემდეგით:

- ნიადაგის ეროზია:

სადრენაჟე არხებში წყლის დინების ინტენსივობის ზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს ეროზიული პროცესები, რაც უარყოფითად აისახება ნიადაგის სტაბილურობასა და ნაყოფიერებაზე.

- დამლაშების რისკები:

მიწისქვეშა წყლის დონის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს მარილების კონცენტრაციის ზრდა ნიადაგის ზედა ფენებში, განსაკუთრებით მშრალ ზონებში ან იმ ტერიტორიებზე, სადაც სადრენაჟე პროცესების კონტროლი არასაკმარისია.

- ეკოსისტემების დარღვევა:

ჭარბტენიანი ტერიტორიები და ბუნებრივი ჰაბიტატები შესაძლოა დაზიანდეს მარილიანობისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებების შედეგად, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის ფლორისა და ფაუნის მდგომარეობას.

- წყლის დაბინძურება:

აზოტითა და ფოსფორით მდიდარი სასუქების გადაჭარბებულმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მიწები წყლის ობიექტის — პალიასტომის ტბა — წყლის ხარისხის გაუარესება, რაც ევტროფიკაციასა და წყლის ბიორესურსების დაზიანებას იწვევს. დამატებით, პესტიციდების ჩამონადენმა ტბაში შეიძლება გამოიწვიოს რიგი უარყოფითი ზემოქმედებები, მათ შორის წყლის დაბინძურება ტოქსიკური ნივთიერებების არსებობის გამო; წყლის ეკოსისტემების დარღვევა წყალმცენარეებზე, მწერებზე, თევზებსა და მსხვილ მუშუქმწოვრებზე ზემოქმედებით; ბიომრავალფეროვნების შემცირება არასამიზნე სახეობების, მათ შორის სასარგებლო მწერების, განადგურების შედეგად; წყალმცენარეების ჭარბი ზრდა, რასაც მათი ღპობის პროცესში წყალში ჟანგბადის დონის შემცირება მოჰყვება; აგრეთვე პოტენციური რისკები ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სადრენაჟე სისტემებმა გარკვეულ სიტუაციებში შესაძლოა ხელი შეუწყოს ნიადაგის დამლაშებასა და ეროზიას, აღნიშნული რისკები კარგად არის შესწავლილი და იმართება შესაბამისი ღონისძიებების საშუალებით, როგორცაა სადრენაჟე ნაკადების კონტროლირებადი მართვა, წყალგამშვები ნაგებობების სათანადო დაპროექტება ქვედა ბიეფში ნატანის დაგროვების თავიდან ასაცილებლად, ასევე რეგულარული მონიტორინგი და ადაპტირებადი მართვა.

ქვეპროექტი არ ითვალისწინებს ბუნებრივი ჰაბიტატების ან დაცული ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო მიწებად გარდაქმნას. შესაბამისად, ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პირიქით, წყლის ხარისხისა და მართვის გაუმჯობესებამ შესაძლოა დადებითად იმოქმედოს წყლის ეკოსისტემებზე ევტროფიკაციის შემცირების გზით, განსაკუთრებით ქვედა ბიეფში მდებარე წყლის ობიექტებში, მათ შორის პალიასტომის ტბაში.

ნებისმიერი შესაძლო უარყოფითი გარემოსდაცვითი ზემოქმედება (მაგალითად, ხმაური, მტვერი, მცირე მოცულობის ჩამონადენი) არის დროებითი და შემოიფარგლება მხოლოდ სამშენებლო ეტაპით, რომელიც, როგორც წესი, მოკლე ხანგრძლივობისაა. აღნიშნული ზემოქმედებები ეფექტიანად მართვადია გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში (ESMP) განსაზღვრული სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარების გზით.

### 7.3 შემარბილებელი ღონისძიებების მიდგომა

შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის ფარგლებში შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება დაეფუძნება ინტეგრირებულ, გარემოსდაცვითად გამართულ და მონაწილეობაზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც შეესაბამება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოს (Environmental and Social Framework – ESF). კერძოდ:

**ESS2 – შრომითი ურთიერთობები და სამუშაო პირობები:** ყურადღება დაეთმობა როგორც უშუალოდ დასაქმებული, ისე კონტრაქტით დასაქმებული მუშაკების შრომით ურთიერთობებსა და სამუშაო პირობებს. პროცესი დარეგულირდება პროექტის ფარგლებში შემუშავებული შრომის მართვის პროცედურის (Labor Management Procedure – LMP) შესაბამისად. აღნიშნული პროცედურა განსაზღვრავს პროექტის მიდგომას ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად და ამავე დროს შეესაბამება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს (Environmental and Social Management Framework – ESMF) მიზნებს. კერძოდ, ის შეესაბამება გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 2-ის (ESS2) — „შრომითი ურთიერთობები და სამუშაო პირობები“ და გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 4-ის (ESS4) — „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მოთხოვნებს.

**ESS3 – რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა:** რესურსების ეფექტიანობისა და დაბინძურების პრევენციისა და მართვის პრინციპები განსაზღვრავს

ლონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების მინიმუმაციისკენ. მათ შორის გათვალისწინებული იქნება ეროზიის კონტროლის ღონისძიებები, მყარი და თხევადი ნარჩენების სათანადო მართვა, აგრეთვე ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების პრევენცია.

სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის პროექტი სრულად ითვალისწინებს ESS3-ის პრინციპებს რესურსების ეფექტიანი გამოყენების, კონსერვაციისა და დაბინძურების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით მისი განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში. დაბინძურებისა და გარემოს დეგრადაციის თავიდან აცილების პარალელურად, პროექტი ორიენტირებული იქნება წყლის მოხმარების, ენერჯის გამოყენებისა და ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმაციაზე.

ESS3-ის პრინციპების ინტეგრირების შედეგად, პროექტი გააუმჯობესებს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, შეამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და ხელს შეუწყობს სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის მდგრად განხორციელებას. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს გრძელვადიან სარგებელს წყლის დაზოგვის, ენერჯის ეკონომიისა და დაბინძურების პრევენციის მიმართულებით, ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვით.

**ESS4 – საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:** პროექტის სამშენებლო საქმიანობებით ადგილობრივ თემებზე შესაძლო რისკები ან უარყოფითი ზემოქმედებები თავიდან იქნება აცილებული ან მკაცრად კონტროლირებული. აღნიშნული სტანდარტის ძირითადი მიზანია ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმაცია და იმ დადებითი შედეგების მაქსიმუმაცია, რომლებიც პროექტის საქმიანობებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის შესაბამის პოლიტიკებთან ერთად, პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში დაცული იქნება ასევე მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები (Environmental, Health, and Safety – EHS General Guidelines).

**ESS6 – ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა:** პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს (ESMF) შესაბამისად, მცირე მასშტაბის სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების განხორციელებისას დაცული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 6-ის (ESS6) — „ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა“ — მოთხოვნები. აღნიშნული სტანდარტის შესრულება, მათ შორის, მოიცავს ორი ძირითადი ინსტრუმენტის მომზადებას:

1. გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის კითხვარი

აღნიშნული კითხვარი განკუთვნილია ქვეპროექტთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო რისკებისა და ზემოქმედებების იდენტიფიცირებისთვის. სკრინინგი უნდა აფასებდეს კრიტიკულ ჰაბიტატებზე, დაცულ ტერიტორიებზე, გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებზე ან ეკოლოგიურად სენსიტიურ ელემენტებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებების ალბათობას პროექტის არეალის სიახლოვეს — მათ შორის ეკოსისტემების დარღვევას, წყლის ობიექტების დეგრადაციას ან ველური ბუნების კორიდორების ფრაგმენტაციას.

2. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP)

თუ მოხდება რისკების (მაგ. ჰაბიტატების დაკარგვა, ეკოსისტემების დეგრადაცია ან ბუნებრივი რესურსების ზედმეტი ექსპლუატაცია) იდენტიფიცირება, უნდა შემუშავდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP), რომელიც განსაზღვრავს

შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს:

კრიტიკულ ჰაბიტატებსა და ეკოლოგიურად სენსიტიურ ტერიტორიებში ან მათ სიახლოვეს ჩარევების თავიდან აცილებას;

- ეროზიის კონტროლის ღონისძიებების განხორციელებას, ტყის გაშენებისა (აფორესტაცია) და ტყის აღდგენის (რეფორესტაცია) პროგრამების დანერგვას ეკოსისტემების აღდგენის მხარდასაჭერად;
- ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ ადგილობრივ თემებთან ჩართულობასა და კონსულტაციების ჩატარებას მათი საარსებო წყაროების დაცვის მიზნით;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური ზემოქმედებების დაკვირვებასა და შეფასებას სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას და მათი დასრულების შემდეგ.

**ESS10 – დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროება:**

ადგილობრივ მოსახლეობასთან, მიკრო, მცირე და საშუალო აგრობიზნესებთან და ფერმერულ მეურნეობებთან, აგრეთვე ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან დროული და უწყვეტი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია პროექტის პერსონალსა და ადგილობრივ თემებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მინიმიზაციასა და შერბილებას, ასევე პროექტის სარგებლის გავრცელებას ყველა სამიზნე ბენეფიციარზე, მათ შორის იმ პირებსა და ჯგუფებზე, რომლებიც ტრადიციულად შეიძლება იყვნენ მოწყვლადნი, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფნი ან პროექტის საქმიანობების შედეგად არაპროპორციულად დაზარალებულნი.

შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია არის ჩარჩო, რომელიც გამოიყენება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მიმდებ ობიექტებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებებისა და რისკების თავიდან ასაცილებლად, შესამცირებლად ან შესარბილებლად, ხოლო შესაძლო შემთხვევებში — აღსადგენად ან რეაბილიტაციის გზით საკომპენსაციოდ. აღნიშნული იერარქიის დაცვა უზრუნველყოფილი იქნება შავდელეს მასივის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგის თავიდან აცილების ან წმინდა სარგებლის მიღწევის მიზნით.

- თავიდან აცილება - იერარქიის პირველი და უმთავრესი საფეხური, რომელიც მოიცავს ღონისძიებებს, მიმართულს კრიტიკულ ჰაბიტატებზე პროექტთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად სამუშაოების დაწყების საწყისი ეტაპიდანვე და მათი განხორციელების პროცესში, წარმოქმნილი პრობლემებისა და რისკების გათვალისწინებით.
- მინიმიზაცია – ან შემარბილებელი ღონისძიებები მიმართულია იმ პროექტთან დაკავშირებული პირდაპირი, არაპირდაპირი და კუმულაციური ზემოქმედებების ხანგრძლივობის, ინტენსივობის და/ან მასშტაბის შემცირებისკენ, რომელთა სრულად თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია. მტკიცე და პრაქტიკულად განხორციელებადი მინიმიზაციის ღონისძიებები ეფექტიანია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებების მნიშვნელოვნების ზღვარზე ქვემოთ დასაყვანად.
- რეაბილიტაცია / აღდგენა – პროექტის საქმიანობებით გამოწვეული იმ ბიომრავალფეროვნების აღდგენა ან რეაბილიტაცია, რომლის ზემოქმედების სრულად თავიდან აცილება და/ან მინიმიზაცია შეუძლებელია. რეაბილიტაციის ღონისძიებები დაგეგმილია პროექტის ფარგლებში.
- კომპენსაცია – ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის ღონისძიებები გულისხმობს იმ ნარჩენი, მნიშვნელოვანი და უარყოფითი ზემოქმედებების ანაზღაურებას, რომელთა

თავიდან აცილება, მინიმიზაცია და/ან რეაბილიტაცია ან აღდგენა ვერ ხერხდება, ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ან წმინდა სარგებლის მისაღწევად. ასეთი კომპენსაციები წარმოადგენს გაზომვად დადებით კონსერვაციულ შედეგებს ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება პროექტის საქმიანობებს და რომელთა მოცულობა აღემატება პროექტის შედეგად წარმოქმნილ ნარჩენ უარყოფით ზემოქმედებებს. კომპენსაციის ღონისძიებები მოითხოვს ინვესტიციებს კონსერვაციისა და დაცვის მართვაში, რომელთა შედეგები რაოდენობრივად შეიძლება შეფასდეს.

#### 7.4. შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება

შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორი, რომლის საქმიანობას ზედამხედველობას გაუწევს სამშენებლო ზედამხედველობის საკონსულტაციო კომპანია (Construction Supervision Company – CSC). კონტრაქტორის გარემოსდაცვით სპეციალისტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და დამტკიცებული გამოცდილება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში რთული გარემოსდაცვითი საკითხების მართვის მიმართულებით. პროექტის სხვადასხვა ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება წარმოდგენილია ქვემოთ:

მშენებლობამდე და მშენებლობის ეტაპი

- ტერიტორიის გაწმენდა და მცენარეული საფარის მართვა
  - მშენებლობის დაწყებამდე შესაბამისი ნებართვების მიღება და გარემოსდაცვითი წინასწარი კვლევების ჩატარება;
  - ყველა საქმიანობის განხორციელება მხოლოდ განსაზღვრული და დამტკიცებული საპროექტო საზღვრების ფარგლებში;
  - ეკოლოგიურად სენსიტიური ტერიტორიების შემოღობვა და სამუშაო ზონების მკაფიო მონიშვნა;
  - ხეების არასაჭირო ჭრის თავიდან აცილება და მცენარეული საფარის მოცილება/დამუშავება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის პირობებში;
  - ეროზიის კონტროლის ღონისძიებების განხორციელება და ღია ზედაპირებიდან ნიადაგის დაკარგვის პრევენცია;
  - მუშაკთა გადამზადება მცენარეული საფარის მართვისა და ხეების მოცილების სწორი პროცედურების შესასწავლად.
- ნიადაგის და ამოღებული გრუნტის მართვა
  - ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობება პროექტის გასხვისების ზოლის ფარგლებში, შემდგომი გამოყენების მიზნით შევსებით სამუშაოებში და არხის გასწვრივ არსებული ბერმების ამაღლებისთვის;
  - სამშენებლო სამუშაოების თავიდან აცილება ნალექებით მდიდარ სეზონებში ეროზიული პროცესების მინიმიზაციის მიზნით;
  - სამუშაოების მიმდინარეობისას ნიადაგის შესაძლო დაბინძურების მონიტორინგი;
  - ამოღებული გრუნტის ტრანსპორტირებისას გარემოს დეგრადაციის პრევენცია მისასვლელი გზების სისუფთავის შენარჩუნებისა და ჩამონადენების წარმოქმნის თავიდან აცილების გზით.
- ხანძრისა და უსაფრთხოების რისკების მართვა
  - სამშენებლო მოედნებზე ნარჩენებისა და მცენარეული ნარჩენების დაწვის მკაცრი

აკრძალვა;

- მუშაკებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება;
  - მოწვევის აკრძალვა ტყიან და ეკოლოგიურად სენსიტიურ ზონებში.
- ბიომრავალფეროვნებისა და ველური ბუნების დაცვა
- მისასვლელ გზებზე სიჩქარისა და ხმაურის დასაშვები ზღვრის მკაცრი დაცვა;
  - გათხრილი ზონების შემოღობვა და ბრაკონიერობის ნებისმიერი ფორმის აკრძალვა;
  - სამუშაოების დაგეგმვა ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ველური ბუნების გამრავლებისა და ბუდობის პერიოდები;
  - მშენებლობამდე ფრინველების კვლევის ჩატარება და ბუდიანი ხეების დაცვის უზრუნველყოფა;
  - ხმაურისა და სინათლის ზემოქმედების მინიმიზაცია დაბალი ვიზრაციის მქონე ტექნიკის გამოყენებით და მიმართულებითი განათების დანერგვით.
- წყლის ეკოსისტემების დაცვა
- ნატანის წყლის ობიექტებში ჩაშვების თავიდან აცილება;
  - სამუშაოების მიმდინარეობისას წყლის ხარისხის რეგულარული მონიტორინგი;
  - ეკოლოგიური ხარჯების შენარჩუნება და თევზის ქვირითობის პერიოდებში სამშენებლო სამუშაოების თავიდან აცილება;
  - ნავთობპროდუქტების დაღვრის პრევენციისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მზადყოფნის უზრუნველყოფა.
- ჰაერის ხარისხისა და მტვრის კონტროლი
- მისასვლელი გზების რეგულარული მორწყვა და ტექნიკის გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა;
  - მტვრის წარმოქმნისადმი მიდრეკილი მასალებისთვის დახურული სისტემების გამოყენება.
- დაბინძურების პრევენცია და ნარჩენების მართვა
- სახიფათო ნივთიერებების უსაფრთხო შენახვის უზრუნველყოფა;
  - სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების დამუშავება მათ გარემოში ჩაშვებამდე;
  - მუშაკთა გადამზადება ნარჩენების მართვის, დაღვრის შემთხვევებზე რეაგირებისა და ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო შენახვის საკითხებში.

თითოეული დადებითი და უარყოფითი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედების მართვისა და შემარბილებელი ღონისძიებების უფრო დეტალური აღწერა წარმოდგენილია წინამდებარე ESMP-ის გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი და მონიტორინგის გეგმაში.

#### გამოყენებული წყაროები:

1. New Challenges Towards the Ecological Management of Paliastomi Lake Will Significantly Improve the Local Environment with Far-Going Global Consequences; [https://www.researchgate.net/publication/354975232\\_New\\_Challenges\\_Towards\\_the\\_Ecological\\_Management\\_of\\_Paliastomi\\_Lake\\_Will\\_Significantly\\_Improve\\_the\\_Local\\_Environment\\_With\\_Far-Going\\_Global\\_Consequences](https://www.researchgate.net/publication/354975232_New_Challenges_Towards_the_Ecological_Management_of_Paliastomi_Lake_Will_Significantly_Improve_the_Local_Environment_With_Far-Going_Global_Consequences)

2. [https://en.wikipedia.org/wiki/Kolkheti\\_National\\_Park](https://en.wikipedia.org/wiki/Kolkheti_National_Park)
3. "Wetlands of Central Kolkheti". Ramsar Sites Information Service. Archived from the original on 2 April 2019. Retrieved 1 April 2019.
4. National Parks of Georgia: <https://nationalparks.ge/en/site/kolxetinp>
5. Eco tours Georgia: <https://ecotours.ge/en/hotspot/kolkheti-national-park-/9>
6. UNESCO World Heritage Convention: <https://whc.unesco.org/en/documents/172470>
7. Living Lakes: <https://livinglakes.org/lake-paliastomi/>

დანართი E: კითხვარი საირიგაციო და სადრენაჟე სისტემებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების შესახებ

Questionnaire: Information on Irrigation Systems and Agriculture practices კითხვარი: ინფორმაცია სარწყავ სისტემებზე და სასოფლო-სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებით								
1	ზოგადი ინფორმაცია General Information	Part of the main canal. Secondary lines G1, G3-2, G4, G5, G5-1, G5', G4', G21						Remarks კომენტარი
2	Name of Irrigation Scheme საირიგაციო სქემის დასახელება	TIRIFONI/ტირიფონი						
3	District Total Command Area, Ha რეგიონის საერთო ჩამოკიდული ფართობი, ჰა	4837ჰა/ha						
4	Type of Crop(s) Cultivated: კულტურების ტიპები/სახეობები:	Present Crop Area (ha) არსებული კულტურების ფართობი (ha)	Present Average yeild (ton/ha) მიმდინარე საშუალო მოსავალი (ტონა/ჰა)	Future crop area (%) მომავალი კულტურების ფართობი (%)	Expected Average yeild (ton/ha) საგარეო საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰა)	Plantation date (approximate) დათესვის თარიღი (დაახლოებით)	Harvesting date (approximate) მოსავლის აღების თარიღი (დაახლოებით)	
	Maize (Corn)/სიმინდი	500	6			april/აპრილი	september/სექტემბერი	
	Vegetables/ბოსტნეული	500	10			april/აპრილი	september/სექტემბერი	
	Fruit tree/ხეხილი	4000				Perennial tree/მრავალწლოვანი ხარცეები		
5	Water-provided (irrigated) area წყალუზრუნველყოფილი ფართობი; მორწყული ფართობი / Irrigated area 2024; მორწყული ფართობი / Irrigated area 2023; მორწყული ფართობი / Irrigated area 2022;							
6	Do you have water fee (irrigation) collection practices? If so provide detail information? გაქვთ თუ არა წყლის გადასახადის (ირიგაციის შემთხვევაში) შეგროვების პრაქტიკა? თუ ასეა, მოგვაროლეთ დეტალური ინფორმაცია?	contract/ხელშეკრულება						
7	(Contractual) Water-provided area საკონტრაქტო წყალუზრუნველყოფილი ფართობი; მორწყული ფართობი / Irrigated area 2024; მორწყული ფართობი / Irrigated area 2023; მორწყული ფართობი / Irrigated area 2022;							
		671						
		849						
		756						
8	Types of irrigation canal network/ გამანაწილებელი ქსელის ტიპები:							
	Earth canals/გრუნტის არხები							X
	Open canals (concrete lined)/ღია არხი (ბეტონით მოპირკეთებული)							X
	Open canals (Parabolic flumes)/ღია არხი (პარაბოლური ღარები)							
	Pipelines/მილსადენები							

17	Have you encountered any problems with your irrigation system? If yes, please describe. გამოვლინდა თუ არა რაიმე პრობლემა არსებულ საირიგაციო სისტემასთან? თუ კი, აღწერეთ.	Damaged system/დაზიანებული სისტემა	
18	Have you implemented any soil conservation practices? If yes, please describe თუ გამოიყენებიათ ნიადაგის კონსერვაციის მეთოდები? თუ კი, აღწერეთ რომელი.	NO/არა	
19	Do you use any water-saving techniques in your Irrigation practices? If yes, please describe. თუ იყენებთ წყლის დაზოგვის მეთოდებს თქვენს საირიგაციო პრაქტიკაში? თუ კი, აღწერეთ.	Water is supplied to the farmer on a schedul/ფერმერს წყალი მიეწოდება გრაფიკით	
20	Do you monitor the water balance in your fields? If yes, how? ახორციელებთ თუ არა წყლის ბალანსის მონიტორინგს სარწყავ ტერიტორიებზე? თუ კი, როგორ? იყენებთ თუ არა სისტემებზე წყალზომებს?	მთავარ არხზე ხორციელდება მონიტორინგი ლარტყის მეშვეობით/ The monitoring is held with tape measure at main canal	
21	Are there any other challenges you face with your Irrigation network that were not covered in this questionnaire? გამოვლენილა თუ არა ისეთი პრობლემა თქვენს საირიგაციო სისტემაში, რაც ნახსენები არ არის წინამდებარე კითხვარში? თუ კი, აღწერეთ.	არხს გააჩნია ფილტრაცია / canal has filtration	
22	Do you have any suggestions for improving Irrigation network operation& management practices? გაქვთ თუ არა რჩევა, თუ როგორ შეიძლება საირიგაციო სისტემის გაუმჯობესება?	It is necessary to line the canals/აუცილებელია არხების მოპირკეთება	

**დანართი F: საჯარო კონსულტაციები**

**საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტი**

**საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან**

**შეხვედრის ოქმი**

შეხვედრის ადგილი და ფორმატი:	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შავლელე
თარიღი:	30.01.2026
დამსწრეთა რაოდენობა:	26
მოწყვლადი ჯგუფის წევრების ტიპი და რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში)	არა

შეხვედრა, შავლელეს სარწყავი არხის, ბენეფიციარებთან/ადგილობრივ ფერმერებთან, ინიცირებული იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. სამინისტროს მხრიდან შეხვედრას ესწებოდნენ ინჟინერ, სოციალური, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტები. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საპროექტო კონტრაქტორი „Yooshin“ და ქვე-კონტრაქტორი - „ჯეო-ქონსალთინგი“ კომპანიის, გარემოს დაცვისა და სოციალური მიმართულების სპეციალისტები.

**შეხვედრის მიზანი:**

შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი ბენეფიციარების ინფორმირება შავლელეს სარწყავი არხის რეაბილიტაციის დაგეგმილი სამუშაოების შესახებ, პროექტის ტექნიკური შინაარსის გაცნობა და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვა, კერძოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის მნიშვნელობის, მისი განხორციელებისა და საჭიროების შესახებ ინფორმაციის გაზიარება

**განხილული საკითხები:**

პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ინჟინერმა **ბნ. ლევან ცხოვრებაშვილმა** - გააცნო ადგილობრივ ფერმერებს პროექტის მიზნები, დეტალური შინაარსი და ტექნიკური მახასიათებლები. შეხვედრის ფარგლებში წარმოდგენილი იყო პროექტის რუკა, რომელზეც დეტალურად იყო ასახული სარწყავი არხის გასწვრივი მარშრუტი და რეაბილიტაციისთვის დაგეგმილი მონაკვეთები. ასევე განმარტა, ჩასატარებელი ტექნიკური სამუშაოები, მათ შორის რეაბილიტაციის ღონისძიებები და ახალი სატუმბი სისტემის მოწყობა. მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია პროექტის განხორციელების სავარაუდო გრაფიკის შესახებ და აღნიშნა, რომ კონტრაქტორის მობილიზაცია დაგეგმილია მარტის ბოლოსთვის, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დაწყება - გაზაფხულის ბოლოს. ასევე ხაზი გაუსვა გარემოს დაცვის მნიშვნელობას პროექტის განხორციელების პროცესში და აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი საკითხები სრულად არის ინტეგრირებული პროექტის დიზაინში.

საკონსულტაციო კომპანია **ჯეპრას წარმომადგენელმა, ბატონმა სოსო გალუმაშვილმა** - მოსახლეობას გააცნო საგრანტო პროგრამა, მისი მიზნები და სამომავლო სარგებელი. გრანტების გაცემა განხორციელდება ფერმერების საჭიროებებიდან გამომდინარე. გრანტების გაცემის პროცესში ჩართული იქნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ბენეფიციარებს გაუწევს კონსულტაციას გრანტის თანხის მიზნობრივი გამოყენების შესახებ. ქალთა ჩართულობის წახალისების მიზნით გათვალისწინებულია დამატებითი ბენეფიტები.

პროექტის განმახორციელებელი ერთეულის **სოციალური საკითხების სპეციალისტმა, სოფო ბერიშვილმა** ისაუბრა პროექტის ფარგლებში სოციალურ საკითხებზე და აღნიშნა, რომ პროექტი არ ითვალისწინებს განსახლების ღონისძიებებს. ხაზი გაესვა მოსახლეობის მაქსიმალური

ჩართულობის მნიშვნელობას პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. აღინიშნა, რომ მოსახლეობასთან რეგულარული შეხვედრების და საჩივრებისა და უკუკავშირის მექანიზმის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის დროული მიწოდება და დასმულ შეკითხვებზე შესაბამისი პასუხების გაცემა.

**კომპანია Yooshin-ის სოციალური საკითხების სპეციალისტმა, ნინო პაატაშვილმა** - შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საჩივრების მიღებისა და მართვის მექანიზმი (GRM), მათ შორის საჩივრის წარდგენის პროცედურები და უკუკავშირის მიღების არსებული გზები. მოსახლეობის მხრიდან მუდმივი უკუკავშირის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია საჩივრების ყუთების განთავსება ხელმისაწვდომ ადგილებში. ასევე საჩივრის ფორმებისა და საინფორმაციო ბროშურების გავრცელება, რომლებშიც მითითებული იქნება საკონტაქტო პირების ინფორმაცია. კონტრაქტორის შერჩევის შემთხვევაში, მის მიერ გამოიყოფა შესაბამისი საკონტაქტო პირი, რომელიც მოსახლეობასთან მუდმივ კომუნიკაციას უზრუნველყოფს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გარემოს დაცვის სპეციალისტმა, რუსუდან ლოლიჯაშვილმა** - ისაუბრა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით რისკებსა და შესაძლო ზემოქმედებებზე, ასევე შესაბამის შემარბილებელ და პრევენციულ ღონისძიებებზე. მან გააცნო გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) შინაარსი, რომელიც პროექტის მოსამზადებელ და სამშენებლო ეტაპებზე განხორციელდება. აღინიშნა, რომ მსოფლიო ბანკი დიდ ყურადღებას ამახვილებს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მოსახლეობის ჩართულობაზე გარემოსდაცვით საკითხებში. ასევე აღინიშნა, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) წარმოადგენს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც მას ავალდებულებს ეროვნული კანონმდებლობითა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით მოთხოვნილი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის შემარბილებელი ღონისძიებების გატარებასა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფას.

**კითხვები:**

#	კითხვა	პასუხი
1	წინა შეხვედრის ფარგლებში მოსახლეობის მხრიდან გამოითქვა თხოვნა, რომ პროექტის განხორციელებისას უზრუნველყოფილიყო ორნატების (ნარგავებს შორის არსებული კვალი) გაწმენდა. მოსახლეობას აინტერესებს, გათვალისწინებულ იქნა თუ არა აღნიშნული თხოვნა?	აღნიშნული თხოვნა გათვალისწინებულ იქნა და პროექტის ფარგლებში ორნატების გაწმენდა სრულად განხორციელდება.
2	გათვალისწინებულია თუ არა პროექტის ფარგლებში გადასასვლელებისა და ბოგირების მოწყობა?	პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია დაზიანებული ხიდებისა და მილხიდების აღდგენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათი ჩანაცვლება.
3	ემატება თუ არა ახალი არხი პროექტის ფარგლებში?	პროექტის ფარგლებში ახალი არხის გაყვანა არ არის გათვალისწინებული; განხორციელდება მხოლოდ არსებული არხების რეაბილიტაცია.


4	არსებობს თუ არა კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, სად უნდა განხორციელდეს მიღბიდების გაწმენდა და სად — არხის გაწმენდა?	აღნიშნული საკითხები განსაზღვრულია პროექტის ფარგლებში შემუშავებულ დოკუმენტაციაში, სადაც დეტალურად არის გათვალისწინებული მიღბიდებისა და არხის გაწმენდის ადგილები და მოცულობები.
5	გათვალისწინებულია თუ არა სოფლის დასახლებულ ტერიტორიებზე არსებული არხების გაწმენდა პროექტის ფარგლებში?	არა, პროექტის მიხედვით, სოფლის დასახლებულ ტერიტორიაზე არსებული არხების გაწმენდის სამუშაოები არ არის გათვალისწინებული.
6	გათვალისწინებულია თუ არა პროექტის ფარგლებში იმ ტერიტორიებზე ხელშეკრულებების გაფორმება, სადაც დაგეგმილია სამშენებლო ტექნიკის შესვლა და სამუშაოების განხორციელება?	დიახ, იმ ტერიტორიებზე, სადაც დაგეგმილია სამშენებლო ტექნიკის შესვლა და სამუშაოების განხორციელება, ადგილობრივ მოსახლეობასთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებები იქნება ხუთწლიანი ვადით და არ ექნება ერთჯერადი ხასიათი; მათი განახლება განხორციელდება ყოველი ხუთი წლის გასვლის შემდეგ, მოქმედი წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.
7	შეძლებს თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა პროექტის ფარგლებში მოჭრილი ხეებით სარგებლობას?	ტაქსაციის განხორციელებისა და შესაბამისი მოჭრის ნებართვის გაცემის შემდეგ, ხეები გადაეცემა მუნიციპალიტეტს, რომელსაც მოქმედი რეგულაციების ფარგლებში ექნება შესაძლებლობა გადასცეს აღნიშნული ხეები მოსახლეობას სარგებლობაში.

**მიღებული უკუკავშირი:**

ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა მიწოდებული ინფორმაციით და გამოთქვეს სრული ჩართულობა და პროექტთან თანამშრომლობის სურვილი.

პროექტის წარმომადგენლებმა დატოვეს საჩივრების ბროშურა, რომელიც გაიკვრება საქართველოს მელიორაციის რეგიონალურ ოფისსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობაში.

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი:



აღმასრულებელი ერთეულის წარმომადგენელი:



კონტრაქტორი/ქვე-კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენელი:





Հանրային կրթության նախարարության հրավերով  
 Հանրային կրթության նախարարության կողմից  
 կազմակերպվող հրավերի գումարագրերի մատչելի  
 գումարներ են

N	Համար	ԸՄՄԻՄ	Կազմակերպիչ
1	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	551721878	Կ. ՕՏԵ
2	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	579-163599	Կ. ՕՏԵ
3	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	599970459	Կ. ՕՏԵ
4	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	599812990	Կ. ՕՏԵ
5	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	511521030	Կ. ՕՏԵ
6	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	599812990	Կ. ՕՏԵ
7	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	6200401917	Կ. ՕՏԵ
8	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	595335471	Կ. ՕՏԵ
9	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	577193892	Կ. ՕՏԵ
10	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	551891898	Կ. ՕՏԵ
11	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	42001008152	Կ. ՕՏԵ
12	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	595414911	Կ. ՕՏԵ
13	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	55784119	Կ. ՕՏԵ
14	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	01011130	Կ. ՕՏԵ
15	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	503422222	Կ. ՕՏԵ



16	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	57072421	Կազմակերպիչ
17	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	598184470	Կազմակերպիչ
18	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ		Կ. ՕՏԵ
19	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	599409477	Կ. ՕՏԵ
20	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	555200049	Կ. ՕՏԵ
21	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	599171877	Կ. ՕՏԵ
22	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	577080229	Կ. ՕՏԵ
23	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	599006081	Կ. ՕՏԵ
24	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	551808209	Կ. ՕՏԵ
25	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	555444506	Կ. ՕՏԵ
26	ՀՀԿ ԵՊՈՒԿԻ ԿՆԿՆԵՐ	511134181	Կ. ՕՏԵ
27			
28			
29			
30			
31			
32			
33			
34			
35			
36			

შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა  
30.01.2026



## შეხვედრის ოქმი (13 მარტი, 2025)

მონაწილე ვიზიტორები: საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლები - ტრევორ ბიუმონტი, კიმ ყონგ ბოკი, პურუშოტამ თიმისინა, თენგიზ

### შეხვედრის მიზანი

შაველეს მასივზე განხორციელდა სავლე ვიზიტი ტერიტორიის მიმდინარე მდგომარეობის შესაფასებლად და ფერმერებთან კომუნიკაციის მიზნით. ვიზიტის დროს მოხდა ერთ ფერმერთან დაკავშირება და სოფლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთან ერთად შეხვედრაზე დასწრება, ასევე რამდენიმე ფერმერთან შეხვედრა GA-ის წარმომადგენლების თანდასწრებით.

სოფელში არის 314 ოჯახი.

### დისკუსიის საგანი

შეხვედრის განმავლობაში განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

ამჟამად სავლე დრენაჟების მაქსიმუმ 10% არის კარგ მდგომარეობაში, რადგან დრენაჟის არხები დაბლოკილია და სათანადოდ არ ფუნქციონირებს, განსაკუთრებით ქვედა უბნებში;

ნალექიანი სეზონის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ხდება წყლის დაგუბება 1-2 დღის განმავლობაში, რომელიც გზის დონემდე აღწევს, განსაკუთრებით ქვედა უბნებში;

წარსულში, გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონების განმავლობაში 8 სატუმბი სადგური ყოველდღიურად მუშაობდა დრენაჟის უზრუნველსაყოფად. სატუმბი სადგურების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადს იმ პერიოდში ფარავდა საქართველოს მელიორაცია (GA);

ტუმბოებმა მუშაობა შეწყვიტეს 1995 წელს;

სისტემის რეაბილიტირების შემთხვევაში, ფერმერები მზად არიან გადაიხადონ მისი ოპერირებისთვის საჭირო ელექტროენერჯის გადასახადი;

ასევე, ფერმერები თანახმა არიან მომავალში უზრუნველყონ უკვე რეაბილიტირებული სადრენაჟე არხების წმენდა;

სავლე დრენაჟებიდან მესამეული (ტერციული) დრენაჟის არხებში ყველა სავარგულზე გამოყენებულია 300 მმ დიამეტრის მილები;

გამოცდილების გათვალისწინებით, დრენაჟის სატუმბი სისტემა უნდა მუშაობდეს მთელი აგრარული სეზონის განმავლობაში;

ტერიტორიაზე ძირითადი კულტურებია: სიმინდი, კარტოფილი, ციტრუსები, ბოსტნეული და მაცვალი;

ფერმერები სასურველ იყენებენ კომპოსტს.

**Georgia Resilient Agriculture, Irrigation and Land (GRAIL) Project**

**Attendance Sheet**

Consultant:

Yooshin Engineering Corporation in Joint Venture with Dasan  
Consultants and with Sub-Consultant Geo Consulting

Date: 13-MAR-25

... March 2025



Time: 14:30

Venue: Shugolei Village

No.	Name	Organization	Position	Contact No./Email Address	Signature
1	მად.ს. გოციაშვილი			577-34-17-26	
2	გიორგი კონსელიძე			577-14-78-76	
3	სტეპან კონსელიძე			577-20-15-36	
4	ბონიფაციუს კონსელიძე			599-85-29-70	
5	გენადი ჩინჩარაძე			577-29-35-99	
6	დასან ჯიხიაშვილი		GA.	577-380-720	
7	1. Tamaz Kiladze				
8	2. Murman Murvanidze				
9	3. Akhmed Konselidze				
10	4. Khatuna Manvelidze				
	5. Genadi Chincharadze				
	6. Irakli Shurghulia				

ობიექტზე ვიზიტის ამსახველი ფოტომასალა

ფოტოსურათი 1: პირველი საველე ვიზიტი (2024 წლის 26-27 აგვისტო)

	
<p>(a) წმინდა სარწყავი ფართობი</p>	<p>(b) სადრენაჟე ქსელი</p>
	
<p>(c) დისკუსია</p>	<p>(d) არსებული სატუმბი სადგური და წყალსაშვი</p>

	
<p>(e) მაგისტრალური სადრენაჟე არხი (S-K-2)</p>	<p>(f) მეორე რიგის სადრენაჟე არხი (S-K-2-3-2)</p>

ფოტოსურათი 2: მეორე საველე ვიზიტი (12~13 დეკემბერი 2024)

	
(a) შეხვედრა შპს-ში	(b) შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან
	
(c) რიონის მდინარის გასწვრივ არსებული ელექტროგადამცემი ხაზის ანძა	(d) მეორე რიგის სადრენაჟე არხი (S-K-2-1)


*ფოტოსურათი 3: მესამე სველე ვიზიტი (2025 წლის 22 იანვარი)*

	
(a) მაგისტრალური სადრენაჟე არხი (S-K-1 და S-K-2) და სატუმბო სადგური	(b) რიონის მდინარე, დამბები და ნაპირსამაგრი ნაგებობები
	
(c) მეორე რიგის სადრენაჟე არხი (S-K-2-12)	(d) მესამე რიგის სადრენაჟე არხი (S-K-2-12-1)

ფოტოსურათი 4: მეოთხე საველე ვიზიტი (2025 წლის 13 მარტი)

	
<p>(a) შეხვედრა შპს-თან და ფერმერებთან</p>	<p>(b) სატუმბი სადგურის მისასვლელი გზა</p>
	
<p>(c) მესამე რიგის სადრენაჟე არხი (S-K-2-8-8)</p>	<p>(d) პალიასტომის ტბა</p>

ფოტოსურათი 5: მეხუთე საველე ვიზიტი (2025 წლის 6 ივნისი)



## დანართი G: პროექტის დაგეგმვისა და მონიტორინგის განყოფილების საჩივრების განხილვის მექანიზმი

### შესავალი

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი ESS10 — „დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება“ ითვალისწინებს ადგილობრივი და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებასა და მათ ჩართულობას პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, პროექტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას, აგრეთვე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნას.

**საჩივრების განხილვის მექანიზმის (Grievance Redress Mechanism – GRM) მიზანია** ხელი შეუწყოს საჩივრებისა და პრეტენზიების დროულ, ეფექტიან და შედეგიან გადაწყვეტას ყველა ჩართული მხარისთვის მისაღები გზით. GRM უზრუნველყოფს გამჭვირვალე და სანდო პროცესს სამართლიანი, ეფექტიანი და გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად. იგი ასევე აძლიერებს ნდობასა და თანამშრომლობას, როგორც თემებთან კონსულტაციების უფრო ფართო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რაც ხელს უწყობს მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას.

საჩივრების განხილვის მექანიზმი უზრუნველყოფს შავლელეს ქვეპროექტის ფარგლებში წარმოშობილი საჩივრების ეფექტიან, დროულ და ხარჯთეფექტურ განხილვას, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA), კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორების თანამშრომლების ქმედებებთან და წარმოდგენილი იყოს დაზარალებული თემების ან სხვა გარე დაინტერესებული მხარეების მიერ.

მუშაკთა საჩივრების განხილვისთვის შემუშავებულია ცალკე საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც აღწერილია მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებულ შრომის მართვის პროცედურაში (Labor Management Procedure – LMP).

საჩივრების განხილვის მექანიზმის მართვაზე პასუხისმგებელია MEPA. თუმცა, შავლელეს ქვეპროექტის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მრავალი საჩივარი დაკავშირებული იქნება დიზაინის კონსულტანტისა და/ან ქვეკონსულტანტის საქმიანობასთან და, შესაბამისად, მათი განხილვა და გადაწყვეტა სწორედ აღნიშნული მხარეების მონაწილეობით განხორციელდება. MEPA მათთან ერთად განახორციელებს საჩივრების განხილვის მექანიზმის ადმინისტრირებას, განსაზღვრავს პასუხისმგებელ მხარეს (კონტრაქტორი ან კონსულტანტი) და გადაწყვეტს საჩივრის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. პროექტის განხორციელების კონსულტანტი მხარს დაუჭერს MEPA-ს კონტრაქტორის მიერ საჩივრების გადაწყვეტის პროცესის მონიტორინგში.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები და სხვა პოტენციური მომჩივნები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი საჩივრების განხილვის მექანიზმის არსებობის, მისი ფუნქციების, პროცედურების, ვადებისა და საკონტაქტო პირების შესახებ საჯარო კონსულტაციებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სხვა ღონისძიებების ფარგლებში. საჩივრებთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა დოკუმენტირებული იქნება და განხორციელდება საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესის სისტემატური მონიტორინგი და აღრიცხვა.

პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი მოიცავს მიწისა და სხვა აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგალითად, კომპენსაციის ოდენობა, დარჩენილი მიწის ნაკვეთების ვარგისიანობა, მისასვლელი გზების დაკარგვა და სხვა), აგრეთვე სარეაბილიტაციო სამუშაოებით გამოწვეულ ზარალსა და დანაკარგებს და ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას. შესაბამისად,

საჩივრების განხილვის მექანიზმი უნდა ამოქმედდეს იმ დროისთვის, როდესაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) დაიწყებს განსახლების სამოქმედო გეგმების (RAP) და ადგილ-სპეციფიური გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტების მომზადებას, და უნდა ფუნქციონირებდეს ყველა სამოქალაქო (სამშენებლო) სამუშაოს დასრულებამდე და შემდგომაც — დევეტებზე გამოსწორების პერიოდის დასრულებამდე.

კერძოდ, საჩივრების განხილვის მექანიზმი:

- უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების პროცესში დაზარალებული პირებისთვის საჩივრის წარდგენისა და წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ხელმისაწვდომ გზებს;
- უზრუნველყოფს შესაბამისი და მხარეთათვის მისაღები შემარბილებელი/გამოსასწორებელი ღონისძიებების იდენტიფიცირებასა და განხორციელებას მომჩივანთა კმაყოფილების უზრუნველსაყოფად;
- ხელს უწყობს საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვის პროცესის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას;
- მართავს დროის ფაქტორს და თავიდან აცილებს სასამართლო პროცესების აუცილებლობას (ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე).

საჩივრები და პრეტენზიები შემდეგნაირად იყოფა:

საჩივარი: უკმაყოფილების გამოხატვა, რომელიც დაკავშირებულია პროექტის საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებასთან და რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ინდივიდზე ან ჯგუფზე. ინდივიდის ან ჯგუფის ინტერესია, რომ პროექტის განმახორციელებელმა მხარემ, ოპერატორმა ან კონტრაქტორმა განიხილოს და მოაგვაროს აღნიშნული საკითხი (მაგალითად, მტვრის დალექვასთან, ხმაურთან ან ვიბრაციასთან დაკავშირებული პრობლემები). საჩივარი, როგორც წესი, ნაკლებად სერიოზული ხასიათისაა, ვიდრე პრეტენზია.

პრეტენზია: მოთხოვნა ან დავა, რომელიც წამოყენებულია ინდივიდის ან ჯგუფის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი საარსებო წყარო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, კულტურული ნორმები ან კულტურული მემკვიდრეობა მიიჩნევა პროექტის საქმიანობით უარყოფითად დაზარალებულად. თუ ასეთი პრეტენზია ეფექტიანად არ იქნება გადაწყვეტილი, მას შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი რისკები.

პირველი კომპონენტის ფარგლებში ტიპური პრეტენზიები შეიძლება უკავშირდებოდეს შემდეგ საკითხებს:

- მიწის შესყიდვას და ფიზიკურ განსახლებას;
- სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეულ ზიანს;
- გარემოსდაცვით ზემოქმედებებს; და
- პირდაპირ და/ან არაპირდაპირ სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, როგორც სახელმწიფო სტრუქტურაში, საჩივრების განხილვის პრაქტიკა ეფუძნება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. პროექტის ფარგლებში სამინისტრო მოახდენს საჩივრების განხილვის მექანიზმის პრაქტიკის ადაპტაციას, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ან წამოჭრას ნებისმიერი საკითხი. ყველა ტიპის საჩივარი და პრეტენზია რეგისტრირებული იქნება საჩივრების განხილვის მექანიზმის ფარგლებში. ანონიმური საჩივრებიც მიღებული, აღრიცხული და, შესაძლებლობის ფარგლებში, განხილული და შესწავლილი იქნება.

საჩივრების განხილვის მექანიზმი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ეტაპი 1: საჩივრის წარდგენა შესაძლებელია წერილობით ან/და სატელეფონო ცხელი ხაზის/მობილური კავშირის, ფოსტის, სოციალური მედიის (მაგ., Facebook და სხვა), ვებგვერდის, საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალის საშუალებით კონტრაქტორი ორგანიზაციის მეშვეობით, აგრეთვე უშუალოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. საჩივრების განხილვის მექანიზმი ასევე ითვალისწინებს ანონიმური საჩივრების წარდგენისა და განხილვის შესაძლებლობას.

ეტაპი 2: საჩივრის რეგისტრაცია, კლასიფიკაცია საჩივრების ტიპის და მომჩივანთა კატეგორიების მიხედვით, უფრო ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად, და საწყისი პასუხის მიწოდება შესაძლებლობის ფარგლებში უმოკლეს ვადაში. ტიპოლოგია დაეფუძნება როგორც მომჩივნის მახასიათებლებს (მაგ., მოწყვლადი ჯგუფები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ენობრივი ბარიერების მქონე პირები და სხვ.), ასევე საჩივრის ხასიათს.

ეტაპი 3: საჩივრის განხილვა შეიძლება განხორციელდეს სამ ეტაპად, კერძოდ:

#### *საჩივრების განხილვის კომიტეტი (ეტაპი 1)*

ეტაპი 1 მოიცავს საჩივრის არაფორმალურ (ზეპირ) განხილვას, მიუხედავად იმისა, საჩივარი წარდგენილია წერილობით თუ ზეპირად. მუნიციპალიტეტში შეიქმნება ადგილობრივი საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRC), რომლის ოფისი განთავსებული იქნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, შესაბამისი ადგილობრივი საჩივრების განხილვის კომიტეტი ჩაერთვება საჩივრის გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.

ამ ეტაპზე საჩივარი განიხილება არაფორმალურად (ზეპირი განხილვის გზით), ხოლო საჩივრების განხილვის კომიტეტის წევრები ამ საკითხზე ამზადებენ და ხელს აწერენ სხდომის ოქმს. თუ პირველ ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საჩივარი ვერ გადაწყდა, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საჩივრების განხილვის პროცედურის შესახებ. ამასთან, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს მე-2 ეტაპის პროცედურებით პირველი ეტაპის გამოყენების გარეშე. 1-ელი ეტაპის ფარგლებში საჩივრის გადაწყვეტის ვადაა 7 კალენდარული დღე. საჩივრების განხილვის კომიტეტი შეიკრიბება საჭიროებისამებრ (თუმცა არანაკლებ თვეში ერთხელ). კონფიდენციალური ხასიათის საჩივრებისთვის გათვალისწინებული იქნება სპეციალური პროცედურები. საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRC) წარმოადგენს ცხრა (9) წევრისგან შემდგარ კოლეგიურ ორგანოს, რომელიც მოიცავს შემდეგ წევრებს:

- პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდის წევრი - კომიტეტის კოორდინატორი;
- მშენებლობის ზედამხედველობის კომპანიის სოციალური დაცვის სპეციალისტი - კომიტეტის წევრი;
- რეგიონული/მუნიციპალური წარმომადგენელი („გამგეობიდან“) - კომიტეტის მდივანი;
- სოფლის რწმუნებული - კომიტეტის წევრი;
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის (PAP) წარმომადგენელი - კომიტეტის წევრი;
- ქალი - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საოჯახო მეურნეობის (AH) წარმომადგენელი - კომიტეტის წევრი;
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის (NGO) წარმომადგენელი, საჩივრის ხასიათის გათვალისწინებით - კომიტეტის წევრი;
- მშენებლობის ზედამხედველობის კომპანიის სოციალური და გარემოსდაცვითი ადგილობრივი სპეციალისტი - კომიტეტის წევრი;
- სამშენებლო კომპანიის სოციალური და გარემოსდაცვითი ადგილობრივი სპეციალისტი - კომიტეტის წევრი.

საჩივრების განხილვის კომიტეტის წევრები მოწვეულნი იქნებიან განსახილველი საჩივრების

ტიპის შესაბამისად. სხდომა დაიწყო მომჩივანთა მონაწილეობის გარეშე და მოიცავს ბოლო სხდომის შემდეგ მიღებული ყველა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საჩივრის განხილვას, აგრეთვე გასული ერთი ან ორი კვირის განმავლობაში წამოჭრილი ყველა პრეტენზიისთვის გადაწყვეტის წინადადებების შემუშავებას. ამის შემდეგ, საჩივრების განხილვის კომიტეტი მოიწვევს იმ მომჩივანებს, რომელთა საჩივრებიც წინა შეხვედრაზე იქნა განხილული, შემოთავაზებული გადაწყვეტილებების განსახილველად.

თითოეული საჩივრის შემთხვევაში, საჩივრების განხილვის კომიტეტი განსაზღვრავს, საჭიროებს თუ არა საკითხი დამატებით გამოძიებას. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაცია შეგროვდება მომდევნო სხდომამდე და წინასწარ გადაეცემა შესაბამის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს. ამის შემდეგ, საჩივრების განხილვის კომიტეტი აცნობებს ამ პირს სხდომის ჩატარების თარიღს, დროსა და ადგილს და ოფიციალურად მოიწვევს მას შეხვედრაზე.

საჩივრების განხილვის კომიტეტი მიიღებს მომჩივანს და მასთან ერთად განიხილავს საჩივრის გადაწყვეტის შესაძლო გზებს. კომიტეტი შეადგენს და ხელს მოაწერს საკითხის განხილვის სხდომის ოქმს. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დამაკმაყოფილებლად გადაწყდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი ასევე ხელს მოაწერს ოქმს შეთანხმების დასადასტურებლად. თუ პროექტის ფარგლებში შეთანხმებულია დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, აღნიშნული ღონისძიებები და მათი განხორციელების ვადები დეტალურად აისახება სხდომის ოქმში. თუ საჩივარი კვლავ გადაუწყვეტელი დარჩება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს განემარტება მე-2 ეტაპის ფარგლებში საჩივრის განხილვის პროცედურა.

#### *საჩივრის განხილვა ცენტრალურ დონეზე (მე-2 ეტაპი)*

ამ ეტაპზე საჩივრის განხილვა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დონეზე. 1-ელი ეტაპის ფარგლებში გადაუწყვეტელი საჩივრები, მომჩივნის თანხმობის შემთხვევაში, წერილობითი ფორმით გადაეგზავნება სამინისტროს. ანალოგიურად, ის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან საჩივრების განხილვის კომიტეტის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილნი არიან წარადგინონ საჩივარი სამინისტროში, პროექტის განმახორციელებელი ერთეულის დონეზე. კომიტეტი დაეხმარება მომჩივანს ოფიციალური საჩივრის მომზადებასა და წარდგენაში. სამინისტროს საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირი (GM Focal Point) განიხილავს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების იმ წერილობით საჩივრებს, რომლებიც ვერ დაკმაყოფილდა 1-ელ ეტაპზე და მათ შიდა წესით გადასცემს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი რეაგირებისა და გადაწყვეტის მიზნით. საჩივრის შესაბამის დეპარტამენტში გადამისამართების ვადა შეადგენს 10 კალენდარულ დღეს. მომჩივანს გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი რეაგირების ვადების შესაბამისად.

#### *სამინისტროს საჩივრების განხილვის კომისია (მე-3 ეტაპი)*

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ გადაწყდა მე-2 ეტაპზე შესაბამისი დეპარტამენტის მიერ, საკითხი წარედგინება სამინისტროს საჩივრების განხილვის კომისიას. კომისია განიხილავს საჩივარს და მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მომჩივანს წერილობით ეცნობება. თუ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს დაზარალებულ პირებს, მათ უფლება აქვთ გააგრძელონ დავის გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. საჩივრების განხილვის კომისიის შემადგენლობა შემდეგია:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) გამგეობის

- წევრი - საჩივრების განხილვის კომისიის თავმჯდომარე;
- პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირი (GRM Focal Point) პროექტის განმახორციელებელი ერთეულში (PIU) - კომისიის წევრი;
- იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- განსახლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- ტექნიკური ზედამხედველობისა და საერთაშორისო პროექტების დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- განსახლებისა და სოციალური საკითხების კონსულტანტი - კომისიის წევრი;
- გარემოსდაცვითი კონსულტანტი - კომისიის წევრი.

### საჩივრების გადაწყვეტა

საჩივარი ჩაითვლება „გადაწყვეტილად“ ან „დახურულად“ იმ შემთხვევაში, როდესაც მიღწეული იქნება ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმება და შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები წარმატებით განხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ პროექტსა და მომჩივანს შორის შეთანხმდება შემოთავაზებული გადაწყვეტა, მისი განხორციელებისთვის საჭირო დრო დამოკიდებული იქნება გადაწყვეტის ხასიათზე. მიუხედავად ამისა, შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელება დაიწყება საჩივრის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში და გაგრძელდება მათი სრულად დასრულებამდე მონიტორინგით. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტა განხორციელდება ან განხორციელების პროცესი დამაკმაყოფილებელი იქნება მომჩივნისთვის, საჩივრის დახურვის ფორმა ხელს მოეწერება ორივე მხარის მიერ — საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდის და მომჩივნის მიერ — რაც დაადასტურებს, რომ მომჩივანი თვლის თავის საჩივარს დახურულად. ამის შემდეგ საჩივარი დაარქივდება პროექტის საჩივრების მონაცემთა ბაზაში. მუდმივად იწარმოება საჩივრების დეტალური რეგისტრაციის ჟურნალი და წარედგინება მსოფლიო ბანკის გუნდს.

ზოგიერთ შემთხვევაში, პროექტს შეუძლია საჩივარი „დახურულად“ მიიჩნიოს მაშინაც კი, როდესაც მომჩივანი უკმაყოფილოა მიღებული შედეგით. ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს, მაგალითად, მაშინ, როდესაც მომჩივანი ვერ ამტკიცებს საჩივარს შესაბამისი მტკიცებულებებით, ან საჩივარი აშკარად სპეკულაციური ან თაღლითური ხასიათისაა. ასეთ სიტუაციებში პროექტის მიერ საჩივრის შესწავლისა და დასკვნის მიღების პროცესში გაწეული ყველა ქმედება დეტალურად იქნება დოკუმენტირებული და მომჩივანი სათანადოდ იქნება ინფორმირებული. პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდი არ დახურავს საჩივარს ზედაპირული განხილვის საფუძველზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს დახურვის გადაწყვეტილებას, თუ მომჩივანს ეცნობება აღნიშნული ვითარება და მას მიეცემა შესაძლებლობა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები.

### საჩივრების აღრიცხვა და დოკუმენტირება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) დანიშნავს საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირს (GM Focal Point), რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების მონაცემთა ბაზის მართვას და ყველა მიღებული საჩივრის აღრიცხვას. მონაცემთა ბაზა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: საჩივრის წარმომდგენი პირის ან ორგანიზაციის დასახელებას; საჩივრის წარდგენის თარიღსა და ხასიათს; გატარებულ შემდგომ რეაგირების ღონისძიებებს; კონტრაქტორის ან სხვა შესაბამისი მხარის მიერ განხორციელებულ გადაწყვეტილებებსა და მაკორექტირებელ ღონისძიებებს; საბოლოო შედეგს; აგრეთვე ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ და როდის ეცნობა ეს გადაწყვეტილება მომჩივანს.

ზედამხედველობის საკონსულტაციო კომპანია საჩივრების მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ასახავს საკუთარ ყოველთვიურ მონიტორინგის ანგარიშებში. საჩივრების მონიტორინგი და ანგარიშგება განხორციელდება ასევე სამინისტროს ნახევარწლიურ და წლიურ საჯარო ანგარიშებში. საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირის საკონტაქტო ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე ESMP-ში.

პროექტის შესახებ ინფორმაცია და მომავალი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამები ხელმისაწვდომი იქნება პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ვებგვერდზე და განთავსდება საინფორმაციო დაფებზე პროექტის ზემოქმედების არეალში მდებარე სოფლებში. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აგრეთვე საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირის მეშვეობით.

საჩივრებთან დაკავშირებული მთელი მიმოწერა დოკუმენტირებული იქნება, ხოლო საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესი სისტემატურად აღირიცხება საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალში.

**საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალში.**

<p><b>მომჩივანის სახელი:</b></p> <p><b>მომჩივანის ინსტიტუციური კუთვნილება:</b></p> <p><b>ანგარიშის მომზადების თარიღი:</b></p>			
<p><b>პროექტის დასახელება:</b></p> <p><b>კრედიტორის/გრანტის მიმღების დასახელება:</b></p> <p><b>საჩივრის გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი პირის სახელი (არსებობის შემთხვევაში):</b></p>			
საჩივრის ხასიათი	რეაგირება	გატარებული ღონისძიებები	შემდგომი მოვლენები

პროექტის კონსულტანტი/ქვეკონსულტანტი კომპანიები თავიანთ ყოველთვიურ მონიტორინგის ანგარიშებში წარმოადგენენ ინფორმაციას საჩივრების მართვის შესახებ საჯარო საჩივრების ანგარიშის ფორმის ფარგლებში. საჩივრების მონიტორინგი და ანგარიშგება განხორციელდება ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნახევარწლიურ და წლიურ საჯარო ანგარიშებში.

**საჯარო საჩივრების ანგარიშის ფორმა**

